ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო ⋆ LITERATURULI SAQARTVELO ⋆ ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

8 აპრილი 2022წ. №6 (4041) გამოცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი


Слава Україні! Героям слава!



## ალშფოთება და პროტესტი – უტყუარი იარაღი

უკრაინის ქალაქებში – ბუჩაში, ირპენში, გოსტომელში – რუსეთის არმიის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვის ფაქტებმა მწვავე გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ბევრმა ეს უკრაინელი ხალხის გენოციდად შეაფასა. მსოფლიო საზოგადოებრიობა მოითხოვს დამნაშავეთა მხილებასა და დასჯას. ალშფოთებას გამოხატავენ რუსეთის მოქალაქეებიც.

მაგალითად, პოლიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც გაერთიანებული არიან ანტისაომარ კომიტეტში, 3 აპრილს გამოვიდნენ ინიციატივით, ჩატარდეს დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიება – **რუსეთის არმიის მოქმედებები უკრაინაში** და შეაფასდეს გენოციდად **„მშვიდობიანი მოსახლეობის უაზრო ხოცვა-ჟლეტა“**.

მათი აზრით, „ის, რაც 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ხდება უკრაინის ტერიტორიაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, არის უკრაინელი ხალხის გენოციდი... ეს არის პუტინის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაული არა მარტო უკრაინის, არამედ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. ყველა, ვინც მონაწილეობს უკრაინელი ხალხის გენოციდში – რიგითიდან მოყოლებული უმაღლესი მთავარსარდლის ჩათვლით – უნდა იქნეს გამოვლენილი და პასუხისგებაში მიცემული საერთაშორისო სასამართლოს მიერ“. – ხაზგასმით წერენ დოკუმენტის ავტორები.

წერილს ხელს აწერენ მწერალი ვიქტორ შენდეროვიჩი, ჟურნალისტი იულია ლატინინა, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი, ისტორიკოსი ვლადიმირ კარა-მურზა, მეცნიერი კონსტანტინ ჩუმაკოვი, ეკონომისტები სერგეი ალექსაშენკო და სერგეი გურიევი, მეწარმე მიხაილ ხოდორკოვსკი და სხვები. სულ თხუთმეტი კაცი.

***

მანამდე ამერიკელმა მწერალმა სტივენ კინგმა განაცხადა, რომ უარს ამბობს რუსეთში თავისი წიგნების გამოცემაზე და წყვეტს ყველა კონტრაქტს, რომლებიც ამ ქვეყნის გამომცემლობებთან ჰქონდა დადებული.

უფრო ადრე მსგავსი შინაარსის განცხადება გაავრცელა კანადელმა მწერალმა ლინვუდ ბარკლაიმ.

დღემდე რუსეთში სტივენ კინგის სხვადასხვა რომანი მილიონამდე ეგზემპლარად იყო გამოცემული.

ვანო ჩხიკვაძე

## ახალი კართაგენი

ჯერ ამღვრეული
ბოლმა უდულს ჩვენს საუკუნეს,
ამოსათათად
გადაჭრილ წყვეტავს არტახებს.
„წნელის ლობეებს,“
ხარბი დინგი მიურ-მოურევს,
საზღვრებს მიმოსწევს,
აცამტვერებს და აპარტახებს.

გამომწყვდეული
ქარიშხალი ისევ აუშვეს,
ღამის „მოახლე“
კვლავ განგაშის „ჰანგით“ გაღვიძებს –
შემოდის ტანკი,
„ფეხაკრეფით,“ დილის „საუზმით,“
რომ დანთხეული
ცხელი ტვინით გაგიმასპინძლდეს.

დღეს მოძალადე
„სამართალი“ ანგრევს კართაგენს,
ვისთვისაც სისხლი
გასრესილი ფეხქვეშ აწნლია,
ადამის მოდგმა
ინაწნალებს ასე, კარდაკარ,
ვიდრე ჩვილს, დედის
ძუძუს ნაცვლად, ლულასა სჩრიან.

სიცოცხლის ზეიმს
შავმა კატამ გადაურბინა,
უიმედობამ
კაცის სული აატალახა –
ყოვლადძლიერო,
ხმა გამეცი
ზეცის უბიდან,
მანიშნე მაინც,
თუ ხარ, სადა ხარ!

19.03.2022

თემის გაგრძელება იხ. გვ. 2

## წიგნი როგორც ასეთი



მშვენიერი წიგნია და ეს არ არის სარეკლამო ან საანოტაციო გადაჭარბება. წერილები გიორგი ლეონიძის შესახებ, გიორგი ლეონიძის ლექსები, რეფლექსიები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე, უმაღლესი პოლიგრაფიული დონე, უმაღლესი ხარისხის ფოტოები – მათ შორის ბევრი იშვიათი, დახვეწილი დიზაინი და გემოვნებიანი მხატვრობა.

წიგნი შარშან გამოსცა გამომცემლობა „პოლარის პრინტმა“ – იდეის ავტორის, ვახტანგ ვეფხვაძის თანადგომით; რედაქტორ-შემდგენელია ვალერი ასათიანი, დიზაინერი – კახა ბახტაძე, ფოტოსურათები მოამზადა დემიკო ლოლაძემ.

წიგნს ერთვის ვახტანგ ვეფხვაძის შესავალი წერილი და ვალერი ასათიანის წინათქმა.

კალეიდოსკოპურია ექსპოზიცია: ვაჟა-ფშაველას ლექსი „გიორგი ლეონიძეს“, ნესტან ლეონიძის წერილი „,მამაზე“, გიორგი ქავთარაძის „გოგლა ახლოდან. წელთა სიშორიდან“, გურამ ასათიანის „გიორგი ლეონიძე“, გურამ ბენაშვილის „ერთი სვეტთაგანი ქართული სულიერებისა“ და გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფია.

შემდეგ – გიორგო ლეონიძის ოცდახუთი ლექსი, რჩეულის რჩეული.

ლიტერატურისმცოდნეობით ნაწილში წარმოდგენილია სარგის ცაიშვილის, ელიზბარ ჯაველიძის, მანანა ჩიტიშვილის, ემზარ კვიტაიშვილის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ ბარამიძის, ლევან მენაბდის, შალვა ჩიჩუას, გურამ გოგიაშვილის წერილები; ლაშა გახარიას ლექსი „გოგლას“; გიორგი ლეონიძის ლექსი „ვაჟა-ფშაველას“ და მისივე საახალწლო მილოცვა ქართველ ერს 1965 წლის 31 დეკემბერს.

წიგნი – საკითხავი, სამახსოვრო, სამაგიდო. წიგნი როგორც ასეთი.


„მე ჩემი სიტყვები ვარ“ მამა ადამი



აკაკი მინდიაშვილის წერილი

გვ.4

პროზა



ოლანი ზიწაძე

გვ. 6-7

პოეზია



გურანდა გერია

გვ. 8

შტრიხები მსახიობის პორტრეტისათვის...



მანანა თევზაძის წერილი

გვ.9

ქრისტე თანამედროვე სამყაროში



ჟაკლინ სირაძისგან

გვ. 11

## წერილი რედაქციას

# როს გრძელ სიტყვას მოკლედ ვერ ამბობთ, სათქმელი ამად კარგი ვერ გამოდის

### უწყინარი შენიშვნები

**ზოგიერთი** სხვა ჟურნალ-გაზეთისგან განსხვავებით, კარგია, რომ „ლიტერატურულ საქართველოს" შავი სია არა აქვს, ანუ ვინ უნდა დაბეჭდოს და ვინ არა. ამიტომაც არის გაზეთი როგორც სხვადასხვა აზრის თვალსაზრისით, ისე თემატიკურად მრავალფეროვანი და თავისუფალი.

უთუოდ მოსაწონია, რომ გაზეთი დროდადრო ამა თუ იმ ლიტერატურულ საკითხზე დისკუსიასაც არ ერიდება, რაც ნომრიდან ნომერში გრძელდება.

ბოლო რამდენიმე ნომერი, მაგალითად, დაეთმო ენისა და მწერლის ურთიერთობას, ანუ მშობლიური ენის თავანკარობის დაცვას. საუბრობენ ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი და მთარგმნელი პაატა ჩხეიძე.

როს გრძელ სიტყვას მოკლედ ვერ ამბობ, ბუნებრივია, ცთომილებასაც ვერ ასცდები. შიგადაშიგ არცოდნა იჩენს თავს, რაც მკითხველს შენ მიმართ ნდობას უკარგავს და ბევრ რასმე აღარ გიჯერებს. ასე, მაგალითად, გოგოლაშვილი ამბობს: **„წამიკითხავს: მიხეილ შოლოხოვის „წყნარ დონს" რომ თარგმნიდა არისტო ჭუმბაძე, დონელ კაზაკთა მეტყველების გადმოსატანად კახური დიალექტი მოიშველიაო..."** ჯერ ეს ერთი, შოლოხოვის „წყნარი დონი" თარგმნილია არა ჭუმბაძის, არამედ თინათინ ჯავახიშვილის მიერ, მეორეც თარგმანში არავითარი კახური დიალექტი არ არის გამოყენებული. შე, დალოცვილო, რახან დისკუსიაში ჩაები, თვალი ჩაჰკარი მაინც იმ ლიტერატურას, რომლის გამოყენებასაც დისკუსიაში აპირებ, რატომ აბნევ საქმის მცოდნე მკითხველს? ასე დაემართა კიდევ ერთ ფრიად სახელგანსმენილ ფილოლოგს, რომელსაც ყოვლისმცოდნედ მოაქვს თავი, სინამდვილეში კი ჭრიაშვილივით ფქვავს სათქმელს, ყველაფრის თქმით არაფრის თქმის დიდოსტატია. ამ ეგრეთწოდებული ყოვლისმცოდნისთვის, ზემოხსენებული ფილოლოგისა არ იყოს, ქართულად თარგმნილი რაბლეც, კილო-თქმათა გამოყენების თვალსაზრისით, კახელი მწერალი ყოფილა.

მერე ახლა სხვა მხრიდან უტევს პროფესორი გოგოლაშვილი რაბლეს მთარგმნელს. **„ერთი ცნობილი მთარგმნელი დაჟინებით ცდილობს, დაამკვიდროს ტერმინი „გადმოაენა" (თარგმნაო)... მის თარგმანებში ამგვარი ინიციატივები სხვაცაა... როგორია თქვენი აზრი მსგავსი ინოვაციების თაობაზე (ცოტა ხელოვნურობის ელფერი ხომ არ დაჰკრავს?)"**

ჯერ ერთი, მთარგმნელი თუ ცდილობს, გამოდის ცდილობა და არა **მცდელობა,** რაც ენათმეცნიერმა უნდა იცოდეს, მეორეც, ენათმეცნიერმა (ღრმად მცოდნეზე მაქვს ლაპარაკი) ისიც უნდა უწყოდეს, რომ არა ამჟამინდელ მთარგმნელს, არამედ **„გარდმოენება** (გადმოთარგმნა) პირველად გამოყენებული აქვს იოანე პეტრიწს... გარდმოენება ერთ-ერთ ძველ ანდერძშიც ნიშნავს ქართულად გადმოთარგმნილს" (ალ. ღლონტი). „ისმინე გამგონეო ხედულო გონებისგან, რამეთუ მრცხვენის მე თვით ჭეშმარიტებისგან აქაით წარსულსა და მკვდარსა თუ არსთა წილ არათა გარდმოვაენებდე **(ი. პეტრიწი, II, 108,28)** – შ. ქურდაძე „პედაგოგიკური ტერმინოლოგიის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალები". „ირისთონი", ცხინვალი, 1987 წ.).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, დიალოგი-დისკუსია უთუოდ გაჭიანურებული მსჯელობის შთაბეჭდილებას ტოვებს და არცრა ახალს არ ეუბნება მკითხველს. თავიდან ბოლომდე საკითხი, ჩემი აზრით, ვიწრო გადასახედიდან მოჩანს და სუყოველი მაგალითიც კი მიკერძოებულად არის მოხმობილი. **დიალოგი ენათმეცნიერის ცოდნის არასათანადო სიღრმეს აჩენს აშკარად. ეტყობა, ამ ენათმეცნიერს არცოდნა არცოდვად მიაჩნია და თავის არცოდვად გასაღებულ არცოდნას მე მომაწერს, მთარგმნელს, ის კი არა, ბრალდებად მიყენებს.**

არ შემიძლია, აქვე არ შევეხო ჯემალ აჯიაშვილის პრემიის საკითხს. მასალა ერთ-ერთ ამავე ნომერშია დაბეჭდილი და ისიც თარგმანს ეხება. აჯიაშვილის პრემია მიენიჭა ერთ-ერთ უთუოდ საუკეთესო მთარგმნელს ვითომ აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის ერთი ჩვეულებრივი მოთხრობის ქართულად გადმოენების გამო. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ **ფაზილ ისკანდერი (ეროვნებით თურქი). ისეა აფხაზი მწერალი, როგორც ბორის აკუნინი (გრიგოლ ჩხარტიშვილი) და ბულატ ოკუჯავა არიან ქართველი მწერლები.** თანაც კიდევ, ჯემალ აჯიაშვილი უწინარესად მაღალი დონის პოეტია და არა პროზაიკოსი. ასე რომ, აჯიაშვილის პრემია ბევრად უპრიანია ასევე მაღალი დონის პოეტი-მთარგმნელისთვის. **ფაზილ ისკანდერის აფხაზ მწერლად წარმოჩენა კი ნამდვილად დიდი შეცდომაა, მით უმეტეს, რომ არაერთი აშკარად მტრული გამოხდომა ვიცით იმის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ.**

„ლიტერატურული საქართველო" კიდევ იმითაც განსხვავდება ზოგიერთი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთისგან, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნომრიდან ნომერში გაგრძელებული მასალების ბეჭდვას ერიდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავისთავად საგულისყურო ეგრეთწოდებულ თავ-ენასატეხსათაურიან **„ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერებს"**, რაც, ალბათ, გაზეთს, როგორც ჩანს, თავისი არსებობის მთელ სიგრძეზე გაჰყვება.

იმედია, ჩემი უწყინარი შენიშვნები ახალი დისკუსიის ხანძარს არ გააჩაღებენ...

**გურამ გოგიაშვილი**

▶▶ პირველი გვერდიდან

*„ზოგან წვიმა და...*
*ზოგან თოვლი და...*
*უკრაინაში ომი მოვიდა!.."*

რასაც დღეს უკრაინაში პუტინის რუსეთი სჩადის, – „პოლიტიკური ინცესტია"!..

ეს არის უპრეცედენტო შინა ომი ერთი დიდი ოჯახის ორ წევრს შორის!

„უფროსო ძმებო", ისტორიულ მეხსიერებას სად მიუდიხართ?!

ბოლოს და ბოლოს, არსებობდა „კიევის (და არა ხარკოვის) რუსეთი".

ჰოდა, ვის ფეხმძიმე ქალებს უშენთ ყუმბარებს?!

ძმის შვილებს როგორ იმეტებთ დასახოცად?!

რუს პოეტს, ანა ახმატოვას, ასეთი სტრიქონი აქვს: «И мы спасём Великое русское слово!»...

ეპითეტების გარეშე მოვიხსენიე საქვეყნოდ ცნობილი პოეტი, იმიტომ, რომ ტიტულების ჩამონათვალი უცნობს ესაჭიროება, თორემ ცნობილისთვის სახელი და გვარიც საკმარისია! ზოგჯერ – მარტო სახელიც!

# „ვიდრე კაენის ქვა დაზუზუნებს"...

სხვათა შორის, მიუხედავად მუსლიმური წარმომავლობის გვარისა (ახმატოვა), სინამდვილეში, ოდესელი უკრაინელია, გორენკო!

მას არავისგან ესწავლებოდა, რომ «Русское слово» მშობლიური და გასაგები იყო რუსისთვისაც, უკრაინელისთვისაც, ბელორუსისთვისაც.

ისინი რომ შემდგომ ცალ-ცალკე სახელმწიფოებად სინამდვილედ ჩამოყალიბდნენ, დროშა და გერბი შეეცვალათ, სისხლი ხომ არა?!

ნეტავი, დღეს ახმატოვა ცოცხალი ყოფილიყო! გინდაც, მარინა ცვეტაევა, გინდაც – მიკოლა ბაჟანი! თუნდაც, ევგენი ევტუშენკო, ვიტალი კოროტიჩი, ევგენი გუცალო!

ან, ჩვენებურები: სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეები, ძმები ჭილაძეები, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე და არაერთი სხვა!

ემარჯვებოდათ მქუხარე სიტყვა! ძარღვიანი პუბლიცისტური პაექრობანი! გააშიშვლებდნენ მოძალადეს!..

მოსუფთავდა გამოჩენილთა საასპარეზო ველი რჩეულთაგან, აქაც, იქაც და, ვაითუ, მსოფლიოშიც!..

ამიტომაც, ძალიან გვახარებს ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ნაყოფიერი უკრაინელი ქართველოლოგის გრიცკო ხალიმონენკოს წარმატებული მოღვაწეობა!

დარწმუნებული ვართ, ქართველი „უკრაინელის", პოეტისა და დიპლომატის, რაულ ჩილაჩავას მოღვაწეობასაც, ასევე პატივს მიაგებენ ჩვენი უკრაინელი ძმები!

და აი, ამ ფონზე, მეტად მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად მიიჩნევა ვანო ჩხიკვაძის ლექსების ციკლი – „ვიდრე კაენის ქვა დაზუზუნებს", ეს ლექსები, თავადაც დარწმუნდებით, თანაბრად და, რაც ხაზგასასმელია, ხატოვნად [illegible], როგორც 2008 წლის ურცხვად წამოკიდებულ ომს, რომელსაც ამავე ავტორმა შესანიშნავი რომანი – „შუშების ომი" და რამდენიმე მოთხრობა უძღვნა, ასევე – მიმდინარე სისხლისღვრასაც უკრაინაში!..

„თქვი უკრაინავ, შენი იღბალი, ჩემს ბედისწერას რამ დაამგვანა!"

ან, *„როგორ ისვენებ, როცა ჰადესმა, ლამის, ზესკნელიც დაიმორჩილა!*
*როცა ნანგრევში პატრონს დაეძებს დამწუხრებული მუნჯი თოჯინაც?!"*

დიახ, ძნელი საკითხავი გახლავთ ეს ლექსები, მოზღვავებული თანაგანცდის კვალდაკვალ, მაგრამ, ამავე დროს, სასიამოვნოცაა, ალბათ, სულიერი კათარზისის გამო...

**გიზო ზარნაძე**

# ლონდონი ვან გოგის უნიკალურ გამოფენას მასპინძლობს

ვან გოგის მიმართ ლონდონს განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული გააჩნია. ის ხომ ერთხანს ამ ქალაქში ცხოვრობდა, სანამ მხატვრობას სერიოზულად მოკიდებდა ხელს. მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ლონდონის მხატვრულმა ატმოსფერომ უდიდესი გავლენა იქონია მის მომავალ კარიერაზე.

ლონდონის მთავარმა საგამოფენო ცენტრებმა არაერთხელ უმასპინძლეს ვან გოგის ყველაზე გახმაურებულ ექსპოზიციებს. სწორედ ლონდონის სოთბისა და კრისტის აუქციონებზე გაიყიდა ასტრონომიულ ფასებად ამ ლეგენდარული ხელოვანის სურათები.

გამოფენა კი, რომელიც ამჯერად კოთოლდ გალერიაში (Courtauld Gallery) მიმდინარეობს სრულიად უნიკალურია, რადგან მნახველს არც აქამდე უნახავს ერთად თავმოყრილი ვან გოგის 17 ავტოპორტრეტი და შეიძლება მეტად აღარც მიეცეს ამის შესაძლებლობა. ექსპოზიცია 8 მაისამდე გრძელდება.

კოთოლდ გალერია ლონდონის ნამდვილი საგანძურია, რომელიც ოთხმოცდაათი წლის ისტორიას ითვლის. მრავალ შედევრთა შორის მათი კუთვნილებაა ვან გოგის ავტოპორტრეტი „შეხვეული ყურით" და ალბათ აქედან წამოვიდა ავტოპორტრეტების თავმოყრისა და ერთ სივრცეში ხილვის სურვილიც. ცნობილია, რომ თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვან გოგმა 35 ავტოპორტრეტი შეასრულა, რომელიც მთელ მსოფლიოშია გაფანტული. ექსპოზიციის კურატორთა ჯგუფი წლების განმავლობაში მუშაობდა ცამეტი გალერეის კეთილი ნების მოსაპოვებლად, რათა ასი დღით შეღეოდნენ თავიაანთ კუთვნილ ყველაზე ღირებულ ნამუშევრებს. ძირითადად ნიდერლანდების, სკანდინავიის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მუზეუმების კოლექციებიდან მოიყარა თავი სურათებმა ნინამდებარე გამოფენაზე. 130 წლის წინათ შექმნილი ეს ნამუშევრები დღესაც უზარმაზარ ძალას ინარჩუნებენ და სულისშემძვრელ ზემოქმედებას ახდენენ.



ჩვენ ამ ავტოპორტრეტებიდან მხატვარს სხვადასხვა მდგომარეობაში ვხედავთ. ზოგი პორტრეტიდან იგი დაქანცული და დაღონებული მოჩანს, ხანაც მხნე და შემართულია, ასევე წვერით და სუფთად გაპარსულს, ხან დასახიჩრებული სახით, ხანაც მოდურად ჩაცმული და მოვლილ-მოწესრიგებული იმზირება. ცხოვრებით განამებულ და მარტოსულ მხატვარს ცხადია, მოდელის პოვნა და დაქირავება ასე იოლად არ შეეძლო, ამიტომ სარკის წინ ჯდებოდა და მხატვრულ ექსპერიმენტებს საკუთარი თავის დახმარებით ახორციელებდა.

თვითოეულ ტილო ტექნიკისა და სტილის დაუჯერებელ ცვალებადობას ასაჩინოებს, ეს მართლაც ძლევამოსილი მხატვრული ევოლუციაა, რომელსაც მათი ავტორი განიცდის დროის ასე მცირე მონაკვეთში – ოთხ წელიწადში(1886-1889წწ). შემოქმედებით ფსიქოლოგიაში ალბათ ეს არის უბადლო მაგალითი მხატვრული სათქმელის ამოფრქვევისა და გიგანტური პროგრესის თვალსაზრისით.

ვან გოგის წინამდებარე ავტოპორტრეტები ისეთ ცხოველმყოფელ ძალას გამოსცემენ, გგონია, ახლა დაასრულა მათზე მუშაობა მხატვარმა: ფერები თრთის, ფეთქავს და აკორდებივით ხმიანებს...

ექსპოზიცია სრულდება არა ავტოპორტრეტით, არამედ „ვან გოგის სკამით"(არლი, 1888 წლის ნოემბერი), რომლის კიდეზეც ჩიბუხი და ქაღალდში გახვეული თუთუნი დევს. თითქოს ახლახან დატოვა ოთახი და სადაც არის, უკან შემობრუნდება მათი პატრონი. თუმცა, ამ სკამს მე უფრო გამოფენის კურატორთა ბრწყინვალე საფინალო აკორდად მივიჩნევ, თითქოს ტანჯული მხატვრის სულმა ამ სკამზე უნდა დაივანოს და მოითქვას სული...

**გიორგი ლალიაშვილი**

# ისევ „დარიანულზე"



გიწვევთ კონფერენციაზე „დარიანული ლექსების ავტორის ვინაობა", რომელიც გაიმართება 12 აპრილს 11:00 საათზე „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ – კავკასიურ სახლში".

„ელენე დარიანის" ფსევდონიმით ლექსები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1915-1924 წლებში გამოქვეყნდა. ლექსები შევიდა პაოლო იაშვილის კრებულებში მას შემდეგ, რაც მისი რეაბილიტაცია მოხდა 1955 წელს.

დავა „დარიანული დღიურების" ავტორის შესახებ წარმოიშვა 1990-იანი წლების მიწურულს, როდესაც გამოჩნდა გიორგი ჯავახიშვილის პუბლიკაციები. მან გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში დაცულ მასალებზე დაყრდნობით, დარიანული დღიურების ავტორად არა პაოლო იაშვილი, არამედ ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი მიიჩნია.

ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს აზრი. მის გაბათილებას მათი მხრიდან არაერთი გამოკვლევა თუ საჯარო გამოსვლა მიეძღვნა.

პრობლემამ ელენე დარიანის საკითხის ფემინისტური თვალთახედვით გააზრების შედეგად, 2013 წლიდან დატოვა ლიტმცოდნეობის საზღვრები და დღემდე თანდათან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა.

ამჟამად საზოგადოებაში მიმდინარეობს დისკუსია, რომელშიც სხვადასხვა, ურთიერთდაპირისპირებული პოზიციაა გამოკვეთილი.

დასწრება თავისუფალია.
მისამართი: გალაქტიონ ტაბიძის N20.

**მარიკა ტყეშელაშვილი**

# „... რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად...“

ჯერ კიდევ როდის! საუკუნეების წინ დაწერა შექსპირმა „66-ე სონეტი“... მაშინ არც ნეოლიბერალიზმის ბინძური ღვართქაფი ესხმოდა თავზე ევროპას და არც პედარასტებსა და მამათმავლებს ანიჭებდნენ რაინდის წოდებას, მაგრამ ახლა რომ ვკითხულობ „66-ე სონეტს“, ასე მგონია, მისი ყოველი სტრიქონი თითქოს გუშინ საღამოს დაუწერიაო გენიალურ მესიტყვეს. ეს ან კლასიკის დამახასიათებელი ნიშანია იმისა, რომ ყველა დროში შეურყეველ ჭეშმარიტებად დარჩეს, ან ეკლესიასტე ლაღადებს უდავო სიბრძნეს – „რაც იყო, ის არის, რაც არის, ის იქნება!“ არ ვიცი, არ ვიცი! მაგრამ მე მაინც იქით ვიხრები, რომ წუთისოფელი ომია, ბოროტისა და კეთილის ომი, როდესაც ერთთან სატანა დგას, მეორესთან – უფალი და ხან ერთია აღზევებული, ხან – მეორე.

არავინ იფიქროს, რომ უფალი და სატანა თანაბარი ძალისა მგონია, რადგან მათ ჭიდილში ხან ერთია აღზევებული და ხან მეორე. არა! უფალი სიკეთეა, შემოქმედი და სიცოცხლის მომნიჭებელი, ამიტომ, „არსება მისი გრძელია“. სატანა დამღუპველია და მისი ძალა უპატრონო სულებზე გაბატონებაშია. სად ნახულობს სატანა უპატრონო სულებს? იქ, სადაც ადამიანები ამპარტავნებისა და სიხარბის გამო უფალს შორდებიან, ისინი სატანას უვარდებიან კლანჭებში. უფალი მოძალადე არ არის და ძალით ვერ დაიბრუნებს განდეგილ შვილებს, ხოლო ვინც დაბრუნდება („ძე შეცდომილი!“) სიყვარულით მიიღებს თავის წიაღში.

ახლა სწორედ ის დროა, როცა უფლის მადლისაგან განიძარცვნენ მთელი ხალხები და სახელმწიფოები და მათდა უნებურად, სატანის მონებად იქცნენ, მათში ადამიანურობა მოკვდა და ვერც ცხოველებად გარდაისახნენ, რატომ? იმიტომ, რომ ცხოველს მისთვის დამახასიათებელი ბუნება აქვს და იგი არასოდეს ღალატობს მას: მგელი ვერასოდეს მოიქცევა ცხვარივით, ან ირემივით და ვერც ისინი მოიქცევიან მგელივით, ამიტომ ცხოველის ქცევა ნებისმიერ ვითარებაში პროგნოზირებადია, ადამიანობადაკარგული არსებების ქცევის პროგნოზირება შეუძლებელია. არავის შეუძლია იწინასწარმეტყველოს ის, თუ როგორ სიტუაციაში როგორ მოიქცევა ადამიანობაგამოცლილი არსება – მგელივით, თუ გველივით, ლომივით, თუ ვირთხასავით, ცხვარივით, თუ ქათამივით.

აი, ამგვარი პროცესებია ასახული ბესიკ კეკელიძის ახლახან გამოცემულ ორტომეულში „66-ე“. მასში ზუსტად ის უბედურებაა ნაჩვენები, რაც შექსპირის „66-ე სონეტის“ შინაარსშია აკუმულირებული.

ორტომეულის პირველივე მოთხრობიდან („მზის მონოლოგი“) შემოდის ჩვენში სევდით გაჟღენთილი მძაფრი ემოცია, რომელიც იმდენად წამლეკავია, რომ შეიძლება წიგნის შემდგომ კითხვაზეც კი აგაღებინოს ხელი. აბა, რა იქნება, ამას რომ წაიკითხავ და მიხვდები: ამას ხომ მეც ვხედავდი და ვწუხდიო. აი, იმას ვხედავდი და ვწუხდი, რაც შენ ახლა თვალწინ დამიყენე მწერალო: **„ფარისეველთა მუხლმოდრეკილი, ჭმუნვაალვსილი ჯოგი ტაძრებს შესევია და ღვთისმოსაობას ისე შეექცევა, როგორც მგელი ნანადირევს. ამპარტავანთა მდინარეებს მიწა დაუტბორავთ, ლაღად მოდუდუნებენ და სიცოცხლით კი არ ხარობენ, არამედ საკუთარი თავით ამ სიცოცხლეში...“**

ადამიანის სევდა გადამდებია, თუ ის მართლა სევდაა და არა მოგონილ-გათამაშებული. ასეთი ფსევდო „სევდა-ნაღველები“ ბევრი გვინახავს, უფრო მეტი კი მოგონილი „ოპტიმიზმი“ და „ჰეროიკული აღტკინებანი“, რაც ზიზღსა და აპათიას იწვევს ამ „ოპტიმისტებისა“ და „ჰეროვნულად აღტკინებულების“ მიმართ. ბესიკ კეკელიძის სევდა ნამდვილია და ხალასი, რაც შექსპირული ტრაგიზმით გაჟღენთილი ჩვენი „კოჭლი დროების“ შედეგი კი არ არის მხოლოდ, არამედ მისი სულის შეუხორცებელი იარის გამოძახილიცაა. ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ბედნიერებაა, რომ ნამდვილ შემოქმედს დიდი სულიერი ტკივილი კი არ აბოროტებს, არამედ იმედის ნაპერწკალს ულვივებს, რაც ჩვენზეც გადმოდის და ხვალის მოლოდინს გვიმძაფრებს. ამ მინიატურული მოთხრობის ბოლო წინადადება ასეთი ნაპერწკალია ჩემთვის: **„მე ჩავდივარ და დამაკვირდით, როგორ ჩადის დაქანცული მზე, რათა დილით კვლავ დაიბადოს.“**

დილით მზის „კვლავ დაბადებაში“ რა იგულისხმა ავტორმა, არ ვიცი, მაგრამ მე აქ რწმენის განახლებას ვხედავ, ანუ უფალთან მიბრუნება-მიახლოებას. უამისოდ შეუძლებელია, იგრძნო სიკეთის, როგორც მადლის ძალა და ხიბლი. ახლა რასაც ვიტყვი, მავანს შეიძლება დიდ უტაქტობად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ვამბობ, რადგან ის, რაც ჩემთვის ჭეშმარიტებაა, იმას ყოველგვარ ტაქტსა და ეტიკეტზე მაღლა ვაყენებ. მაშ, აი რა ჭეშმარიტების აღიარებას ვაპირებ: ათეისტი ვერასოდეს იგრძნობს იმ მადლს, რაც ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ლიტერატურიდან მოედინება. სამწუხაროდ, ამას გვიან მივხვდი!



აი, ამ ორტომეულის ავტორი ბესიკ კეკელიძე, როგორც ჩანს, ღრმად მორწმუნეა, რაც აშკარად ჩანს სიკეთისა და ბოროტების მისეული აღქმის მთლიანობაში და ასეთი განცდა მეუფლება მეც, მის მკითხველს და, ჩემი რადიკალიზმის მიუხედავად, რაღაც სიბრალულს უფლის უარმყოფელებისა და ღმერთთან გატოლების პრეტენზიის მქონეთა მიმართაც ვგრძნობ, ავტორთან ერთად, რა თქმა უნდა (**„ლაზარეს გამოცხადება“**).

ძნელი დრო გვიდგას, იმიტომ კი არა, რომ გაჭირვებაა, ყოვლად უაზრო და არსაიდან მოსული; არც იმიტომ, რომ ჩვენი სიდუხჭირის ვინაობას და სადაურობას არავინ კითხულობს, თითქოს ირგვლივ მაზოხისტები გვახვევიან, რომლებსაც იქნებ ეამაყებათ კიდეც თავიანთი სიგლახე. არა! რატომ, იცით? „გაძარცვულ კაცსა გაძარცვული არ ეთქმის, თუ კი ვერას გაიგებს და დანაკარგს არ მოიკითხავს“ (შექსპირი).

მასობრივ, ტოტალურ სიცრუეში თავიან-ფეხებიანად ჩაძირული საზოგადოება რომ დაისჯებოდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო, მაგრამ სახარებისეული სენტენციისა არ იყოს, „თვალნი აქვთ და ვერაფერს ხედავენ, ყურნი აქვთ და არაფერი ესმით“. რვა საუკუნის წინ გვაფრთხილებდა დიდი რუსთაველი: „სიცრუე და ორპირობა ავნებს სულსა, მერმედ ხორცსა“-ო. სულს დიდი ხანია ავნო ამ სიცრუემ, მაგრამ ვერ მიხვდა კაცობრიობა ამას, ახლა, როდესაც ვნება აშკარად დაემუქრა ხორცს, რაც საგნობრივი და თვალსაჩინოა, ნუთუ ახლაც ვერ მოვდივართ აზრზე, იმის მიუხედავად, რომ ჭეშმარიტი და პატიოსანი, ღვთის გზაზე შემდგარი მწერლები გვაფრთხილებდნენ და გვაფრთხილებენ დღესაც. ამის მაგალითი წინ მიდევს ბესიკ კეკელიძის ორტომეულის სახით. **„თვალებში გიყურებენ – ერთს გელაპარაკებიან, მეორეს ფიქრობენ და მესამეს აკეთებენ. ამაში ნიღაბთა კოლექცია ეხმარებათ. ყოველი სიტუაციის შესაბამისი გარესაფარველი გააჩნიათ, იცვლიან როგორც ცხვირსახოცებს და თამაშობენ და თამაშობენ. ყველგან სცენა აქვთ მოწყობილი: საკუთარ კაბინეტში, მეგობრებთანაც, მტერთან და მოყვარესთანაც, შვილთან და საწოლში ცოლთანაც. კარგად გამოსდით, მაგრამ როცა ფიქრობენ – ვდგავართო, სწორედ მაშინ ავიწყდებათ, რომ შეიძლება ვინმემ ნიღაბი ჩამოგლიჯოს და მათი უსახურობა გამოაჩინოს.**

ყოველი საღამო კი ყველას აფრთხილებს: **მემენტო მორი!** („ბრძენი სიჩუმე“).

ეს მინიატურული მოთხრობა ასე მთავრდება: **„ბრძენი სიჩუმე ყველაფერს ხედავს, ყოველივეს აღიქვამს და ყოველივეს ითმენს...“**

ბესიკ კეკელიძის პერსონაჟების სვე-ბედი სწორედ ასეთი მაგალითების დემონსტრირებაა, იმის ჩვენებაა, რომ ადამიანური ბედნიერება და სიმშვიდე მამონას მონობაში კი არა, უფლის გულწრფელ სიყვარულსა და ერთგულებაშია, თუნდაც იგი განსაცდელთან იყოს დაკავშირებული („კეთილმოწესე ბერი“, „ლიმონი“, „შეუწყალებელი შეწყალება“...)

ამ ორტომეულის კითხვისას, სხვათა შორის, ერთი განცდა გამიმძაფრდა მოულოდნელად: ძალიან დიდი ხანი მაწუხებდა ერთი დილემა: „ათეისტი შეიძლება ზნეობრივი იყოს თუ არა?“ აქ „ათეისტში“ ღვთისმგმობს, ანუ მებრძოლ ათეისტს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმას, ვისაც უფლის არსებობა არ სწამს და ყველაფერს მატერიალისტურ ახსნას უძებნის და რაც ამ გზით არ აიხსნება, იმის არსებობას უარყოფს. მე მაინც იქით ვიხრებოდი, რომ სრულყოფილი ზნეობრიობა მხოლოდ ღვთისმორწმუნე ადამიანებს ახასიათებთ. ამ წიგნში წაკითხულმა ნაწარმოებებმა სრულად განმიმტკიცა იმის განცდა, რომ შეუძლებელია ათეისტის ზნეობრიობა ბოლომდე გარანტირებული იყოს. ისე, რომ ჩემს ცნობიერებაში დიდხანს არსებული დილემა გაქრა და ამ მხრივ შვება ვიგრძენი („უსასრულობა“, „ღვთის მადლი“).

მკითხველი შეამჩნევდა, ალბათ, ორივე ტომის ყდების მეოთხე გვერდზე ასეთი, ცოტა უცნაური ფრაზაა გამოტანილი: **„გარდაცვალების შემდეგ ყოველი ჩვენგანი მორწმუნე ხდება, მაგრამ...“** თანაც წინადადების დასრულება ჩვენ მოგვანდო ავტორმა: „მაგრამ...“

ჯერ ის ვთქვათ, რატომ ხდებიან გარდაცვალების შემდეგ ურწმუნონი მორწმუნეები. რატომ და, გარდაცვალების შემდეგ იმას ხედავენ, რისიც სიცოცხლეში არ სჯეროდათ. განკითხვაც მოევლინებათ და საკუთარი ცოდვების სიმძიმესაც იგრძნობენ და მადლის სიმსუბუქესაც. ამიტომ ხდებიან მორწმუნეები, მაგრამ... დაგვიანებულია ალბათ, თუმცა დაბეჯითებით ამის თქმა არ შემიძლია. არც ავტორს შეეძლო ეთქვა, თუ გაემხილა ჩვენთვის წინადადების დასასრული, თორემ მრავალწერტილს არ დასვამდა. სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო აუხსნელია მოკვდავთათვის. ასე რომ არ იყოს, ბესიკ კეკელიძის ერთი პერსონაჟი, ომგამოვლილი ინვალიდი მერაბი თავს არ მოიკლავდა, მის მიმართ უცხო კაცის მიერ გამოჩენილი მადლი ისე არ გააბოროტებდა, რომ საკუთარი პრესტიჟის შელახვად მიეჩნია მოყვასის მადლი და ცოლ-შვილსა და იმ სამშობლოზე აელო ხელი, რომელსაც თავისი ჯანმრთელობა შესწირა. სიკვდილის შემდეგ ისიც მორწმუნე გახდა, ალბათ, მაგრამ... („მგელო“).

სამწუხარო რეალობაში ვართ! მთელი ქვეყანა ხომ არ უნდა ამოწყდეს, უფლის რწმენა და ზნეობა რომ დაიბრუნოს ხალხმა! არა და, ისე ამ ცოდვის ჭაობიდან თავს ვერ დავაღწევთ და არც სიკეთე გველირსება: დავრჩებით ასე **„არ რის მქონე, არ რის მცოდნე,.. მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი... გარეთ მხდალი შინ ძლიერი“** (ილია). ასე იქნება, სწორედ **„რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად“** (შექსპირი). ამიტომ ყვავის ამ კოშმარულ უდაბნოში უზნეოთათვის ედემი, თუმცა დროებით, რადგან სიცრუესა და სიყალბეზე აღმოცენებულ „ედემის ბაღს“ ხანგრძლივი არსებობა არ შეუძლია, ის მხოლოდ დროებით ილუზიას წარმოადგენს.

*ვირისთავი ლანგარზე რომ გაჩაღდეს,*
*მაშარაფით, სანთლით დაფნის რტოებით,*
*შეიძლება ორაგულად გასაღდეს,*
*ეს კი არის, გასაღება დროებით.*

**მურმან ლებანიძე**

ასეთია სიცრუისა და ჭეშმარიტების ლოგიკა. ასე, რომ მეფე თუ შიშველია, ამას აუცილებლად იტყვის ვილაცა და ხალხიც ძილბურანიდან გამოვა.

ბევრი ასეთი მხატვრული პროგნოზი, თუ მინიშნებაა ბესიკ კეკელიძის იმ ორტომეულში, რომელიც ერთი ხანია გადაშლილი ძევს ჩემს მაგიდაზე („ქოსმანთა ედემი“, „ჰიპოკრატეს ფიცი“, „მეძავი“).

ორტომეული მთავრდება რომანით „განუკითხავი“.

ძალიან საინტერესო ნაწარმოებია, მაგრამ ყველანაირი მკითხველისთვის კი არა, მხოლოდ იმათთვის, ვისაც ადამიანის ორსაწყისიანი ბუნების მეტამორფოზების მიზეზები და ფაქტორები აინტერესებს.

ბოროტისა და კეთილის ბრძოლა მხოლოდ საზოგადოებაში კი არ მიმდინარეობს, არამედ კერძო ადამიანის სულშიც. სატანა ცდილობს, გაბატონდეს ადამიანში, ხელში ჩაიგდოს მისი სული და მარადიული ჯოჯოხეთისთვის გაწიროს იგი. საამისოდ მას ბევრი საცდური აქვს, რაც ხორციელ სიამოვნებას უკავშირდება, რომელიც წუთიერი და წარმავალია; უფალი იცავს ადამიანის სულს, მადლით აცისკროვნებს მას და მარადიულ ნეტარებაში გადაჰყავს იგი. ადამიანის წინაშე მუდმივად არსებობს ხიფათი, რაც ხორციელი სიამოვნების აღზევებით გამოიხატება. ხორცის აღზევება აკნინებს სულს, ადამიანს აშორებს უფალს და აახლოებს სატანასთან. მამონას მონობიდან თავდახსნა ძნელია და ხშირად შეუძლებელიც. ეს მხოლოდ ჭეშმარიტი სინანულით არის შესაძლებელი. ეგ კი მოყვასის დაუხმარებლად შეუძლებელია.

თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებას სრულად ვიცნობ-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან, ვინც დღეს ოცდაცამეტი ქართული ასო იცის, ყველა „მწერალია“ და ჯადოქარი უნდა იყო, რომ ამდენ „მწერალში“ წაუკითხავად გამოიცნო მართლა მწერალი. ყველას წაკითხვა თუ მოინდომე, მაშინ ნაგვით აგივსია თავი და ეგ არის! ამის მიუხედავად, ჩემი მკითხველური გამოცდილების საფუძველზე ვიტყვი, რომ უზნეობისა და ზნეობრიობის, ანუ ბოროტებისა და სიკეთის, ჭიდილის ისე რეალისტური სურათი არავის დაუხატავს, როგორც ეს ბესიკ კეკელიძის „განუკითხავშია“ ნაჩვენები. მთავარი კი ის არის, რომ დღემდე „მითიური“ სატანა ამ რომანში რეალურ არსებად (არსებებად) არის წარმოდგენილი, რომლებსაც, სამწუხაროდ, ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ჩვენს გაუკულმართებულ რეალობაში.

ღვთისნიერ ადამიანს არასოდეს ტოვებს იმედი. ბესიკ კეკელიძეც ღვთისნიერი მწერალია. ამიტომ მისი რომანის ბოლო სტრიქონები გვაიმედიანებს:

**„ზენონი საძმოს წევრებს დაემშვიდობა და მანქანაში მეგობრის საკაცის გვერდით დაიკავა ადგილი...**

**უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“.**

**ზურაბ ცუცქირიძე**
მკითხველი

აკაკი მინდიაშვილი

# „მე ჩემი სიტყვები ვარ“

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოება, სვიმეონ კვირინელივით მის თანაჯვრისმტვირთველ ქართულ მწერლობასთან ერთად, ყველაზე ფხიზელი და ყველაზე ერთგული მცველი იყო ღვთისმოყვარე და კაცთმოყვარე მრავალწამებული ქართველი ერისა.

ასე იყო წარსულში, ასეა დღესაც და, ღრმად გვწამს, ღვთის წყალობითა და ისეთი მამულიშვილების მეშვეობით, როგორიც მამა ადამია, ასევე იქნება მომავალშიც, ვიდრე აღსასრულამდე ამ წარმავალი, ამ დროებითი წუთისოფლისა.

მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე), როგორც მთელი თავისი ცხოვრებით, ისე შემოქმედებით, ერთგულია იმ მისიისა, რისთვისაც უფალმა ყოველ ჩვენგანს მოგვიწოდა, როცა განაცხადა:

„ამისთვის დავიბადე და ამისთვის მოვედი ამქვეყნად, რათა დავამოწმო ჭეშმარიტება“.

და რა არის, უფრო სწორად, ვინ არის ჭეშმარიტება?

უფალი ჩვენი იესო ქრისტეა ჭეშმარიტება, რომელმაც გაგვიმხილა:

„მე ვარ ჭეშმარიტება!“

სწორედ ეს გახლავთ ღვთის მიერ გამორჩეული ყოველი მღვდელმსახურის, საერთოდ, ყოველი ქრისტიანის მოწოდება – აღიაროს და დაამოწმოს ჭეშმარიტება არა მარტო გულში, – დაფარულად, არამედ – სიტყვითაც, და არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც და ცხოვრების წესითაც, საჭიროების შემთხვევაში კი, ქრისტეს მსგავსად და მსგავსად ქრისტესთვის ყველა მოწამე წმინდანისა – სისხლითაც, საკუთარი სიცოცხლის გაწირვითაც.

ამ კონტექსტში ჩვენთვის სრულიად ნათელი და გასაგები ხდება ანდერძი წმინდა ვახტანგ გორგასალისა, ვინც ქრისტეს მოციქულების შემდეგ დავით აღმაშენებელთან და თამარ მეფესთან ერთად, მამა ადამის ყველაზე საყვარელი ისტორიული გმირია.

თქვენ, გახსოვთ ეს აღმაფრთოვანებელი ანდერძი:

**„მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილს!“** რადგან „ქრისტესთვის სიკვდილი სიცოცხლეა“, ხოლო ქრისტეს გარეშე სიცოცხლე – სიკვდილი!

მამა ადამის სასულიერო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მისი ყოველდღიური ცხოვრება უთვალსაჩინოესი დასტურია იმისა, რომ მას ჩვენი დიდი წინაპრის ეს წმინდა სიტყვები, ეს ანდერძი, გულის პირველივე გვერდზე აქვს ჩაწერილი, და სიტყვით და საქმით ხორცშესხმული.

მამა ადამს ღრმად სწამს, რომ ბრძენი მხოლოდ ის ადამიანია, ვისთვისაც „უფლის რწმენა უმთავრესია, ვინც მხოლოდ ღმერთს სასოებს და უყვარს იგი მთელი არსებით!

აკი უცილობლად დგება უბედნიერესი რჩეულის ცხოვრებაში წამი, როდესაც იგი მთელ თავის რწმენას, იმედსა და სიყვარულს – ანუ ყველაფერს – თავის შემოქმედს სწირავს!“

„ბრძენი ადამიანისა“ და „უბედნიერესი რჩეულის“ მამა ადამისეული ეს ლაკონური და ღრმა დახასიათება თავად მამა ადამის საუკეთესო თვითდახასიათებად მიგვაჩნია.

როდესაც ისეთ სასულიერო პირს, ისეთ მოძღვარს, შემოქმედს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ეცნობი, როგორიც მამა ადამია, უკვე აღარ გჭირდება, წმ. მამებთან ეძიო განმარტება იმ სიტყვებისა, რითაც უფალმა თაბორის მთაზე მიმართა თავის მოციქულებს, ასევე მათ სულიერ მემკვიდრეებს – მღვდელმსახურებს, და საერთოდ, ყოველ ქრისტიანს:

– თქვენ ხართ მარილი მიწისა, და თუ მარილი ძალას დაკარგავს, რითღა დამარილდება?

ის აღარად ივარგებს, თუ არა გადასაყრელად და (კაცთა მიერ) ფეხით გასათელად.

ცნობილია, რომ ძველ რომაელთათვის „არაფერი იყო მზესა და მარილზე უფრო სასარგებლო“.

პლატონი მარილს „ღმერთის საყვარელ ნივთიერებას“ უწოდებდა, ჰომეროსი კი – „ღვთაებრივ პროდუქტს“.



ასე რომ, ქრისტეს სიტყვებში: „თქვენ ხართ მარილი მიწისა“, ანუ მარილი ქვეყანისა, ვგულისხმობთ შემდეგს:

ქრისტიანები, გამორჩეულად კი მღვდელმსახურები, მთელი ქვეყნიერებისათვის, ადამიანთა მთელი მოდგმისათვის, კონკრეტულად ჩვენს ქვეყანაში ქართველი სამღვდელოება – ჩვენი ხალხისათვის, ისეთსავე ფასეულობას წარმოადგენს, როგორსაც მარილი – საკვებისათვის. თუ მარილი წახდა და საკვები ვერ დაამარილა, მაშინ მალე გაფუჭდება. ასევე, ჩვენში თუ ქრისტეს სამღვდელოება მადლმოსილებას დაკარგავს და წახდება, მაშინ ჩვენი ხალხი ზნეობრივად ძალზედ სწრაფად გაპარტახდება, სულიერად უკიდურესად დაკნინდება და გარდუვალ თვითგანადგურებამდე მივა.

და ასე რომ არ ხდება, ეს არის სწორედ წყალობა ღვთისა, მფარველობა დედა ღვთისმშობლისა, შეწეობა წმინდანებისა და გარჯა უფლის მიერ წუთისოფლიდან გამოხმობილი რჩეული სასულიერო პირებისა, რომელთა შორის, ვფიქრობთ, ერთ-ერთი უპირველესი მამა ადამია, ვინც ყოველდღიური თავდადებული შრომითა და ღვაწლით, ოფლთა და ცრემლთა ღვრით მოიმუშაკა ის ღვთიური მადლი, ის ღვთიური ნათელი, რომელიც თანამედროვეთა წინაშე ანათებს მისი ქადაგებებიდან, პოეტური და პროზაული ნაწარმოებებიდან, ესეისტური, ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილებიდან, სამეცნიერო და სალვთისმეტყველო ნაშრომებიდან, ლექციებიდან, ჩანაწერებიდან და სხვადასხვა ინტერნეტ-რადიო-სატელევიზიო და პირადი საუბრებიდან.

მამა ადამის როგორც ქადაგებები, ისე მთელი მისი მხატვრული შემოქმედება, ასევე – ახალ წიგნში წარმოდგენილი სალვთისმეტყველო, ფილოსოფიური თუ ლიტერატურული ჩანაწერები და ესეები კარს გვიხსნის და გვეპატიჟება დიდ სააზროვნო სივრცეში მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხსა და პრობლემაზე დასაფიქრებლად, მათ შორის, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ამქვეყნიური სიცოცხლის წარმავლობასა და დაუსრულებელ ნეტარ მარადიულობაზე, საერთოდ, იმაზე, თუ რა არის ჩვენი სიცოცხლე, რა არის საზრისი სიცოცხლისა და ადამიანის ცხოვრებისა. ახალ წიგნში: „ვირტუალური მეხსიერების მისამართებზე“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ესსე სწორედ ამ სიტყვებით არის დასათაურებული: „რა არის ჩვენი სიცოცხლე“, რომელიც, მამა ადამის თქმით, „ფიქრთა მორევში გვითრევს“.

და მართლაც, რა არის სიცოცხლე ამ დროებით, წარმავალ წუთისოფელში?

ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენი სიცოცხლე წყალივითაა.

„მე ვითარცა წყალი დავითხიე“, – იტყვის დავით წინასწარმეტყველი.

ყოველი ჩვენგანის სიცოცხლეც მდინარის წყალს ჰგავს, – მიმდინარეს ყოველწამიერად და უკანდაუბრუნებლად!

ამიტომ მამა ადამისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი წუთი, არც ერთი საათი, არც ერთი დღე ფუჭად არ გავანიავოთ, ამაოებაში არ დავკარგოთ, რადგან დრო ღვთისაგან დათვლით ანუ ზომით გვაქვს მოცემული. როგორც დავით მეფსალმუნე იტყვის: „უფალო, ესერა ზომით ჰყვენ დღენი ჩემნი“.

მამა ადამის აზრით, ამქვეყნად ღვთივბოძებული დრო ნეტარი მარადიულობისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ამიტომ მისი ცხოვრების მთავარი დევიზია ის, რაც გალაკტიონმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „დრო, დრო აღნიშნე“, ხოლო პავლე მოციქულმა სიტყვებით: „გაუფრთხილდით დროს, რადგან დღეები ბოროტნი არიან“, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისთავად დრო და დღეები კი არ არის ბოროტება, არამედ ბოროტებაა დროისადმი, დღეებისადმი არაკეთილგონივრული, ფუქსავატური და დაუდეგარი დამოკიდებულება. დროს კი მხოლოდ მაშინ ვუფრთხილდებით, როცა მას კეთილი, სათნო საქმეებისათვის, ღვთისა და მოყვასისათვის სამსხვერპლო, თავგანწირული მსახურებისათვის მოვიხმართ, როცა დროს მარადიული მიზნებისათვის ვიყენებთ და, ამით და ამგვარად, კეთილგონივრულად და უხვნაყოფიერად მოხმარებულ დროს ღმერთსვე ვუბრუნებთ, ვინაიდან: „ღმერთო, შენი არს დღე და შენი არს ღამე!“ (დავით წინასწარმეტყველი).

ჩვენი ხილული თუ უხილავი მტრები, რომელთაც პავლე მოციქული „ცისქვეშეთის ბნელ ძალებს“ უწოდებს, განსაკუთრებული, მზაკვრული, დახვეწილი მეთოდებითა და ფორმებით ებრძვიან ჩვენს სამშობლოს, რომლის სისხლიანი ქრონიკები და მარტიროლოგია ჯერ არ დასრულებულა, ებრძვიან დედა-ეკლესიას, მის ფხიზელ გუშაგებს – მღვდელ-მსახურებს, ბერ-მონაზვნებს. მაგრამ ქრისტემ აღაშენა თავისი ეკლესია, რომლის სულიერი შვილებიც ჩვენა ვართ და რომელსაც არა თუ ხილული მტრული ძალები, არამედ თვით ჯოჯოხეთის ბჭენიც ვერ სძლევენ, რადგან მართლმორწმუნე მრევლი, მართლმორწმუნე საზოგადოება, მამა ადამის დარ ღირსეულ სასულიერო პირთა, სულიერ მოძღვართა წინამძღოლობით მთლიანად ღმერთსაა მონდობილი. ბიბლიური სიტყვებით თუ ვიტყვით:

– ჩვენი ძალა და სიმღერაა უფალი, ის იქნება ჩვენი მშველელი.

– ღმერთს მივენდეთ – არ გვეშინია, რას გვიზამს კაცი?

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, რომელიც მთლიანად ღმერთს მინდობილ მამა ადამს საკუთარ თავზე მეტად უყვარს და რომლისთვისაც „ქართული მიწაც ზეცაა!“, ჯერ კიდევ დაფარულია მატერიალიზმისა და ულმერთობის ყინულით. ამის გამოც მუდმივი ტკივილი გულში ხანჯალივით აქვს გაყრილი ავტორს ისეთი მნიშვნელოვანი წიგნებისა, როგორებიცაა „ვირტუალური მეხსიერების მისამართებზე“, „მარადისობის მონატრება შებინდებისას“, „40 ლექსი“, „მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ“, „იმიტომ, რომ სახლია შენი“ და „სოხუმის ქუჩაზე“. ვისაც ეს წიგნები ჯერ არ წაუკითხავს, მას წინ ნამდვილი ესთეტური სიამოვნების განცდა და დიდი შემეცნებითი სიხარული ელოდება.

მამა ადამის ახლახან გამოსული წიგნი „ვირტუალური მეხსიერების მისამართებზე“, რომელსაც წამძღვარებული აქვს უნიჭიერესი ლიტერატურისმცოდნეების, ქალბატონების – სალომე კაპანაძის, მარინე ტურავასა და ელენე სარალიძის შესანიშნავი წინასიტყვაობები – ეძღვნება „მარად ბავშვურ ბავშვობას“.

მოგეხსენებათ, რომ ბავშვობა ანგელოზური, წმინდა ხანაა.

წმ. მამათა თანახმად, ბავშვები პატარა ანგელოზები არიან ადამიანის უმანკო სხეულებით. ყოველ ბავშვში ბევრია ზეციური, ბევრია ზეცა, – ყოველი მათგანი, ღვთიური ჭეშმარიტების, ღვთიური სიმართლისა და ზეციური უვნებობის ნაწილია დედამიწაზე.

ყველამ ვიცით, ქრისტეს როგორ უყვარდა ბავშვები, იმიტომ, რომ თავად იყო ზეცა დედამიწაზე, თავადაც უწმინდესი ბავშვური სული ჰქონდა, – ბავშვებში თავისივე თავის ასახვას ჭვრეტდა და თავის დაუძინებელ მტრებთან – მწიგნობრებთან და ფარისევლებთან საუბრის შემდეგ დაღლილ სულს ბავშვებთანაც ასვენებდა.

მამა ადამმა იცის, რომ მას, ვისაც ღმერთთან ნეტარი ერთობა და ცხონება სწყურია, უნდა გახდეს ყრმა, გახდეს ბავშვი, რადგან „თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“.

იმ დროში, რომელიც ამქვეყნად ღვთისაგან ზომით გვაქვს მოცემული, ჩვენ უკვე განვვლეთ ჩვილობის, ყრმობის, სიჭაბუკის, ახალგაზრდობის წლები, ხანდაზმულობის ასაკში შევდივართ, გარეგნულად ვხუცდებით, მაგრამ როდესაც ვცხოვრობთ ინტენსიური სულიერი, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, მეცნიერული და ეკლესიური უფლისმცნებათამიერი ცხოვრებით, ვმარხულობთ, ვლოცულობთ, განვიწმინდებით ცოდვებისაგან უფლის მიერ დადგენილ წმინდა საიდუმლოებებში, – ცოდვათაგან მუდმივი განწმენდის, ღვთისა და მოყვასთა მიმართ თავგანწირული მსახურების, განსაცდელებთან ბრძოლისა და ტანჯვის, პერმანენტული სულიერი განახლებისა და ზნეობრივი სრულქმნილების, შინაგანი აღორძინებისა და განღმრთობისაკენ შეუჩერებელი სწრაფვის პროცესში, როგორც მამა ადამის წიგნებიდან წარმოჩენილი პირადი ცხოვრებიდან და მისი სულიერი ავტოპორტრეტიდან ჩანს, – თანდათანობით ვძლევთ ხნოვანებას, ვძლევთ ხანდაზმულობას, ვძლევთ სიბერეს და სიბერიდან, ხნოვანებიდან – სიჭაბუკისაკენ, ახალგაზრდობისაკენ, ბავშვობისაკენ მივდივართ, მივდივართ არა უკან, არამედ წინ – ბავშვობისაკენ, რომელიც, მამა ადამის თქმით, „ერთი მთლიანი, დიდი სამყაროა, მეგაგალაქტიკაა, სამყაროების ერთობლიობაა“.

მამა ადამი, როგორც პოეტი და როგორც ღვთისმსახური, ერთდროულად მიწაზეც ცხოვრობს და ზეცაშიც, დროშიც ცხოვრობს და მარადისობაშიც, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიწაზე, მაგრამ მიმართულია ზეცისკენ, ცხოვრობს წარმავალ დროში, მაგრამ სუნთქავს მარადისობით.

როდესაც მამა ადამის წიგნებს ვკითხულობთ, დროიდან შევდივართ მარადისობაში, როცა ვწყვეტთ კითხვას, ჩვენ ვბრუნდებით დროში, – ისე, რომ წარმავალ დროში ვსუნთქავთ მარადისობით, მარად „ბავშვური ბავშვობით“. სწორედ მარადისობის ეს სუნთქვა და „ბავშვური ბავშვობის“ ჟანგბადი აკლია დღეს ყველაზე მეტად თანამედროვე მწერლობას, თანამედროვე ხელოვნებას, და საერთოდ, აკლია მთლიანად ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს...

დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა, ვისთვისაც, მამა ადამის პოეტური თქმით, განწირულობა გვაქვს იმისთვის, „ვინც და რაიც თავს გვირჩევნია“, ჯერ კიდევ დაფარულია ულმერთობისა და მატერიალიზმის ყინულით. და ამ დროს პოეტის, ხელოვანის, შემოქმედის, და, რაღა თქმა უნდა, ღვთისმსახურის, ისევე როგორიც ყოველი ჩვენგანის მოწოდებაა, გავალღოთ ეს ყინული! და ათონელ მამის, ამფილოქის გამონათქვამის ერთგვარი პერიფრაზირებით ვიტყვით, რომ თუ ჩვენ ამას შევძლებთ, მაშინ აუცილებლად აღმოვაჩენთ მატერიალიზმისა და ულმერთობის გალღობილი ყინულის ქვეშ იმ მიწას, რომელიც მოციქულთა გუთანმა დაამუშავა და წამებულთა სისხლმა და ჩვენი ღირსეული წინაპრების ოფლმა მორწყა. აი, მაშინ კი გავიხარებთ, მაშინ კი სარწმუნოებრივი და სულიერი მზე, მზე სიმართლისა, ანუ უფალი ჩვენი და მაცხოვარი იესო ქრისტე გაათბობს ქართულ მიწას! და ჩვენი მიწაც, ჩვენი მამულიც, მაშინვე გამოისხამს იმ კეთილ კვირტს, რომელიც აყვავდება და სულიწმიდის იმ ნაყოფებით დაიხუნძლება, რომლითაც მდიდარი იყო ჩვენი ღვთისმოსავი წინაპრების ცხოვრება და მდიდარია ცხოვრება და შემოქმედება მამა ადამისა, რომელიც გვეტყვის:

„მე ჩემი სიტყვები ვარ, ჩემი ლექსები ვარ“ და რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებას გაიაზრებს, როგორც განუწყვეტელ განვითარებას ღვთისაკენ, მარადიულობისაკენ, რომელიც აქ, დედამიწაზე იწყება და გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება.

ამიტომ აქ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებით, სალვთო მცნებათა დაცვით, მაცხოვნებელი სულიერი და ხორციელი მოწყალებითი, საქმეების აღსრულებით ვინც რა სიკეთეს მოვიპოვებთ, ის მარადიულ ცხოვრებაში არ დაგვეკარგება, როგორც აპოკალიფსშია ნათქვამი, – ჩვენი საქმეები კვალდაკვალ თან წაგვყვება...

მამა ადამთან დაკავშირებით, რამდენჯერმე ვთქვი, რომ ის „ღვაწლშია“, რომ ის „მოღვაწეა“, რომ ის „მოღვაწეობს“...

ძვირფასებო, მოგეხსენებათ, დღეს, სამწუხაროდ, ჩვენ თვალწინ მრავალი სიტყვის, ცნებისა და ტერმინის პროფანირება-გაუფასურება ხდება, მათ შორის, ჩვენს მიერ ხსენებული სიტყვებისაც.

არადა, სულხან-საბას განმარტებით, „ღვაწლი“ არის „გაჭირვებული ომი“, „გაჭირვებაში ყოფნა და უფროსად – ომში“, „ღვაწლი არის დიდი გაჭირვებული საქმე ბრძოლისა, გინა – სათნოებისა“. „მოღვაწე არის – „მოჭირნახულე“. ხოლო ის, ვინც ამ გაჭირვებულ ბრძოლაში, ამ მძიმე ომში გაიმარჯვებს, არის „ღვაწლისამძლე“. სხვათა შორის, იოანე საბანისძე აბო თბილელის მთელ ცხოვრებასა და ღვაწლს სწორედ ამ ერთი ეპითეტით აჯამებს: „აბო თბილელი ღვაწლის მძლე დიდი მოწამე იყოო“.

როდესაც ვამბობთ, რომ მამა ადამი ღვაწლშია, მოღვაწეობს, ილვწის, ვგულისხმობთ, რომ იგი სიტყვით თუ საქმით როგორც საკუთარი, ისე მოყვასთა, თანამოძმეთა სულის ცხონებისა და გადარჩენისთვის წარმოებულ ყოველდღიურ, განუწყვეტელ, გაჭირვებულ მძიმე ომშია ჩაბმული, რაც, არსებითად, ყოველდღიური მოწამეობის ტოლფასია და გვწამს, რომ ამ ომიდან, ამ ბრძოლიდან, საბოლოოდ, „ღვაწლისმძლე“ ანუ გამარჯვებული გამოვა!

▶▶ დასასრული. დასაწყისი „ლს“ №3.4

## „ლს“ - დიალოგებიდან

# ენა ერის სულის სარკეა

*ენათმეცნიერი*
**გიორგი გოგოლაშვილი**
*ესაუბრება პოეტ*
**დავით შემოქმედელს**





**გ. გ.:** დავით, მოგეხსენებათ, „ენა და მწერალი“ იქნება ჩვენი საუბრის თემა. მოდი, ასე დავიწყოთ:

მიხეილ ჯავახიშვილი წერს: **„უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს“...** კლასიკოსი აქ ორ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: **„ენის დაწმენდასა“** და **„მწერლის როლზე“** ამ საქმეში... რას იტყვით, დღევანდელ ვითარებაზე ამ თვალსაზრისით? ჟღერს სადღეისოდ ეს მოწოდება?

**დ. შ.:** რადგანაც დიდმა მწერალმა ეს საკითხი ორ ნაწილად გაყო, მეც, უპირველესად, თქვენი კითხვის პირველ ნაწილზე შევაჩერებ ყურადღებას; იმ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტის შესახებ, რასაც ქართული **„ენის დაწმენდა“** ჰქვია. როგორ გითხრათ, საკმაოდ პესიმისტურად ვუყურებ ამ საკითხს: ვფიქრობ, ქართული ენის სიწმინდის დაცვა თანდათან უფრო და უფრო გართულდება.

**გ. გ.:** მოდით, დავაკონკრეტოთ: რა **საფრთხეებს** ხედავ, რა ქმნის პრობლემებს?

**დ. შ.:** ჩემს პესიმიზმს მრავალი მიზეზი განაპირობებს: მასშტაბურად თუ შევხედავთ ამ პრობლემას, ერთ-ერთი მიზეზი არის გლობალიზაციის სწრაფი ტემპი. საქართველო ყოველმხრივ მზად უნდა შეხვდეს ამ პროცესს, მისგან მხოლოდ კარგი უნდა აიღოს და ცუდი უარყოს. მაგრამ ამ თემაზე საუბარი ჩვენს ფორმატს გასცდება. თვალშისაცემია, საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე მიგრაციათა სიხშირეც... სოციალისტურ სისტემას მრავალი თანმდევი ჭირის გარდა დადებითიც ჰქონდა. ჩაკეტილობას (რაც თავისთავად უარყოფითი მოვლენა იყო, იმ დროის მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის მიღწევებს გვაშორებდა), რაღაც დოზით სიკეთეც ახლდა: გარკვეულ რეზერვაციულ მდგომარეობაში აყენებდა ეროვნულ ტრადიციებს, ქართულ კულტურას. ეს კი სულიერი ფასეულობების შენახვის მყარ გარანტიებს იძლეოდა და **ქართული სახელმწიფო ენის დაცვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.** რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, მაშინდელი სახელმწიფო ენის პოლიტიკა გაცილებით უფრო ეროვნული იყო, ვიდრე დღესაა...

**გ. გ.:** რა დაგიმალო და, მეც ასე ვფიქრობ... თუმცა ამის ასე ხმამაღლა თქმა შეიძლება „დაგვძრახონ“... მაგრამ სად გავექცევით ფაქტებს?.. მაპატიეთ, შეგაწყვეტინეთ...

**დ. შ.:** გასაგებია თქვენი ფიქრი: მართლაც, იმ ჩეკისტურ-ათეისტური პერიოდისადმი ნოსტალგია რომ არ დაგვწამონ, ვიტყვი, რომ სახელმწიფო ენის მიმართ ეს იყო საბჭოთა სისტემის მიერ ერთგვარი კულტურული დათბობის ვორონცოვული პოლიტიკა, რომელიც კარგად გამოვიყენეთ. ამიტომ 1978 წელიც უნდა გაგვახსენდეს, სერიოზული საფრთხე რომ შეექმნა ქართულ სახელმწიფო ენას... რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უზარმაზარი იმპერიის პოლიტიკურ ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ ჩვენი საზოგადოებაც უფრო აქტიური იყო, მოძალებულ ბარბარიზმებს, სალიტერატურო ნორმების უხეშ დარღვევებს ერთიანი ძალით ებრძოდნენ: სახელმწიფო, ქართველი მწერლები და ენათმეცნიერები...

**გ. გ.:** და, ცხადია, შედეგიც უკეთესი იყო... **დღეს რა ხდება, დავით, საფრთხეებმა იმატა, თუ მზრუნველობა მოაკლდა** დედაენას?

**დ. შ.:** ერთიც და მეორეც... დიახ, **იმატა საფრთხეებმა.** სამყარო, რომლის ნაწილი ჩვენც ვართ, ჩართულია თანამედროვე ტექნიკურ-სამეცნიერო რევოლუციის სწრაფ ტემპში; რაც კიდევ უფრო გაიზრდება. ციფრული ტექნოლოგიების საუკუნეში ვცხოვრობთ. მიხეილ ჯავახიშვილი რომ წერდა, „ენის დაცვის საქმეში გაზეთს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მწერლობასო“, დღეს გაზეთის როლი ამ მხრივ საგრძნობლად შესუსტებულია. დატვირთვა სხვა მიმართულებით გადანაწილდა. ორი დინოზავრი – **ინტერნეტი და ტელევიზია** – უტევს ქართულ სახელმწიფო ენას; ეს არის **მთავარი საფრთხე ენის სიწმინდის დაცვის საქმეში...**

დრო აჩქარებულია – ინტერნეტის საშუალებით ელვის სისწრაფით შემოდის ახალ-ახალი ციფრული ენა, რომელიც თანდათან იფართოებს სეგმენტს ჩვენს სამეტყველო ენაში, მათ შორის ბეჭდურშიც. ენათმეცნიერებს კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდებათ, ჩაატარონ სელექციური სამუშაოები და ამ მოძალებული ციფრული ტერმინებიდან დაადგინონ, რა მიიღონ, რას უთხრან უარი და რას მოუძებნონ ქართული შესატყვისი ტერმინი. მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში საჭიროა შეიქმნეს სპეციფიკური, როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინ-ლექსიკონები. მერე კი ამას ყოველივეს პოპულარიზაცია სჭირდება, რომ თითოეულ ქართველამდე მივიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ისე გაითავისებს უცხოურ ტერმინებს, რომ მერე გარედან ქირურგიული ჩარევა შედეგებს ველარ მოგვიტანს.

**გ. გ.:** ვერც ვიფიქრებდი, თავისმართლება თუ მოგვიწევდა: ენათმეცნიერებს მომრავლებულ და მოძალებულ პრობლემებთან შემცირებული და შესუსტებული ძალებით უჭირს გამკლავება; გართულდა კოორდინაციის პრობლემაც... ველარ ვეწევით დროს... რაც მთავარია, ვინც უნდა გვედგეს გვერდით დედაენის მოვლა-პატრონობაში, ვისაც ევალება ეს იურიდიულად თუ მორალურად, იმან დაკარგა ინტერესი (მეტიც, ზოგჯერ მისგან გვიწევს დედაენის დაცვა!)... ნურც ამას დავმალავთ, მეცნიერების იგნორირება ხდება საერთოდ... თუმცა ისევ თემას დავუბრუნდეთ...

**დ. შ.:** ვისაც ევალებაო, ამბობთ... თუნდაც ელექტრონული მედია – ტელევიზია. ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს სახელმწიფო ენის სიწმინდისათვის, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, დიდი მონდომებით ყოველდღიურად ანაგვიანებს მას. მაგალითები უამრავია; ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

**გ. გ.:** გეთანხმებით, **დედაენასთან ყველა ვტყუით...** ვერ გავითავისეთ, ვერ ვირწმუნეთ ბრძენკაცის შეგონება – „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“...

**დ. შ.: ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ხარისხს სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს.** თითქოსდა წინ მივდივართ, უკვე გვაქვს სახელმწიფო ენის კანონი (2015 წ.) და სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (2017 წ-დან), მაინც ასეა: საქართველოში ქართული სახელმწიფო ენის უფლებები ყოველ ნაბიჯზე ილახება. ამგვარად გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია, ამით ქართული ენის მომავალს კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნება. ეს პრობლემა საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ხელისუფლებისაგან...

**გ. გ.:** განვაგრძოთ ჩვენი დიალოგი. ალბათ გახსოვთ მუხრან მაჭავარიანის ამაყი შეძახილი: „არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი...“ დავით, შენ, „ქართული ენის პატრონს“, უცხოეთში ყოფნისას რა „შეგშურებია“ სხვისი?

**დ. შ.:** უცხოეთში, სადაც კი ვყოფილვარ, ქუჩებში გამოკრული ბანერებით, რეკლამებითა და აბრებით უმალ იგრძნობა, რომელ ქვეყანაში ხარ; იგრძნობა იმ ქვეყნის სული, გარემო. ყველგან ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ წარწერები მათ მშობლიურ ენაზე იყოს, უცხოურზე კი – იშვიათად, ისიც მომცრო შრიფტით. ჩვენთან კი პირიქით... ამისი ჩარჩოში მოქცევა სახელმწიფოს პრეროგატივაა და ფაქტობრივად სახელმწიფო ენის სწორი პოლიტიკის არქონის გამო ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული...

**გ. გ.:** გეთანხმებით. ჩვენ ერთად გვივლია თელ-ავივისა თუ იერუსალიმის ქუჩებში; თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში... და, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში „მისაბაძად“ ყველა გამოდგება...

ახლა კი, დავით, თავში დასმულ შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, ენის სიწმინდის დაცვის საქმეში **„მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვესო“...** ვთქვათ ორიოდე სიტყვა ამაზეც... გახსოვთ, ამას წინათ მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით შეკრება რომ ჩავატარეთ, იქაც დავიჩივლე და მერე წერილიც დავბეჭდე – **„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“...** სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის ზემომოყვანილ მოწოდებას ვგულისხმობდი...

**დ. შ.:** თქვენი წერილი ძალზე დროული იყო. ვფიქრობ, ამ საკითხზე დისკუსია და საუბრები კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

**გ.გ.:** არის ვითომ ეს თემა სადისკუსიო?

**დ. შ.:** რა მოგახსენოთ... ეს თემა ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, მეტად მგრძნობიარეა. **ენა ერის სულის სარკეა; მწერალი ენაში სახლობს; ენა მწერლის სამოსახლოა!** რატომ მოხდა, რომ ქართული სახელმწიფო ენის დაცვის მნიშვნელოვან საკითხს ქართველმა მწერალმა გვერდი აუარა და დუმს? – ვფიქრობ, ამას აქვს **ობიექტური** და **სუბიექტური** მიზეზები.

დავიწყოთ **პირველით.** პრობლემა რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ცოტა შორიდან უნდა წამოვიდეთ: როგორი იყო მწერლის როლი ადრე და როგორი არის დღეს. მაშინ შემოქმედს უპირველესად „ერის წყლული მიაჩნდა თავის წყლულად“ (ილია ჭავჭავაძე), ანუ მეფის მსახურებასთან ერთად საზოგადო მოღვაწეც უნდა ყოფილიყო... დრო შეიცვალა, გლობალიზაციისა და მასკულტურის შემოტევასთან ერთად საზოგადო მოღვაწის ცნება, ხატი, ადგილი გაქრა... არადა, არასდროს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს... ერისკაცთა ადგილი სამოქალაქო სექტორმა, ე. წ. „ენჯეოშნიკებმა“, დაუღვინებელმა, ცხოვრებაგამოუცდელმა გოგო-ბიჭებმა დაიკავეს (ოღონდ შეცვლილი ამოცანებით – ეროვნულის, ტრადიციულის ნაცვლად ფსევდოლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება!). დაუღვინებელმა გოგო-ბიჭებმაო, ვამბობთ, მაგრამ საპირწონედ ძნელია ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე მოღვაწეთა ძალის შექმნა (ენობრივ პოლიტიკას რომ პრიორიტეტად მიიჩნევს), რადგან პოლიტანგაჟირებულ ახალგაზრდა აქტივისტთა მომძლავრებას, რიგ შემთხვევებში, ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოური სპეცსამსახურები, ქართული ოპოზიციური და სახელისუფლებო სპექტრი. ორ ათეულ წელზე მეტია ისინი პოლიტიკოსებთან ერთად ქვეყანაში საკუთარი აზრის დიქტატურას ამკვიდრებენ. სწორედ მათი ძალისხმევით, ტელე და ბეჭდური მედიის მათ გვერდით დგომით მწერალი დამცრობილი და გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდან, რომ მისი ხმა ფართო აუდიტორიასთან, ასიათასებთან მისულიყო. ვფიქრობ, ესაა ობიექტური მიზეზი იმისა, რომ მწერალი მოეშვა, ხელი ჩაიქნია და ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, როგორიც ქართული ენის სიწმინდის დაცვაა, სახელმწიფოსა და ენათმეცნიერებს შეატოვა ხელში...

**გ. გ.:** შეიძლება მთლად ვერ დაგეთანხმო, დავით; ამბობ: „მაშინ შემოქმედს უპირველესად ერის წყლული მიაჩნდა თავის წყლულადო“; ვინ განუსაზღვრა მწერალს ეს? ხომ თავად იტვირთა ამგვარი მისია შემოქმედმა?... ან კიდევ, „მწერალი გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდანო“... თუ მწერალი მოინდომებდა ამ სივრცის ბატონპატრონობას, შეძლებდა „ის ძალა“ მის გაყვანას „სააზროვნო სივრციდან“?.. როგორ ფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია დათმობდნენ ამ სივრცეს? მეეჭვება...

**დ. შ.:** გეთანხმებით, ჩვენი კლასიკოსები განსაკუთრებულად იაქტიურებდნენ, მაგრამ თუ ტელევიზიები მათ არ გაიკარებდნენ, მათი ხმა მილიონებამდე ვერ მიაღწევდა, ისინიც ჩაიკარგებოდნენ საერთო ქაოსში. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედაც შეძლებდა „ის ძალა“ ამას. თვალშისაცემია, რომ ხელშეწყობის ნაცვლად ქართული ტელევიზიები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეროვნულად მოაზროვნე თანამედროვე დიდი მწერლის, მეცნიერისა და ხელოვანის ხმა დაუმალონ საქართველოს. გახსოვთ, რამდენი საჭირბოროტო ღონისძიება ჩავატარეთ რუსთაველის საზოგადოებაში ენის, კულტურის, განათლებისა თუ სხვადასხვა საკითხზე, მოვიწვიეთ კულტურის, მეცნიერებისა და მწერლობის გამოჩენილი მოღვაწენი და, მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, ზედმეტად პოლიტანგაჟირებული ქართული სატელევიზიო სივრცე ვერ გავარღვიეთ. სასურველი შედეგის მიღწევაც, შეიძლება ვთქვათ, რომ ვერ შევძელით. ერთსაც დავამატებ: ცალკე თემაა ქართული მწერლობის ნეოლიბერალური ფრთა, რომელსაც, მართალია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მეტად მიუწვდებათ ხელი, მაგრამ მათ ყოველივე ეროვნულის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ და არც ენობრივი სიწმინდის პრობლემებზე ფიქრით დაიღლიან გონებას...

▶▶ დასასრული იქნება

# ყალბი საყურე და ოქროს გოგო

## ოლანი ბიწაძე

ოლანი ბიწაძემ პირველი ნაბიჯები, როგორც ავტორმა, მშობლიურ ჭიათურაში გადადგა. სკოლის პერიოდიდანვე მონაწილეობდა კონკურსებში, რომლებმაც გამოცდილება შესძინა.

2015-2016 წლებში ორი რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული გახდა; 2019 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის პროექტში გაიმარჯვა; 2021 წელს პირველი ადგილი დაიკავა კონკურსში „წლის დეტექტივი“; 2022 წელს გახდა ჟიურის რჩეული პალიტრა-L-ის კონკურსში „გახდი ბესტსელერის ავტორი“. გამარჯვებული წიგნი „მანიტუ“ შემოდგომაზე დაიბეჭდება.



გადაშლილ ხელისგულზე მზე ანათებდა და წყვილი საყურისგან არეკლილი სუსტი სხივები გოგოს თვალებში უჭყეტდა. ხან აქეთ მოატრიალა საყურე, ხან – იქით. ცოტა უცნაურად ეჩვენებოდა, საყურეს ხელით რომ სინჯავდა და არა ყურით, მაგრამ გამყიდველმა ფასის თქმამდე გამყინავი ხმით ზუსტად ეს აუწყა:

– აქ ყურზე ვერ გაგაკეთებინებ, – და რადგან გოგომ ძალიან კარგად იცოდა, რამეს ფასის თქმამდე – ამ საკრალურ მომენტამდე თუ გეუბნებიან, ესე იგი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, გამყიდველს აღარ შეკამათებია.

საყურე ძალიან ლამაზი იყო. ყოველ შემთხვევაში, გოგოს აზრით. მხოლოდ ის აფიქრებდა, მე რომ არ მომიხდესო? ამიტომ გონებაში ათასჯერ მაინც წარმოიდგინა საკუთარი თავი და თავის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ყურზე ჩამოკიდებული ეს პატარა საყურეები. მის წარმოდგენაში საყურე ძალიანაც უხდებოდა.

ბოლოს, როცა ამდენი ყოყმანით თვითონაც დაიღალა და გამყიდველიც დაღალა, გადაწყვიტა, ქალს გავახარებო და ვაჭრობის არანაკლებ საკრალურ მომენტში, ვიდრე ფასის გამოცხადებაა, გამყიდველს საზეიმო ხმით უთხრა:

– ვიყიდი, – თუმცა იმის გამო, რომ გაცივებისგან ხმა ოდნავ ჩახლეჩოდა, არცთუ საზეიმოდ გაიჟღერა მისმა ერთმა სიტყვამ და არც გამყიდველზე მოუხდენია ჩაფიქრებული ეფექტი. ქალი უკვე მეორე კლიენტზე იყო გადართული და გოგოსკენ მხოლოდ იმისთვის მოტრიალდა, მოწოდებული თანხა რომ გამოერთმია. გოგომ თანხა ზუსტად მიაწოდა და ხურდისთვის ლოდინი საჭირო აღარ იყო. რამდენიმე წამი მაინც მოიცადა უბრალო შეფუთვის მისაღებად, მაგრამ მერე ისევ ის საკრალური წესი გაახსენდა, რომლის თანახმადაც, ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ არც ნივთი და მით უმეტეს არც მყიდველი გამყიდველისთვის აღარ არსებობს და თავისი ახალი საყურით იქაურობას გაეცალა. მოდიოდა გოგო და მარცხენა ხელისგულში მოქცეული საყურეები მოჰქონდა.

ასე იყიდა ოქროს ბირჟაზე ოქროს ყველაზე დიდი დახლის პატრონის ქალიშვილმა ოქროსფერი საყურეები წვრილმანი ბიჟუტერიის გადამყიდველთან. ოქროსფერი საყურეები და არა ოქროსი და ეს, ოქროს ბირჟის ვაჭრის შვილმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა.

***

ლედი ერქვა, მაგრამ დედამისი სულ ეუბნებოდა, ლედისი არაფერი გცხიაო. ლედიც ეთანხმებოდა. ფიქრობდა, აბა, რა საერთო მაქვს იმ გოგონებთან, რომლებიც ქუჩაში ისე დადიან, გეგონება, კამკამა ტბაზე გედები დანარნარებენო. სარკეში საკუთარ თავს რომ უყურებდა ხოლმე, თვლიდა, რომ სახელზე მეტად დიდი ლოყები, ლოყებზე დიდი მკერდი და გამოზნექილი თეძოები არ უხდებოდა. უფრო სწორად, სახელი იმიტომ არ უხდებოდა, სახელის პატრონს ეს ყველაფერი რომ ჰქონდა. ბრაზობდა მამამისზე. ალბათ ამ სახელს რომ მარქმევდა, წარმოიდგენდა, როცა გავიზრდებოდი, მის ოქროებს მოვირგებდი და მართლა ნამდვილი ლედი ვიქნებოდიო. თუმცა ლედი გაიზარდა და სახელისა და ოქროს სამკაულების გარდა, ლედობასთან საერთოდ არაფერი აღმოაჩნდა. ეს კავშირი კი უფრო რომ გაეწყვიტა, მამის ნაჩუქარი ოქროს სამკაულების ტარებაზე უარი თქვა. მამა მაინც ჩუქნიდა. ლედი ინახავდა. მამას არც არასდროს უკითხავს, რატომ არ ატარებ ჩემს ნაჩუქარ სამკაულებსო. ამისთვის სად ეცალა მამას, როცა დილიდან დაღამებამდე ოქროს ბირჟაზე იყო და იმაზე ზრუნავდა, რომ მის შვილს თუ არა, სხვებს მაინც აუცილებლად ეტარებინათ მისგან ნაყიდი სამკაულები. ასეც იყო. ლედის მამას ოქროს ბირჟაზე ყველაზე დიდი დახლი და ყველაზე კარგი გასავალ-შემოსავალი ჰქონდა.

ლედიმ ბიჟუტერიის გადამყიდველთან ოქროსფერი საყურეები რომ იყიდა, პირდაპირ სახლში წავიდა. მეორე დღემდე ყველაფერი კარგად უნდა დაეგეგმა. საყურეები, რა თქმა უნდა, მისი გეგმის ნაწილი იყო. სხვა შემთხვევაში, რაში უნდა დასჭირვებოდა ამდენი ოქროს პატრონს იაფფასიანი ბიჟუტერიის ყიდვა?

საქმე ისაა, რომ ლედის სკოლაში ერთი ბიჭი მოსწონდა. ის ბიჭიც მეთორმეტე კლასში იყო, მაგრამ ლედისდა სამწუხაროდ, პარალელურ მეთორმეტეში. ლედი დარწმუნებული არ იყო, კლასელები რომ ყოფილიყვნენ, მასთან დაახლოებას უფრო შეძლებდა თუ არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს კარგი საბაბი იყო, რომ ყველაფერი ზუსტად ამ გარემოებისთვის დაებრალებინა. თავიდან ასეც იქცეოდა. მერე მიხვდა, რომ დიდი ვერაფერი შვება იყო, მარტო იმაზე ფიქრი, რომ პარალელური კლასელობის გამო არ გამოსდიოდათ არაფერი. ამიტომ გადაწყვიტა, სხვა რამე ეცადა.

საერთოდ, ლედი ძალიან გაბედული და თამამი გოგო იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავში ბევრი რამ არ მოსწონდა, ამას სხვებს არაფრით ამჩნევინებდა და ყველა თვლიდა, რომ ლედი თვითკმაყოფილი მეთორმეტეკლასელი მოსწავლე იყო, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა უნდოდა, რატომ და როგორ უნდა მიეღო ის, რაც უნდოდა. სინამდვილეში, ყველაფერი, რაზეც ლედი აცხადებდა, რომ მისი მიზანი, ოცნება ან სურვილი იყო, მოგონილი იყო. მოგონილი იმისთვის, რომ სხვებს არ ეფიქრათ, თითქოს ლედი ჩამოუყალიბებელი, საკუთარ სურვილებსა და შეხედულებებში გაურკვეველი ახალგაზრდაა. ამიტომაც ლედის ყველა კითხვაზე ძალიან სარწმუნო და ამომწურავი პასუხები ჰქონდა:

– საერთაშორისო ურთიერთობებზე ვაბარებ. ვფიქრობ, მაქვს იმის უნარი, რომ ადამიანებს, ქვეყნებს შორის შუამავლის როლი შევასრულო და დიპლომატიური ურთიერთობები სწორად წარვმართო.

– მაგისტრატურაში სწავლას საზღვარგარეთ ვაპირებ. უცხოეთში განათლების მიღება მარტო იმიტაცაა მნიშვნელოვანი, რომ სხვა კულტურის, სხვა ეროვნების ადამიანები გაიცნო და რაც მთავარია, დამოუკიდებლად იცხოვრო.

– ჩემი საყვარელი ფილმია „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“. თქვენ შეიძლება ნანახი არ გაქვთ, ძველი ფილმია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ფილმი საუკეთესოდ აჩვენებს, თუ რამხელა გამბედაობა სჭირდება საკუთარი აზრის გამოთქმას. მით უმეტეს მაშინ, როცა ყველას საწინააღმდეგო აზრი აქვს. და ა.შ.

და შეიძლება თვითონ ლედის სიმართლის სათქმელად არა, თუმცა ტყუილების სათქმელად გამბედაობა ყოველთვის ჰყოფნიდა, განსაკუთრებით სწორედ მაშინ, როცა ყველა საწინააღმდეგოს ფიქრობდა. როცა ლამის მის ყველა კლასელს იურიდიულზე ან სამედიცინოზე ჩაბარება უნდოდა, საყვარელ ფილმად კი „ადამიანი-ობობას“ ფილმებს ასახელებდნენ.

საყურეებთან დაკავშირებული გეგმა ლედის გამბედაობის კიდევ ერთი ნიმუში იყო. უფრო სწორად, საყურეები უნდა გამხდარიყო დამაკავშირებელი ლედისა და იმ ბიჭს შორის, რომელიც მას პარალელურ კლასში მოსწონდა. ბიჭს ცოტნე ერქვა.

აი, რა გეგმა ჰქონდა ლედის: ყველამ იცოდა, რომ მამამისი ოქროს ბირჟაზე ვაჭრობდა და არც ის გაუკვირდებოდა ვინმეს, ლედი ოქროს სამკაულებით რომ გამოცხადებულიყო სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ასე არასდროს მოქცეულა. ახლა სწორედ ამ ჩვეულების დარღვევას აპირებდა. გადაწყვიტა, რომ სკოლაში ოქროსფერი საყურეებით მივიდოდა და რამდენჯერმე იმასაც იტყოდა, რომ ეს ძალიან ძვირფასი საყურეები მამამ აჩუქა. ამას ცოტნეს გასაგონადაც იტყოდა დიდ შესვენებაზე, როცა პარალელური კლასელები სასადილოში იკრიბებოდნენ ხოლმე. მოგვიანებით კი, როცა ცოტნე სახლის გზას დაადგებოდა და მისი და ლედის სახლის გზა, საბედნიეროდ, თან საერთო იყო, თან ერთ კონკრეტულ აღმართზე ცოტნეს უკვე არცერთი თანამგზავრი აღარ ჰყავდა, ლედი ცალ საყურეს გზაზე წინასწარ დააგდებდა და შორიდან დააკვირდებოდა, რომ ცოტნეს ეს საყურე შეემჩნია. თუ ვერ შეამჩნევდა, მისი წასვლის შემდეგ ლედი საყურეს აიღებდა და საერთოდ, მანამ გააგრძელებდა ამ თამაშს, სანამ ერთ დღეს ცოტნე საყურეს მართლა არ იპოვიდა. მერე ახალი ეტაპი იწყებოდა. ეს ეტაპი იმის გარანტია იქნებოდა, რომ ცოტნე ლედის მიწერდა და სხვა თუ არაფერი, ერთხელ მაინც პირისპირ შეხვდებოდა დაკარგული, „ძვირფასი“ ოქროს საყურის გადასაცემად.

ლედი ამ გეგმაზე რამდენიმე კვირა ფიქრობდა და მხოლოდ მაშინ გაიაზრა, რომ ამის გაკეთებას მართლა აპირებდა, როცა სახლში მოსული სარკის წინ დადგა და ახლადნაყიდი ოქროსფერი საყურეები ყურეზე ჩამოიკიდა. პირველი, რაც იფიქრა, ის იყო, რომ არ უხდებოდა. საერთოდ, მის წარმოდგენაში ყველაფერი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა ხოლმე. მაგრამ ახლა მნიშვნელოვანი ეს არ იყო. გეგმის ხათრით გადაწყვიტა, აეტანა ერთი დღით ამ საყურეების ტარება.

მთელი ღამე მოუსვენრად იყო. სიზმარში ხედავდა, როგორ მოდის მასთან ცოტნე და მომუშტულ ხელს უწვდის, საიდანაც ოქროსფერი საყურე ანათებს. მერე, როცა ლედი ამ საყურეს იკეთებს, თვითონაც ოქროსფერი ხდება და ისე ბზინავს, თავისი სილამაზით ცოტნეს თვალს სჭრის. ცოტნე კი ეუბნება:

– ოქროსავით ანათებ, – ლედი უღიმის და პირველად ცხოვრებაში, თუ რა თქმა უნდა, სიზმარში ცხოვრება ითვლება, ლედი ფიქრობს, რომ ნამდვილი ლედია და თავისი სახელი ძალიანაც რომ შეეფერება.

***

– ხო, გოგო, მამაჩემმა მაჩუქა, ხო ლამაზია? – ამბობს ლედი დიდ შესვენებაზე ვითომ თავისი ერთ-ერთი თანაკლასელის გასაგონად. ამ გოგოს ლედი კლასელი გოგონებიდან ყველაზე მეტად ვერ იტანს, მაგრამ სასადილოში მასთან ერთად წასვლა ზუსტად იმ მიზეზით გადაწყვიტა, რა მიზეზითაც ვერ იტანს. ეს გოგო – ელენე, ყველა მეთორმეტეკლასელ ბიჭთან მეგობრობს, მათ შორის პარალელურ კლასელებთანაც. სასადილოში შევიდნენ თუ არა, ელენე სწორედ პარალელური კლასელებისკენ წავიდა. ოთხნი იყვნენ. ერთ-ერთი ცოტნე იყო. ლედიმ თავისთვის და ელენესთვის ქიშმიშიანი ფუნთუშა იყიდა და მიუხედავად იმისა, რომ ერთი ფუნთუშა არასდროს ჰყოფნიდა, გადაწყვიტა, ცოტნეს თანდასწრებით თავი შეეკავებინა. სასადილოს კუთხეში მათთან მივიდა და ელენეს ფუნთუშა გაუწოდა, თან სწორედ ამ დროს თავი ისე გააქნია, რომ მისი პატარა საყურეები ელენეს როგორმე თვალში მოხვედროდა. ასეც მოხდა. ელენემ სხვათაშორის უთხრა:

– უი, საყურე როგორ გიხდება, – ლედის ჯერ სიბრაზე დაეუფლა, როგორ მატყუებსო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ახლა ამის დრო არ იყო და გეგმას უნდა მიჰყოლოდა.

– ხო, გოგო. მამაჩემმა მაჩუქა, ხო ლამაზია? – ელენემ თავი დაუქნია და შეკითხვა რომ აღარ დაუსვა, ლედიმ თვითონ დაამატა. – ოქროს ბირჟიდან მომიტანა. – ელენემ ამაზე მხოლოდ მრავლისმეტყველად შეხედა. თითქოს ამბობდა, ვა, რა მაგარია, მაგრამ ფეხებზე მკიდიაო. სამაგიეროდ, ცოტნეს ერთ-ერთმა კლასელმა ბიჭმა წამოიძახა:

– ოქროა და რამე? – ლედი ხედავდა, რომ მათ ცოტნეც უსმენდა. ამიტომ უფრო თავდაჯერებულმა გასცა პასუხი.

– ჰო, აბა. ყალბი ხო არ იქნება, – ესეც ასე. გული გამალებით უცემდა. ფიქრობდა, ნეტავ, ხომ არაფერი მეტყობაო. აღელვება რომ დაემალა, სახე ქიშმიშიან ფუნთუშაში ჩამალა და ცოტა ხნით ტყუილი რომ აღარ წამოცდენოდა და რამე არ გაეფუჭებინა, ფუნთუშის დიდი ლუკმით საკუთარ თავს მოაკეტინა. მის საყურეზე ლაპარაკი მორჩა. ელენემ ოსტატურად შეძლო საუბრის ცენტრალური ფიგურის ადგილი დაეკავებინა და ბიჭებთან კალათბურთზე გააბა ლაპარაკი.

ლედიმ ბოლო გაკვეთილი გააცდინა, ცოტნესთვის რომ გაესწრო და იმ აღმართზე მასზე ადრე ასულიყო. საყურე მოიხსნა, თუმცა გზაზე არ დაუგდია. შეიძლება ცოტნეს მოსვლამდე ვილაც სხვას აევლო ის გზა და საყურე მას

ენახა. ლედი ცარიელი ჯიხურის უკან იმალებოდა და ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მისი წუხანდელი სიზმარი ხდებოდა. მართლა ოქროსავით ბზინავდა იმიტომ, რომ მზე პირდაპირ ჯიხურს აცხუნებდა და რადგან სხვა დასამალი ადგილი არ იყო, ლედი იქაურობას სიცხის გამო ვერ დატოვებდა. მზის და ნერვიულობის გამოც, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ზურგიც ისე გაუოფლიანდა, გრძნობდა, როგორ ეკვროდა მაისური და ახლა ცოტნეს დანახვაზე მეტად ცივი შხაპის ნაკადის დანახვა უნდოდა. მაგრამ იცოდა, რომ ეს აუცილებელი მსხვერპლი იყო და მხოლოდ მზის გამო ყველაფერს წყალში ვერ ჩაყრიდა. თანაც ეს წყალიც წარმოსახვითი იყო და ეს წარმოსახვითი რალაცები უკვე ყელში ჰქონდა.

ბოლო გაკვეთილის დასრულების დრო რომ დადგა, ლედის ღელვა დაეტყო. ახლა კი საყურე მართლა უნდა დაეგდო გზაზე და თან, რაც შეიძლება გამოსაჩენად. ამაზეც წინასწარ ჰქონდა ნაფიქრი. შემჩნეული ჰქონდა, რომ ამ ალმართზე ავლისას ცოტნე სულ ერთსა და იმავე ადგილზე ისვენებდა და ფეხსაცმელზე თასმებს იმონწმებდა. უცნაური ჩვევა ჰქონდა, მაგრამ ეს ჩვევა ლედის გეგმის ისეთივე აუცილებელი ნაწილი იყო, როგორიც ყალბი საყურე. ამიტომ ამ ჩვევის გამო ლედი ცოტნეს სულაც არ განსჯიდა.

სამალავიდან გამოვიდა და საყურე გზაზე დადო. რამდენჯერმე შეუნაცვლა ადგილი და ბოლოს, როცა უკვე იმის შეეშინდა, ცოტნემ არ მომისწროსო, საყურე დატოვა და სამალავში დაბრუნდა. მისი სამალავიდან ალმართის დასაწყისი კარგად ჩანდა. თუმცა თვითონ ცოტნე დიდხანს არ გამოჩნდა. არ გამოჩნდა არც ათი, არც ოცი წუთის მერე. ლედი თითქმის ერთი საათი იცდიდა და ყველა იმ ვერსიას უშვებდა გონებაში, რის გამოც ცოტნეს დააგვიანდა: შეიძლება მეგობრებთან საუბარში გაერთო, შეიძლება დღეს ერთით მეტი გაკვეთილი ჰქონდა, შეიძლება მაღაზიაში შეიარა და ა.შ. როცა უკვე იმდენი დრო გავიდა, რომ ცოტნეს ამ ყველაფრის მოსასწრებად თავისუფლად ეყოფოდა, ლედი სამალავიდან გამოვიდა და ალმართს მოწყენილი აუყვა. ზურგი სულ სველი ჰქონდა და სულაც არ ეჩვენებოდა, რომ მზის ოქროსფერმა სხივებმა ოქროსი გახადა. სწორედ ამაზე ჩაფიქრებულს გაახსენდა, რომ ცოტნესთვის გზაზე დაგდებული საყურის აღება დაავიწყდა და რადგან უკვე ალმართის ბოლოში იყო, უკან ჩასვლა აღარ უცდია. კმაყოფილმა გაივლო გონებაში:

– კიდევ კარგი, მეორე ცალიც მაქვს.

***

მეორე დღეს ლედი ბოლო გაკვეთილიდან ისევ გამოიპარა. ამჯერად გაცილებით ნელა აიარა ცარიელ ჯიხურამდე მისასვლელი ალმართის ნაწილი და უფრო სევდიანმა, ვიდრე აღელვებულმა, ცოტნეს ლოდინი დაუწყო. ისევ რომ არ გამოჩენილიყო, მერე რა უნდა ექნა? დღეს სკოლაში რამდენჯერმე მოკრა თვალი, მაგრამ იმას ხომ არ ჰკითხავდა, გუშინ გაკვეთილების მერე სად წახვედიო. ამას კი არა, საერთოდ ვერაფერს ეკითხებოდა. აკი, მთელი ეს გეგმაც სწორედ იმისთვის შეადგინა, რომ მასთან გამოლაპარაკება შეძლებოდა.

ლედი ბრაზობდა იმის გამო, ადამიანებს ზუსტად მაშინ რომ უნდებათ, რაღაც ჩვევებს ულალატონ და გზიდან გადაუხვიონ, როცა ამ ჩვევებზე ძალიან მნიშვნელოვანი რამაა დამოკიდებულიო. მართალია, ლედის და ცოტნეს მომავალი ურთიერთობა შეიძლება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სულაც არ იყო, მაგრამ ლედისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს კმაროდა. ერთი ისიც კი იეჭვა, პირდაპირი გაგებით, გზიდან ხომ არ გადაუხვია ცოტნემ და სხვა გზით დაიწყო სახლში სიარულიო, მაგრამ, რამდენადაც იცოდა, ცოტნეს კორპუსამდე სხვა გზა არ მიდიოდა.

მზე იმაზე მეტად აცხუნებდა, ვიდრე გუშინ. მაგრამ ლედი ახლა უფრო მომზადებული იყო. ჩანთიდან ნაჭრის ქუდი და გაყინული წყლის ბოთლი ამოიღო. ქუდი თავზე მოირგო, გაყინულ ბოთლს კი ხან სად იდებდა, ხან – სად.

როცა შესაფერისი დრო მოვიდა, ლედი სამალავიდან გამოვიდა და ცალი საყურე შერჩეულ ადგილზე დადო. მანამდე შეამოწმა, მეორე ცალი ისევ იქ იყო თუ არა, მაგრამ რომ არ დახვდა, არც უდარდია და არც ის უფიქრია, რომ შეიძლებოდა, სხვა ვინმეს ეპოვა. ბოლოს და ბოლოს, ლედი ხომ საყურის მპოვნელს ეძებდა და არა საყურეს.

სამალავში დაბრუნებულმა ათი წუთის შემდეგ შეამჩნია, რომ ალმართის დასაწყისში რამდენიმე ბიჭი დაემშვიდობა ერთმანეთს. მეორე მიმართულებით რომ წავიდნენ, ისინი, სავარაუდოდ, ცოტნეს ძმაკაცები იყვნენ, ალმართზე ვინც ამოვიდა, ის – ცოტნე. ლედის გულისცემა აუჩქარდა და ინატრა, ნეტავ, გუშინდელი განმეორებულიყო და სულ არ გამოჩენილიყოო. ლამის სამალავიდან გამოვიდა და თავის საყურიანად იქიდან გაიქცა. მაგრამ იცოდა, რომ ცოტნეს ალმართზე ვერ აასწრებდა და იმაზე სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე ახლა იყო: ცარიელი ჯიხურის უკან დამალულს ყინულის ბოთლი ნერვიულობისგან მკერდზე მიეხუტებინა და ვერ გრძნობდა, რომ ბოთლი მაისურს უსველებდა.

ცოტნეს რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი საყურის ადგილამდე. ცოტაც და ფეხსაცმლის თასმების შესამოწმებლად გაჩერდებოდა. ეს რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ცოტნე შედგა. ლედის თვითკმაყოფილება დაეუფლა, მართლა კარგად ვიცნობო და დაჟინებით დააცქერდა. ცოტნემ სხვათაშორის დაიხედა ძირს და ზუსტად მაშინ, როცა ლედიმ იმედი დაკარგა, რომ საყურეს მართლა დაინახავდა, ბიჭი დაიხარა და წამოდგომის შემდეგ ხელში რაღაც ნივთი შეათვალიერა. ლედი აქედან ამ ნივთს მთლად კარგად ვერ ხედავდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მისი საყურე იყო. ცოტნემ ნაპოვნი ნივთი ჯიბეში ჩაიდო და გზა განაგრძო. ლედის კიდევ უფრო დასცხა. აღარც გაყინული წყლის ბოთლი შველოდა, თან ყინული უკვე გამდნარიყო და როცა ლედიმ ეს შეამჩნია, თავისი სველი მაისურის შერცხვა. კიდევ კარგი, სახლამდე ისე მივიდა, არავინ შეხვედრია. სახლში მისული კი გეგმის ახალ ეტაპზე ისე გადავიდა, სველი მაისურიც კი არ გაუხდია.

***

ლედიმ ტელეფონი ხელში მოიმარჯვა და სკოლის საერთო Facebook-ჯგუფში პოსტი-განცხადება გამოაქვეყნა: Dges sayure davkarge. Vinmem Tu ipovet, shemexmianet. Dzalian dzvirfasia da chemi mshoblebi momklaven!!!

სამი ძახილის ნიშანი მეტი დრამატულობისთვის დასვა. ისე, მანამდე იმაზე არასდროს უფიქრია, რომ ცოტნეს შეიძლება მისთვის საყურე ზუსტად იმის გამო არ დაებრუნებინა, რომ ძალიან ძვირფასი ჰგონებოდა. ლედი მიხვდა, რომ ცოტნეს არც ისე კარგად იცნობდა, მის პატიოსნებაში ბოლომდე დარწმუნებული რომ ყოფილიყო და ახლა იმაზე უფრო დარდობდა, ცოტნე ასეთი გაიძვერა არ აღმოჩენილიყო, ვიდრე იმაზე, რომ მას და ცოტნეს შეხვედრის მიზეზი ჰქონოდათ.

ლედის პოსტს რამდენიმე მოწონება და ერთი Wow ჰქონდა, რომელიც ელენეს ეკუთვნოდა. ელენემ პირადშიც კი მისწერა:

– Mamashenis nachuqari sayure dakargeee? – ლედის მასთან საუბრის გაბმა არ უნდოდა, მაგრამ იცოდა, რომ შეიძლებოდა, ასე ცოტნესთვის ხმა უფრო მიეწვდინა და ამიტომ ელენეს უპასუხა.

– Kii da Ro gaigos momklavs ☹ – ელენემ მის შეტყობინებას ტირილის ემოცია დაასვა და დაამშვიდა.

– Nu geshinia. Gamochndeba. – ლედიმ იფიქრა, ამ გოგოს ადამიანის დამშვიდებაც კი არ შეუძლიაო და გადაწყვიტა, მისთვის აღარაფერი მიეწერა. ელენეს მოწერილ ტექსტს მხოლოდ წითელი გულის ემოცია დაასვა.

მთელი საღამო ამოწმებდა ლედი, ცოტნემ ხომ არაფერი მომწერაო, მაგრამ ცოტნე არ ჩანდა. მისი პოსტი საერთოდ არ უნახავს. ლედიმ გადაწყვიტა, მეორე დღემდე თუ არ გამოჩნდებოდა, ხელახლა დაეწერა ჯგუფში და საწოლში ამაზე ფიქრით დაწვა. სწორედ ამ დროს ოთახის სიბნელეში მობილურის ეკრანი აინთო და ლედის მოეჩვენა, რომ ეკრანზე მართლა ოქროს ასოებად ეწერა შეტყობინების გამომგზავნის სახელი და გვარი: Tsotne Kakhiani.

ლედიმ შეტყობინება სასწრაფოდ გახსნა. მხოლოდ ფოტო იყო. ფოტოზე ვილაცის (სავარაუდოდ, ცოტნეს) გაშლილი ხელისგული ჩანდა. ხელისგულზე ლედის ცალი საყურე იდო. სანამ ლედი რამეს მიწერდა, ცოტნემ კითხვა გამოუგზავნა.

– esaa xo sheni sayure? – ლედი გრძნობდა, როგორ დასცხა. იმაზე მეტად, ვიდრე რომელიმე დღეს, როცა ცოტნეს ჯიხურის უკან დამალული ელოდებოდა. უცებ გონს მოეგო, ცოტნე რომ არ ელოდინებინა და პასუხი მიწერა.

– Vaime, kiii. Esaaa ^–^ -უნდოდა შეტყობოდა, რომ ძალიან გაუხარდა. ცოტნეს რამდენიმე წუთი აღარაფერი მოუწერია. ამიტომ ცოტა ხანში ისევ ლედიმ მიწერა. – Gadamarchine. MARTLA. – ამის გამო თავი დატუქსა. ზედმეტად ეჩვენებოდა უკვე სიტუაციის ასე დამძიმება, თან ჯერ ცოტნეს იმაზეც კი არაფერი უთქვამს, რომ საყურეს უბრუნებდა. მაგრამ სხვა შემთხვევაში ფოტოს არც გამოუგზავნიდა. ეს მისმა შემდეგმა სიტყვებმაც დაადასტურა.

– Xval mogcem skolashi. – ლედიმ წარმოიდგინა, როგორ უწვდის ცოტე ცალ საყურეს და მერე როგორ აბამენ ლაპარაკს. ბევრ რამეზე შეიძლება ილაპარაკონ: მომავლის გეგმებზე, პროფესიაზე, საგნებზე, მასწავლებლებზე, საყვარელ მუსიკაზე ან ფილმებზე. ლედის ყველა კითხვის პასუხი მოფიქრებული აქვს და არ დაიბნევა. თან რეპეტიცია უკვე იმდენჯერ გაიარა გონებაში, რომ ცოტნე იქით უნდა ნერვიულობდეს, თვითონ რომ სრულიად მოუმზადებელი ხვდება მათ პირველ პაემანს. ჰო, შეიძლება „პაემანი" ცოტა ხმამაღლა ჟღერდა, მაგრამ ლედი გონებაში ამის თქმის უფლებას აძლევდა თავს. ბოლოს და ბოლოს, გონებაში რაც არ უნდა ხმამაღალი სიტყვებით ილაპარაკო, შენი მაინც არავის ესმის. ლედის ეს მოსწონდა.

სანამ ჩაეძინებოდა, ახლა უკვე სიზმრის გარეშე დაინახა ლედიმ სურათი, როგორ უწვდის ცოტნე ოქროსფერ საყურეს და ლედი სიხარულისგან მართლა ოქროდ იქცევა. ცოტნე კომპლიმენტად ეუბნება:

– ოქროსავით ანათებ, – და ლედი ბედნიერია.

***

ლედიმ საგანგებოდ ამ დღისთვის ახალი შარვალი და მაისური ჩაიცვა. შავი შარვალი სპეციალურად შეარჩია იმიტომ, რომ შავი, მისი აზრით, გამხდარს აჩენდა. არც ეს სამოსი იყო ლედობისთვის შესაფერისი და დედამ გამოსვლისას მოაძახა კიდეც, გოგოსავით როდის უნდა ჩაიცვაო. თუმცა თავისი პაემნის დღეს ლედის განწყობას დედამისის უაზრო რეპლიკებიც ვერ გაუფუჭებდა. მართალია, ამ პაემნის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, მათ შორის არც იმან, ვინც ამ პაემნის ისეთივე აუცილებელი მონაწილე იყო, როგორიც ლედი. მაგრამ ოდესმე გაიგებდა და ეს უკვე საკმარისი იყო.

ლედი პირველივე შესვენებაზე გავიდა დერეფანში, მაგრამ ცოტნე ვერსად დაინახა. იფიქრა, შეიძლება პირველ გაკვეთილზე არ იყოო და მართალიც აღმოჩნდა. ცოტნე პირველ გაკვეთილს არ დასწრებია. მამამისს რაღაც საქმეში ეხმარებოდა.

მეორე გაკვეთილის შემდეგ ლედი კიდევ უფრო ფართოდ აცეცებდა თვალებს დერეფანში და ზუსტად მაშინ, როცა იფიქრა, მგონი, დღეს ცოტნეს საერთოდ ვერ ვნახავო, ცოტნე გამოჩნდა. დერეფნის ბოლოდან მოდიოდა და ლედიმ იგრძნო, როგორ აუჩქარდა გულისცემა. თუმცა ყოველთვის კარგად გამოსდიოდა თავის მშვიდად მოჩვენება და ახლაც ასე მოიქცა. გაოფლიანებული ხელები მუშტებად შეკრა და სცადა, როგორლაც თვალში მოხვედროდა ცოტნეს. ჩემი წონის პატრონს ალბათ ისედაც შემამჩნევსო, გაივლო გონებაში, მაგრამ ამაზე ფიქრს არ აყოლია და ღიმილიანი სახის მომზადება სცადა. ერთი სული ჰქონდა, საყურის გადაცემის ეს სულელური ცერემონიალი მოეშორებინათ და სხვა რაღაცებზე ელაპარაკათ. მერე ეს ურთიერთობა მართლა ნამდვილი იქნებოდა.

ცოტნე მოუახლოვდა თუ არა, რაღაცნაირად გაუღიმა. არც თავაზიანად, არც თბილად, არც ცივად. აი, ისე, ღიმილიც რომ არის და თან არც ღიმილია. მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და ლედის საყურეს რომ აძლევდა, თან სხვათაშორის უთხრა.

– ესეც შენი საყურე, – ლედი ისე დაიბნა, ძლივს მოახერხა, რომ საყურე გამოერთმია. მისთვის არც დაუხედავს. მთავარი ამის მერე იწყებოდა. ახლა უნდა დაწყებულიყო მათი ნამდვილი დაახლოება. ახლა ცოტნე რამეს ჰკითხავდა და საუბარიც აეწყობოდა. ასეც მოხდა. მაგრამ რაც ცოტნემ ჰკითხა, საუბრის ასაწყობად არ გამოდგა. სანამ ლედი კითხვას მოისმენდა, უკვე ფიქრობდა, წინასწარ მომზადებული რომელი პასუხის გამოყენება დასჭირდებოდა. სინამდვილეში კი არცერთი დასჭირდა იმიტომ, რომ ცოტნეს ამ კითხვის პასუხზე ლედის წინასწარ არ უფიქრია. ცოტნემ კი ჰკითხა:

– ისე, ყალბი როა, ხო იცი? – ლედიმ მხოლოდ ის არ იცოდა, რომ ცოტნეს მამაც ოქროს ბირჟაზე მუშაობდა და შვილს ზუსტად ამ საქმისთვის ამზადებდა.

და ჰო, ლედი ცოტნეს ნამდვილად არ იცნობდა.

2022 წლის 11 თებერვალი.



## გურანდა ბერია

***

მე შენ გხედავ –
შენსავე მუსიკაზე აცეკვებულს,
და ლოკოკინასავით ვიმალები საკუთარ ნიჟარაში.
გაგირბი.
შენ კი უფრო და უფრო ძლიერად უკრავ,
ნელ-ნელა მეწამულისფრად გენთება სახე.
აგერ მეც, უკვე გამოვდივარ ნიჟარიდან
და გულიდან გისმენ.
შენ უკრავ,
ისევ ისე უკრავ...
მერე მოდიხარ და თვალებით მღერი.
სისხლი კი ალისფერ ნაკადად ეშვება
საფეთქლიდან გულისკენ.
მე თვალმოუშორებლად გიყურებ.
დელოსელი ქალწულები ნელ-ნელა ტოვებენ კუნძულს
და შენში სახლდებიან.
უკვე თვალის ფერივით გეცვლება ფიქრები,
მიყურებ და გული გაგირბის.
რომელიღაც დელოსელს ქარმა თმები აუწეწა.
შენ უკვე მისთვის უკრავ...
ელვისებური სისწრაფით იზრდება მანძილი
ჩემიდან როიალამდე.
მშორდები...
თითები გიცვილისფრდება...
სადღაც ახმაურდა მეორე დელოსელი.
მე მოვკვდი.

***

ის ოცნებობს, იცხოვროს სახლში,
რომელსაც ლურჯი კარი
და ფერადი ფანჯრები ექნება.
მე კი რამდენიმე დღე ვუკითხავდი ლექსებს,
რომ მისი უფანჯრო ოთახი მენახა.

***

როდესაც მისი მუხლების ცახცახი
ყავის ფინჯნებს ძრავს,
ხოლო სუნთქვა – ფარდებს,
მგონია,
რომ სწორედ ის არის,
ვინც ჩემს გადასარჩენად უნდა მოსულიყო,
მაგრამ ჩემი სული,
პოეტის სული მუდამ მარტოა
და ერთადერთი,
რასაც ვინარჩუნებ – ყველაფრისადმი გულგრილობაა!

***

დილით ცარიელი სახლი და მისი წერილი დამხვდა:
„სანამ მონეტა ჰაერში იყო, მე ზუსტად ვ
იცოდი, რა უნდა გამეკეთებინა!“

***

ჭერიდან უცნობი გრძნობა – შიში დაეშვა.

***

ამ დრომდე მხოლოდ წარმოდგენა შემეძლო,
რას ვიგრძნობდი შენი თვალების კვლავ დანახვისას.
ახლა კი, როდესაც შენი თითები ისე მეხება,
თითქოს როგორც ჩემი სინდისი –
მეშინია!

მე ხომ პოეტი ვარ,
ჭეშმარიტი სულის პოეტი
ნუ მშიშარა,
ანუ მერყევი
და უსუსური.

შენამდე მხოლოდ ცეცხლს ვუყურებდი
და მუგუზლად ქალის სხეული მეჩვენებოდა.
გხედავ,
გხედავ, უფსკრულის თავზე ბოშა ქალივით რომ ცეკვავ.
თვალებით ნუ ზომავ მის სიღრმეს,
ვგრნობ, რომ დამიტევს.
ვგრძნობ, რომ შთანმთქავს
და ვილუპები.

***

შენ სიყვარულივით ლამაზი ხარ,
ოღონდ უფრო ძლიერი.

### დიკი

დილით გაჩერებაზე დიკი ვნახე.
სად მიდიხარ-მეთქი, – ვკითხე ხელებით.
ის დაბადებიდან ასეთი იყო,
მე – არა.
თავიდან, როდესაც ძალიან მიმძიმდა,
დიკმა ფურცელზე დამიწერა:
„ირწმუნე შენი თითების ძალა!“
„როგორ მინდა გითხრა,
რომ მიყვარხარ! – მივუწერე.
სულ ეს იყო.

შემდეგ დიკი ყოველდღე მოდიოდა ჩემთან
და ხელებით ლაპარაკს მასწავლიდა.
სწორედ მან მიმახვედრა,
რომ ჩვენი „საუბარი“ ხშირად სხვის ბგერებს
უსწრებს.

ავტობუსში რომ ავედით,
„ხანდახან ვფიქრობ,
აჯობებდა, თვალის სინათლე დამკარგვოდა,“ –
ვანიშნე და თითები ამიკანკალდა.
უბრალოდ იდგა,
ხელები ჯიბეში ჩაეყო.
„მე რომ თვალის სინათლე დამკარგვოდა,
სხვების სიბრალულით სავსე მზერას ვერ ვნახავდი-მეთქი, –
საკუთარ თვალებზე ავიფარე ხელი და
თითქოს ლაპარაკით დავღლილიყავი, ამოვისუნთქე.

ვიგრძენი, გულისცემა რომ უხშირდებოდა და ისიც,
მისი ხელი ქურთუკის ჯიბეში რომ აღარ ეტეოდა.
ელდანაცემივით ჩავიდა.
– სად მიდიხარ? – ისევ ისე ვკითხე.
– შენ შეგიძლია, გესმოდეს ჩემი მსუბუქი გულისცემა,
მე კი სამყაროს ხმაურიც არასდროს გსმიგია,
– მითხრა ხელებით და რამდენიმე წამის წინ
გულიდან მოშორებული მარჯვენა ხელი ისევ
გულთან მიიდო.

### შავი ყორნები

შენი თვალები სხედან ჩემს მხრებზე,
ვით მეჩეთის გუმბათზე შავი ყორნები.
მწველია შენი მზერა,
როგორც უდაბნოს ქვიშა.
მაგემე წყალი – შენი ქვეყნის ჯადოსნური ისტორიები,
რომელიც მანამდეც მიზიდავდა,
სანამ შენთან ჩამოვიდოდი.
მიამბე ისევ,
ვით „1001 ღამის ზღაპარი"
და მე დავრჩები შენს ხელებთან
კიდევ ერთ დღეს
და კიდევ ერთ ღამეს...

როცა ხელს მკიდებ,
ვგრძნობ,
იცვლება უფლის საუფლო.
ოღონდ ნუ მიგაქვს ჩემი წითლად შეღებილი
ფრჩხილები შენს ყელთან – ვულკანთან,
რომლიდანაც მათი ჩამოშორება
ჰგავს ლავის ამოფრქვევას.

მხოლოდ შენი თვალებიდან ჩანს
ხეოფსის დიდი პირამიდა ასე რვაკუთხა
და შენი ქალაქი – კაირო
ისეთი ახლო და მომნუსხავი,
რომ ციება მიტანს.

ციება მიტანს
და მოძვრებიან ფიქრები,
როგორც ქვიშიდან მორიელები –
უნდა გავიქცე შენი უდაბნოდან,
უნდა გავექცე შენს ტალღებს იქ,
სადაც დალმართზე დაგორებული ყვითელი
ბურთივით სწრაფად კი არა,
მზე დინჯად ჩადის.
ჩვენ ხომ ისიც არ გვაქვს საერთო.

***

შენი თვალები ისხდნენ
ჩემს მხრებზე,
როგორც მეჩეთის გუმბათებზე შავი ყორნები.



## შალვა საბაშვილი

### ავად არის ყველაფერი

დასჯდომია ყველას ავად
ბოროტების ღიობა,
აღარ იცი, საით წავა
მფრთხალი კაცობრიობა.
დილაა თუ საღამოა –
ვერ გაარკვევ წუთითაც,
ნეტავ კიდევ რა გამოვა
ამ პანდორას ყუთიდან?
ვერ შევიგნეთ: ზეცის ნება
რისხვის მოძალებას შლის,
ხოლო სიბრძნე გამოკრთება
მხოლოდ მოკრძალებაში.
სივრცეს ნისლი მისწოლია,
შიშით გამაზრიალებს,
დედამიწის ისტორია
შევძარ–დავატრიალეთ.
ჩვენ რომ ფართოდ უნდა ვხსნიდეთ,
თვითვე ვგმანავთ იმ კარებს,
მოვაცილეთ ყოველს რიდე,
დავუკარგეთ სიმყარე.
მოუთმენლად, გრიალ-ზარით
(საქმე გაუგონები!)
ერთიანად დავიპყარით
აკრძალული ზონები.
რამდენ უვიცს ერგო წილად
თავხედურად ებოდა,
იქ შევცვივდით, სად ნამდვილად
არრა გვესაქმებოდა.
დღეს ყველანი ნადავლს ნთქავენ,
ყველგან – წყება ტყვეების,
დედამიწა გადავთხარეთ,
მიმოვჩეხეთ ტყეები.
შევაშფოთეთ: არსი შიდა,
გადაშლილი ტყე-ველი,
ოკეანეთ წიალი და
ზეცა აუმღვრეველი.
შევურყიეთ გარსი მილმეთს,
ვიგემეთ აკრძალული,
ატომიდან გამოვიხმეთ
რისხვა გადამალული.
გავიტანეთ ბრაზი გარეთ,
გავაცოფეთ მნათობი,
არც ქედები არ ვიკმარეთ
თეთრად გადანათოვი.
არ ვალმერთეთ ლურჯი ია,
არც ნაქები მუზისგან:
ლურჯ ქარების სიმფონია
და წვიმათა მუსიკა.
არ ვადიდეთ მზის ჯავარი
და ჟამის ბუნიობა,
ჩვენ ხელვყავით მთლად მთავარი –
ყოფის ბუნებრიობა.
დაიბინდა ცა ელვარე,
დაიგრიხა ორბიტა,
ყველა დრო და ყველა მხარე
ამოვარდა ნორმიდან.
ალვირახსნა გაბატონდა,
სიბილწეთა მმკობელი,
შევარყიეთ, რაც რამ გვქონდა
სულის დამატკბობელი.
წმინდის მგმობელ-მოქილიკედ
გადაიქცნენ „მგოსნები“,
თითქოს არცროს ყოფილიყვნენ
რაინდები ოცნების.
დღეს სიცოცხლეს მოყვასისას
თეთრის ფასი მიეცა,
და მონამლულს გვიშენს ისარს
პლანეტა თუ მღვრიე ცა.
ბოროტს ნივის ყოფა მჟღერი –
სულგამოცლილ ზურნებად,
ავად არის ყველაფერი
და არც სურს განკურნება.
ყველა იღვწის ეშმაკისთვის,
მზიურ წყობას სხვა სპა რევს,
ჩრდილში დარჩა ჭეშმარიტი,
ყალბი იპყრობს ასპარეზს.
დრომ აღრია საგანთ წყება,
შუქი აუკუნეთა,
უნდათ ამოყირავება
გავლილ საუკუნეთა.
რაღაც ძალა უცხო წივილს
ამაზრზენად დაიმღერს,
რომ წესრიგი ღვთაებრივი
სამუდამოდ დაირღვეს.
შესევიან საბალახოდ,
მძლავრობს ჟინი გზნებული,
რომ საზღვრები გადალახონ
მათთვის მინიშნებული.
მაგრამ ტყვენი შემცდარ ნების
ჩვენსავ დამჭერ მახედ ვართ,
არ იქნების, არ იქნების
ყველაფერში ჩახედვა!
ცუდს გვიქადის შმაგი ვნება
აწყვეტათა მქებარის,
არც შეხება არ იქნება
ყოვლად შეუხებარის.
ჟღერს დრო-სივრცის გადამრჩევი:
„სუსტში კრთის ძლიერება!“
და არს ყოვლის გადამრჩენი
მხოლოდ ზომიერება.
მისია აქვს აყალოსაც,
მინა ცით ნამკობია,
და გარდაქმნას სამყაროსას
მისი ცქერა სჯობია.
ფლობს ყოველი შესაფერ შიფრს,
გზად შორ მიზანთ გამო ვართ,
ნუ ვიჭრებით ყველაფერში –
უკან ველარ გამოვალთ!
ყოველ არსთან გავდოთ ხიდი,
დავტკბეთ გრძნეულ ალებით,
ნუ ვზობოქრობთ, ყოვლის მშვიდი
ვიყოთ მაცქერალები!..

### ვერ დაეწევი ხელახლა

მომხდარს გამქოლ შუქს ვერ აფენს სივრცე, შინაგან ფერთ მმხელს,
ვერ შეეხები ვერაფერს, რასაც შეეხე ერთხელ.
არ უწერია შენამხმარს, კვლავაც სინედლით თრთოდეს,
ვერ დაეწევი ხელახლა, რამაც გაგასწრო ოდეს.
სულ ზედმეტია ფიქრთცვენა, განრისხება თუ ომი,
მიუწვდომელად იქცევა, რაც იყო მისაწვდომი.
მძლედ მდგარი დარიახდება, ნუ განიკითხავთ, კაცნო,
ყოვლად უცნობი გახდება, რაც ჰგავდა ყოვლად ნაცნობს.
ყოფის მძაფრ სიეშმაკეზე აგეხილება თვალი,
ალიმართება ვაკეზეც ზღუდენი გარდუვალი.
ბილიკნი გაგვიჭიუხდეს, წმინდას გაუჩნდეს ლაქა,
წყობას ვერავინ მიუხვდეს ყველაზე მარტივ ნაქარგს.
გაუხდეთ გასაქილიკი, რაც დღეს სრულყოფით მშვენობს,
ბავშვობის ძველი ბილიკიც უცხო ღრედ მოგეჩვენოს,
ესმათ სულ უფრო ნაკლებად, ამდენ ხანს რასაც ჰყვები,
გახდეს ყველაფრის გაკვლევა თავიდან დასაწყები!

### ფიქრები სკვერში

ხან ჟამის დენა მეცხარა, ხან ჩანდა დამდგარ ტბორად,
გადაიფრინა მერცხალმა, ბალახს მოაწყდა ბორა.
გსურს, უცხო სხივი დაეცეს ყოფას, გულმშვიდად მედინს,
თავისთვის საკვებს დაეძებს, ნელა მიმოდის მტრედი.
ვილაც თავს იგრძნობს ბელადად, ქვეყნად არაფერს იკმარს,
სორო დატოვა ნელა და სადღაც გასწია ხვლიკმა.
არ მოსდგამთ რამე სიავე მდელოებს, ალუშფოთვლებს,.
ხანდახან არხევს ნიავი მუხის და წაბლის ფოთლებს.
ცას ნეტარება ედება, სურნელი ასდის ნათიბს,
ბელურა დადის მტრედებთან – თანამოძმეა მათი.
მშფოთვარ ფიქრს ველარ მისევენ — ტკივილებს მიეძინათ,
ახლოს მტკვარი დის ისევე, როგორც დიოდა წინათ.
ფიქნი ეძებენ კარავებს, დისკო ჟამს მიაცილებს,
ჭიანჭველები ფარავენ ბალის კვადრატულ ფილებს.
აქ სხვანაირი სივრცეა – არვინ გასტყორცნის ისარს,
უფრო შეიგრძნობ ზვირთცემას მარადისობის ზღვისას.
სრულ მოძმედ ჩაეწერები, ვერსად დალანდონ ლობე,
სიო, ბალი და მწერები გულმშვიდად ბინადრობენ...

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ №3-5

## მანანა თევზაძე




***

**პროტაგონისტი**

*(პროტაგონისტი – ბერძნულ ტრაგედიაში პირველი მოქმედი პირია. დღესდღეობით, ეს ტერმინი ლიტერატურასა და კინოში აღნიშნავს მთავარ პერსონაჟს – რომანის, მოთხრობის ან სხვა ლიტერატურული თუ სინემატოგრაფიული ნაწარმოების მთავარ გმირს. პროტაგონისტის მოწინააღმდეგეს ნაწარმოებში ანტაგონისტი ეწოდება).*

იგია მსახიობი – პერსონაჟი... და მსახიობის მიერ შექმნილი სცენური სახე – პერსონაჟის განზოგადებული ნიღაბი. სწორედ ეს განსაზღვრება მიესადაგება რობერტ სტურუას თეატრის პროტაგონისტი მსახიობის მუშაობის პრინციპს.

ესაა მონოდრამა, ანუ ყველა მოქმედება იმგვარად ვითარდება, როგორადაც ამას ერთი ადამიანი ხედავს, უფრო სწორად – ეს კაცი!

მან წარმოადგინა მამაკაცი, რომელიც ცდილობს, არ იყოს ბრმა, რაშიც მას მიმიკა ეხმარება, ტუჩების მოძრაობა ხმის გარეშე...

პლასტიკურად – მხრებში არც ისე მოხრილი, თუმცა აშკარად ძალაგამოცლილი, მოძრაობის შენელებული რიტმით – რაც უნდა იყოს, ცხოვრება გავიდა! ჩახუთული ოთახი, რომელიც მისი ჩახუთული სულის სიმბოლოცაა და მისი სამყაროს სივრცეც...

მხოლოდ იშვიათად გარდაიქმნება იგი, მოძრაობა მოულოდნელად დაიხვეწება, ზიზღნარევი მზერა ჩნდება, თითქოს თავის გარემოზე უფრო მნიშვნელოვანი შეიქნა. სცენა სცენას მისდევს... რა თავბრუდამხვევია ამ კაცის დანარცხება, გაქრობა!

მისი გმირი უჩვეულოა თავისი ნახაზით, სქემით, რომელშიც ჩნდება სახის სოციალური ასპექტი, გროტესკული, ფანტასმაგორიული გადაწყვეტა... შეუძლებელია, მსახიობი გააკრიტიკო იმის გამო, რომ მის მიერ შექმნილი სახე ხელოვნური და არარეალურია!.. მისი გმირი რაღაც ნივთი არ არის, არც ნიღაბია, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე შეიძლება წავაწყდეთ. ამიტომაცაა ფინალური სცენა ასეთი ტრაგიკული ჟღერადობისა – კვდება ადამიანი! ილუპება სამყარო, ირღვევა სამყარო!

როლი სამაგალითოა თამაშის არაყოფითი შესრულების გამო.

მსახიობის თამაშის სტილი ავალებს მას, სხვაგვარად შეხედოს თავის გმირს, აფართოებს მის შესაძლებლობებს და ამით კიდევ უფრო მეტად ამდიდრებს ამ სახეს.

**დავით უფლისაშვილი** ერთ-ერთია, რომელსაც რეჟისორი ანდობს გმირის დამოუკიდებელ განვითარებას. კარნახობს გარეგნულ ხერხებს: კოსტიუმსა თუ ინტონაციებს, რითაც მსახიობის ფანტაზიას ააქტიურებს, მაგალითად, განსაკუთრებულ სიცილს ან ხმის მოდულაციას, რასაც ის ორ წუთში გრძნობს და აკეთებს კიდეც. ეტყობა, რეჟისორი უფრო მკვეთრ დამახასიათებელ ნიშნებს ეძებს გმირის ხასიათისათვის და ეხება მსახიობის შინაგან ლაბორატორიას.

მსახიობს საკუთარ სხეულში, ბუნებაში, ხასიათში მოძებნილი სიმართლე ეხმარება მხატვრული სახის ხორცშესხმაში. ტექნიკური მომზადება საშუალებას აძლევს, დაშორდეს საკუთარ თავს, უარყოს თავისი ვნებებისა და განცდების ეგოიზმი და შექმნას საკუთარ თავზე მაღლა მდგომი ხელოვნების ნიმუში.

სამსახიობო ტექნიკის განსაკუთრებულობა, მისი პლასტიკური და რიტმული ალღურვილობა, დომინანტურობა, მუსიკალობა აძლიერებს როლის მნიშვნელობას. მკვეთრი სამსახიობო ინდივიდუალობა და გარეგნული მოტივირება ერწყმის პროტაგონისტის ნიღაბს და რეჟისორის სპექტაკლის სახოვანი სისტემის ცენტრად ყალიბდება.

იგი ქმნის მინიურ სახეს. მკვეთრი, სასტიკი, თითქმის გამჭოლი, ერთ საგანს მიშტერებული მზერა თითქოს მთელ მაყურებელთა დარბაზს სწვდება. ამ მზერით იგი კაცობრიობის საშინელ მომავალს ხედავს.

გაყინული სახით, უმოძრაო სხეულით, ხმის ოდნავი კანკალით, მთელი სპექტაკლის მანძილზე ავანსცენაზე მჯდარი, რიტუალურისა და ყოფითის კონტრასტით ერთგვარ კომიკურ ეფექტსაც ქმნის, ამცირებს ტრაგედიის პათოსს... იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყოველი რეპეტიციის დასაწყისში რეჟისორს ჰქონდა პარტიტურა, სადაც მონიშნული იყო არა მხოლოდ მსახიობის ხმა, რიტმი და ძირითადი სიტყვები, რომლებზეც აქცენტი უნდა გაკეთებულიყო, არამედ სხვადასხვა ფრაზის ინტონაციებიც.

ის მარტოდმარტო ზის. თავდაპირველად მისი ჟესტები ხაზგასმით თეატრალურია, ფართო მონასმებით, მაგრამ მერე და მერე ხვდები, რამდენადაა იგი თავის თავში ჩაღრმავებული, ჩაკეტილი... შენელებული მოძრაობები, თითქოს მშვიდი, მაგრამ უცებ აფეთქებული თეატრალური მანერა და ღრმა, შიშთან შერწყმული თვითშეგნება.

მას მკვეთრი დიქცია აქვს, მაქსიმალურად ზუსტად გრძნობს და იცავს როლის ხმის ბალანსსა და პლასტიკურ პარტიტურას. მისი ჟესტები და რეპლიკები სადა და ლაკონიურია, რომელთა მეშვეობით ახდენს ჰალუცინაციებისმაგვარი მოქმედების დემონსტრირებას, რასაც ხილვების, სიზმრების ხასიათი აქვს.

მისი სახე, მიუხედავად შავი, მრგვალი სათვალისა, იცვლება და ნიღაბს ემსგავსება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელები, ფეხები, თავი, სხეული მას არ ეკუთვნის, თითქოს მისგან დამოუკიდებლად არსებობენ...

თავისი პირველი როლების თამაშისას სულ ჭაბუკი მსახიობი დავით უფლისაშვილი პროფესიულ საიდუმლოებებს ისეთი დიდი მსახიობებისგან სწავლობდა, როგორებიც იყვნენ სერგო ზაქარიაძე, რამაზ ჩხიკვაძე. ამასთან ერთად, კარგად იცოდა, რომ მსახიობის ხელოვნება იყო ის, რასაც ცხოვრებაში ეძებდა. სამსახიობო მონოდების აღმოჩენის სიხარულმა და შემოქმედების ბედნიერებამ ვერ დაჩრდილა მისი ფხიზელი მზერა და ამით უფრო მეტად კრიტიკული და მომთხოვნი გახდა, ვინაიდან მრავალი რამ შეიგნო და შეითვისა, კერძოდ, ის:

რომ შემოქმედებითი პროცესი ისევე ეყრდნობა სულიერი სიმშვიდის ზოგად კანონებს, როგორც ხელოვნება ადამიანური ბუნების საწყის მახასიათებლებს;

რომ ხელოვანი მსახიობის ფორმირება, არსობრივად, ფორმირებაა იმ პიროვნებისა, რომელსაც ერთგვარი ძალისხმევით ძალუძს სრულყოფილი შემოქმედებითი პროცესის გაცნობიერება და მსახიობად ყოფნა, ანუ ცხოვრებისეულ კანონზომიერებათა შეცნობა და მისი სცენურ სახეებად ჩამოყალიბება;

რომ მსახიობიც ადამიანია და მსახიობის ჩამოყალიბებაც რთული პროცესია, რომელშიც ცნობიერი და არაცნობიერი, შემთხვევითი და კანონზომიერი, სტიქიური და მიზანმიმართული პროცესები მონაწილეობენ;

რომ ამ პროცესში გადამწყვეტ როლს პედაგოგის პიროვნება ასრულებს, რადგან ზოგი რამ პროფესიული ტექნოლოგიებით გადმოიცემა და ზოგიც ენერგეტიკული, ფსიქოლოგიური, სულიერი შინაარსის მქონე ოსტატობის ნაყოფია...

მსახიობი გრიმს ისწორებს, მისი პერსონაჟი ბრმაა და ულონო, ფერმკრთალი, რადგან წლების განმავლობაში არ ტოვებს პატარა ოთახს.

გამოგვიტყდა, რომ როლის უკეთესად შესაგრძნებად – შავ სათვალეში თვალდახუჭული თამაშობს. საათ-ნახევრის განმავლობაში ის ცხოვრობს სცენაზე აქამდე არგანცდილი გრძნობებით...

მსახიობის მიერ საკუთარი სულიერი არსენალიდან მოხმობილი შინაგანი სიმართლე ეხმარება მას მხატვრული სახის ხორცშესხმაში. რეჟისორი იმგვარად ამონტაჟებს მსახიობის ნიღაბს საკუთარი კომპოზიციური აგებულების სტრუქტურაში, რომ ხსნის ადამიანსა და სამყაროს წინააღმდეგობებს. ეს ნიღაბი შედგება ადამიანური პიროვნულობისა და მხატვრული ინდივიდუალობისაგან.

სწორედ მის მიერ შესრულებული პერსონაჟი აერთიანებს სპექტაკლის კომპოზიციას. მას შეუძლია ერთდროულად იარსებოს ნიღაბშიც და, ამავე დროს, გადმოსცეს პიროვნული დამოკიდებულება პერსონაჟისადმი.

სწორედ არტისტი, არა უბრალოდ მსახიობი, არამედ პროტაგონისტი, ამშვენებს სპექტაკლის ემოციურ ნერვს და ხდება მისი ცენტრი.

მსახიობის მიერ შექმნილი სცენური სახე არის გმირის განზოგადებული ნიღაბი!

სწორედ ეს განსაზღვრება შეიძლება მოვუძებნოთ იმ პრინციპს, რომლის მეშვეობითაც მუშაობს სტურუას სპექტაკლებში მისი თეატრის პროტაგონისტი მსახიობი.

სპექტაკლ „თამაშის დასასრულის“ ოთხი პერსონაჟი ცარიელ ოთახში ელის სამყაროს აღსასრულს.

ინვალიდის ეტლში მჯდომი ჰამი თავის მსახურთან თუ შვილთან ერთად მსჯელობს სიცოცხლესა და სიკვდილზე. ორივე გმირს ერთდროულად სძულთ და უყვართ ერთმანეთი. საკუთარი სხეულის უმწეობა აიძულებს ჰამს, სჭირდებოდეს კლოვი და: თან ეზიზღებოდეს ეს საჭიროება, კლოვი კი რატომღაც ძალას ვერ პოულობს საძულველი სახლის დასატოვებლად.

ჰამი, როგორც მცირე სამყაროს მეთაური, ამ სამყაროს თავის კანონებს კარნახობს. კაცობრიობა ილუპება, ის კი ცოცხალია, მეზობლებს არ აძლევს მარცვალს თავისი საბძლიდან და საწვავს ლამპისათვის, მაგრამ სიკვდილი ახლოსაა, მარცვალი აღარ იზრდება... აიძულებს მსახურს, ჭოგრიტით უყუროს მიწას, ზღვას, დააკვირდეს ბუნების კვდომას და სრულიად ბრმა ელის საკუთარ, კლოვის, ნაგისა და ნელის სიკვდილს. ოდესღაც უარი თქვა ბავშვის გადარჩენაზე და ახლა ამ შემთხვევას იხსენებს, როგორც ზოგად ეპიზოდს... სურს, თავი დააღწიოს მშობლებს, მსახურს უბრძანებს, საიმედოდ ჩაკეტოს ისინი და მათ სიკვდილს ელოდება. ადამიანია კი? ადამიანია!.. ეტყობა, ადამიანის უზნეობამ გავლენა მოახდინა მთელ კაცობრიობაზე. ჰამი სასტიკია და მაინც საცოდავი, რადგან ყველა ადამიანი საცოდავია!

ეპიზოდებად დანაწევრებული ტექსტის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი დრამატული სახე – ტელეფონით გასაუბრება – ტელეფონის ფალსიფიკაცია, ვითომდა საუბარი, კვლავაც ის თამაში, რომელშიც ორივენი ერთვებიან და ეს, ალბათ, პირველად არ ხდება, რადგან ეს ამ თამაშის წესია, და იმედი აქვთ, ოდესმე მართლაც შედგება ეს საუბარი მათსა და იმ ვიღაცას შორის, რომელიც მათს შემდგომ ყოფნა-არყოფნას გადაწყვეტს...

ჰამის წამოძახილი: „ - რა კარგია სამყარო!..“ – თავის მოტყუების კიდევ ერთი მცდელობაა, კიდევ ერთი გაბრძოლება იმედისათვის...

სპექტაკლის ესთეტიკა აიძულებს მასში მონაწილე მსახიობებს, შეიმუშაონ თამაშის უფრო მეტად დახვეწილი ხერხები, რაც უფრო მეტად ზრდის ექსპრესიულობას.

ისინი ასრულებენ არა ადამიანთა როლებს, არამედ ადამიანურ ვნებებს...

მსახური და მოსაუბრე – კლოვი, გოგა ბარბაქაძის შესრულებით – ტრაგიკული ასახვაა ადამიანური საწყისისა. თითქოს ძლივს მოძრაობს, მაგრამ სახის მიმიკა მის ემოციებს, საუბრის მთელ ემოციურ ტექსტს ასახავს. სულ ახლახან უარმყოფი იმწამს იცვლის აზრს...

მე წავალ!.. – ამბობს კლოვი. სახეზე სიამაყე და ამპარტავნება აწერია.

– არა, შენ ვერ შეძლებ წასვლას, ვერ შეძლებ ჩემს მოკვლას! – უმტკიცებს სავარძელში მჯდომი უსინათლო. – შენ დარჩები!

– დიახ, დავრჩები! – ეთანხმება კლოვი.

და შიში და სასოწარკვეთა ესახება სახეზე, თვალებში; სახე გათეთრებული აქვს და დროდადრო გაურკვეველი ღიმილით იყინება.

ეს არის მაგალითი მსახიობის მიერ სხეულის სრულყოფილი ფლობისა, რომელიც მას პიესის გმირის გახსნაში ეხმარება. მსახიობმა მაყურებლამდე მისი არსი, მისი სილამაზე უნდა მიიტანოს.

კლოვი ჰამისათვის არა მხოლოდ თვალები და მოძრაობაა სამყაროში, არამედ ემოციური შევსებაც. მათს ერთიანობას, ალბათ, მარტოობა ჰქვია და ერთმანეთს ამ მარტოობას უვსებენ.

რატომ მიდის ბოლოს კლოვი? თუკი აბსურდული ურთიერთობაა, მაშინ ის აბსურდის მწვერვალამდე უნდა მივიდეს აუცილებლად... მაგრამ თამაშის დასასრული რომ არ ჩანს? კლოვი კიდევ ერთხელ, ალბათ, მერამდენედ, გადის კარიდან, რალაც დროის გასვლის შემდეგ ბრუნდება და ყველაფერი თავიდან იწყება.

წარსულის მეტაფორაა ნაგვის ურნები, რომელთაც გულმოდგინედ ყრიან ნაგავსაყრელზე, და სიცარიელე, სახელად უიმედობა, მთელი იმ სივრცის ამავსებელია.

აგერ: ჰამის მშობლებით დასახლებული ნაგვის ორი ურნა, ოდესღაც მშვიდი ცხოვრების შესახებ მოგონებების გამზიარებელნი... ტრაგიკული ოჯახი, დამცირებული მამა... შვილებს შეუძლიათ, მშობლები ნაგვის ურნაში ჩაყარონ და დღეში მხოლოდ ერთი გამხმარი ორცხობილა მისცენ...

ყველა პერსონაჟი თითქოს უმოძრაოა, მათი ცნობიერება – დაბინდული, გაწამებული და მოჯადოებულ წრეში მოძრავი...

მსახიობები აღიარებენ, რომ სპექტაკლზე მუშაობა იოლი არ ყოფილა, რომ ტექსტი არ იყო ყოველთვის გასაგები...

არავინ იცის, გარდაიცვალა თუ არა ნელ ნაგვის ურნაში. როგორც ჩანს, გარდაიცვალა, მაგრამ ეს ზუსტად არავინ იცის. „მხოლოდ ის ვიცი, რაც ფურცელზე წერია. შენ კი შენებურად გააკეთე...“ – ბეკეტის მიერ ხშირად ნათქვამი ფრაზაა.

რეჟისორის ზეამოცანაა დასცინოს სიკვდილს.

სამყაროს გროტესკული ხედვა გავლენას ახდენს სპექტაკლში როლების განაწილებაზე. რეჟისორი მიმართავს მსახიობისა და გმირის ფსიქოფიზიკური შეუთავსებლობის გავრცელებულ ხერხს. ამას ეყრდნობა სპექტაკლის მხატვრული აგებულების უდიდესი წილი. აქცენტი კეთდება გმირისათვის დამახასიათებელ თვისებებზე – კოსტიუმის, მიმიკის, სიარულის, ლაპარაკის მანერის მახასიათებლებზე, რომლებიც სპექტაკლის პირველივე სცენებიდან იჩენენ თავს და მთელი სპექტაკლის განმავლობაში უცვლელად რჩებიან, რაც მიუთითებს როლზე მუშაობის ფერწერულ პრინციპზე, როგორც მთელი სპექტაკლის შემკვრელზე.

სპექტაკლში ამ აბსურდული პიესის სცენები და დიალოგები საშიშ მნიშვნელობასა და შინაარსს იძენს, ცხოვრების ტექნიკური გამეორება შესაძლებელია გახდეს საშინელი და საძაგელი სამყაროს საფუძველი.

თეატრალურ სივრცესთან დიალოგისათვის მსახიობისა და მხატვრის შეხედულებათა თანხვედრაა საჭირო. გასათვალისწინებელია ამ სივრცის მაყურებლისმიერი აღქმა და მსახიობი ხდება ფორმის, განათებისა და ფერის მოძრაობაზე აგებული მხატვრის ხელოვნების საგანი.

კვამლი – ლურჯი, მოთეთრო, იისფერი, მომწვანო კვამლი ეფინება სცენას, ანუ სამყაროს. ეს ზმანების ფერია, ჰალუცინოგენებით წარმოქმნილი კვამლი, ბურუსიანი, რომელიც თითქოს იფანტება, მაგრამ სულ რჩება სცენაზე და დროდადრო განახლდება, იმისთვის, რომ წარმოშვას ახალი სიზმარი, ახალი ხილვა,- ზმანება... ეს ყველაფერი ხომ სიზმარია, ავადმყოფი გონების მიერ წარმოქმნილი ხილვა, ხილვა მძინარე გონებისა, რომ აქ, ამ სამყაროში მარცვალი აღარ იზრდება, დაშრა ყველა წყარო და მდინარე და ზღვაში თითქოს აღარ მოიმატება, რადგან ზღვაც დაილია...

სპექტაკლში სავსებით ფერწერული განათება, სინათლის ფერადოვნება შესაძლებლის ზღვარს იქით გადადის და დროდადრო ყურადსაღებ ნივთს, საგანს, ადამიანს ამოაშუქებს...

მინიმალურად გადაწყვეტილი ინტერიერის უეცარი ცვლა თითქოს პერსონაჟთა ხმის მოდულაციას შეთანხმებია...

ხმა და რიტმი მთავარი გამომსახველი საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც იქმნება სიმბოლოები, რაც სპექტაკლის ყველა სცენის ემოციური და რიტმული კამერტონია.

საბოლოო ჯამში კი, ყოველივე ეს რეჟისორის მითითებებისა და ამოცანების ზუსტ შესრულებას მოითხოვს.

რეჟისორი, მოსავს რა მსახიობსა და სცენას კოსტიუმით, მათ თითქოს გარსში ახვევს, რომლისგანაც ვერც ერთი ვერ ახერხებს თავის დაღწევას.

არტისტები – მსახიობები, მკაცრად დადგენილ პლასტიკურ ნახატს ემორჩილებიან, რომელიც სპექტაკლის მუსიკალურ სიუჟეტშია ჩართული.

მსახიობს რეჟისორის გარეშე არაფერი შეუძლია, ვერც სცენოგრაფს და ვერც მუსიკოსს... რეჟისორი ბატონ-პატრონია თეატრალური სივრცისა!

რეჟისორის შემოქმედება, რა თქმა უნდა, თეატრალური აზროვნების შემდგომ განვითარებაზე ახდენს გავლენას.

ვერ გეტყვით, რამდენად მოიხიბლებოდა სემუელ ბეკეტი, რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „თამაშის დასასრული“ რომ ეხილა, მაგრამ ერთი კი ცხადია – სპექტაკლი მოგვითხრობს სამყაროს აღსასრულსა და მისი გადარჩენის უმანკო ცდაზე. სპექტაკლის მიწურულს სცენაზე გამოჩენილი ბიჭი იმედს გვიტოვებს, რომ ამქვეყნად ყოველივე ამაზრზენი დავიწყების მორევში ჩაიძირება.

დასასრულ, ბიჭისკენ გასროლილი ტყვია წყლის უზარმაზარ ფარდას ნამოშლის – გამყოფ ზღვრად კაცობრიობასა და ამ ბიჭს შორის, და დასასრულიც იქვეა!.. უზარმაზარი ტალღა, რომელიც წაშლის ყველას და ყველაფერს, და პირადად ჩემთვის, არავითარ კვალს არ დატოვებს... გაქრება ადამის მოდგმა და კაცობრიობის უპირველესი წიგნიც, ასე ძლიერ რომ სურს ბიჭს, მის მიმართ ადამიანთა ინტერესი გაალვივოს... კაცობრიობას ყველაფერი მობეზრებია და არ იცის, დაიწყო თუ უკვე დასრულდა ბოლო სვლა... რადგან ამაოა ყოველი და ყოველივე ამაოებათა ამაოებაა!

„დამშვიდდით, ადამიანებო, ბოლო მაინც დადგება“...

და მაინც...

მიუხედავად იმისა, რომ რობერტ სტურუა ათეული წლებია, ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრს, როგორც თავისუფალმა შემოქმედმა და დიდმა რეფორმატორმა, სრულიად განსხვავებული სტილი შესძინა მას, ეპოქალური სპექტაკლები დადგა, და არა მხოლოდ ქართულ თეატრალურ სივრცეში, თუმცა მან საკუთარი სკოლა არ ჩამოაყალიბა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თავისი შემოქმედებითი ექსპერიმენტის **პრიორიტეტულ საგნად** მსახიობი არ აღიარა.

უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მას არ ჰყავს თავისი მსახიობი!

ეს თვისება ერთდროულად გვევლინება მისი მაღალი პროფესიონალიზმის საბუთად და პიროვნული მოქნილობის, გულახდილობის გამოვლინებად.

თეატრი მსახიობითა და მაყურებლით იწყება. მსახიობს მოჰყავს მაყურებელი თეატრში, თეატრი არ იწყება პიესით და არ იწყება დეკორაციით, მსახიობია მთავარი, მსახიობი, რომელსაც აქვს სათქმელი, რომელსაც სურს – წარმოადგინოს, შექმნას... თეატრი მხოლოდ მიზეზია შეხვედრისა. ყველაფერი მსახიობის წარსულისგან აიგება, მისი თეატრალური გამოცდილებისაგან, მისი დღევანდელობისაგან, სპექტაკლზე მოსული მაყურებლისაგან...

და ასე იბადება თეატრი!

# ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები



მაია ცერცვაძე

## არ იქნა და არ ელირსა...

საფლავს სიმწარით ჩამავალმა გრიგოლ ორბელიანმა სამშობლოს დამხობასთან ერთად თავის უბედობაზეც დაიჩივლა. სიყვარულის ღმერთი მართლაც არ სწყალობდა პოეტსა და გენერალს – ახალგაზრდაც იყო, გულიც სიამით უძგერდა, მაგრამ... დანიშნული გაუთხოვდა, თავდავიწყებით ეტრფოდა ნინო ჭავჭავაძეს, ის კი... ძმაო, გრიგოლო – ასე იწყებდა ხოლმე საპასუხო მოკითხვის ბარათებს. ეგეც კია, რომ ვერც მოიცალა ქორწინებისთვის – გადასახლებასა თუ გამუდმებით სამხედრო ლაშქრობებში მყოფი გრიგოლი „პრიკაზის“ ვალებში ჩაფლულ ოჯახს, და-ძმებსა და დისშვილებს მთელი სიცოცხლე ხელს უმართავდა.

ოჯახური სითბოსა და ცხოვრების თანამგზავრის ნატრული პოეტი უნატიფესი სატრფიალო ლექსების თხზვაში, არშიყობასა და ფლირტშილა ჰპოვებდა ნუგეშს. დიდად ჰყვარებია ნათესავ-მეგობრებთან გახუმრებანიც სასიყვარულო-მატრიმონიალურ თემებზე. სწორედ ერთ ასეთ ოხუნჯობას მოჰყოლია მისი „სალომეს“ ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ – ქართული ფრივოლური პოეზიის შედევრი, ნათესავი ქალის, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლისათვის მესამე ქალის დაბადების გამო რომ შეუთხზავს და გამოუგზავნია უცხოეთიდან. მიძღვნის ადრესატს ავტორი „ბეჟანა მკერვალთან“ გამიჯნურობას „სწამებდა“.

„ნუ გამიწყრები კი სალომევ! და მგონი ეჭვი იყოს ანგარიშში მაგ ახალ შობილზე ბეჟანამ მკერვალმა რაღაც მითხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემიძლიან; ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისთვის ეს ლექსი ბეჟანასაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს ძეობისათვის მომირთმევია“ -ო, სწერდა მას თანდართულ წერილში.

სალომე ორბელიანი, ბაგრატიონთა სისხლიც რომ უჩქეფდა ძარღვებში, ჭეშმარიტი არისტოკრატის სიდარბაისლით შეხვედრია მის ამ გახუმრებას და მშვიდად მიუწერია: „საწყალ ბეჟანას“ მკვდარს მაინც დაეხსენ, ერთი წელიწადი არის მოშორდა ყოველს თავის ვენერებს“-ო, თანაც დაუმატებია: „შენი ჭირიმე, ძმაო, ყოველთვის გახსოვდე შენის ლამაზის ლაპარაკით, შენმა გაზდამ დიდათ სასიამოვნო არის ჩემთვის შენი ლაპარაკი, შენი ბედნიერების მოსურნე შენი და სალომე ჭავჭავაძისა“-ო.

სალომეს გარდა ორბელიანთა სხვა ქალ-რძალთათვისაც კარგად იცლიდა, არც მათ აკლებდა ყურადღებას. აი, როგორ და რისთვის დაუტუქსავს შორეთიდან მზრუნველ მაზლს „საყვარელი ძალუა“ – უმცროსი ძმის ზაქარიას ქვრივი და თავისივე სახლიქალი, ბიძაშვილი სოფიო:

„ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი ალავერდში წასვლა, მითომ სალოცავად – შევიტყვე, ო თქვენი ამბავი სულ წვრილად შევიტყე: როგორ წაბძანებულხართ ალავერდს სოფიოსთან ერთად, მითომ სალოცავად, მაგრამ ხალხი კი სხუა მიზეზს ამბობენ: როგორ შექცეულხართ, როგორც ღამე გითევიათ და სხუანი და სხუანი. კარგად დაწვრილებით შევიტყე. მაგრამ ორი სტარუხა ქვრივები, რომ ცხენებს მძაჭენებდით და მიეშურებოდით, მითომ ვინ უნდა გაგეხარებინათ თქვენის იქ მისვლითა, თქვენის ლოცვაში ტყუილის ოხრვითა და გულში ცემითა? – კარგი, ამის ანგარიშს, როცა მოვალ, მაშინ მოგთხოვთ“-ო.

დიდად უხარებდა გულს პოეტს ნაცნობ წყვილთა შეუღლებანი, დაუოჯახებელ მეგობრებს კი საქორწინოდ აქეზებდა და ხან მაშვლადაც უდგებოდა. „სხვათა შორის ჩვენი სტუმარი იქნება დღეს მამუკას ქალი, ახლად გამოსული ინსტიტუტიდამ, სახით მშვენიერი, წელით საროზე აღზრდილი. – შე წყეულო, ეს მაინც შეირთე“-ო, – სწერდა თავის საქმეთა მმართველს დიმიტრი ჯორჯაძეს, აი იმას, ხუმრობით ნაპოლეონის მდივნის სახელით რომ მიმართავდა ხოლმე: „ჩემო საყვარელო დიმიტრი, ანუ ჩემო ბურიენო“-ო. რამდენიმე თვის თავზე კი შეთავაზებული საცოლის გათხოვებას ნიშნისგებით ატყობინებდა: „კვირაცხოვლობაა მიწვეულნი ვართ ატენს მამუკას ქალის ქორწილში“-ო... და ქოქოლას აყრიდა: „შენ კი თვალი დაგიდგა“ – ო.

ბაბალე ორბელიანთან ტაბახმელიდან გამოგზავნილ ერთ წერილში კი ასე დაუჩივლია: „მეორეს დღეს...... კამპანია ერთიანად გვესტუმრნენ ჩვენ და შეიქმნა ლხინი, მაგრამ არშიყობა კი არ იყო და უამისოდ, სწორედ გითხრა, წასვლა-მოსვლა და სადილი, სრულებით არაფერია“ – ო.

ერთ რამედ ღირს გრიგოლ ორბელიანის ეს სტრიქონები, მაღალმხატვრული პროზის ნიმუშებთან ერთად სასიყვარულო ოხუნჯობანისა და ქართველ არისტოკრატიაში ფლირტის კულტურის არსებობის თვალსაჩინო დადასტურებაც რომაა.

## ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი

საქართველოში, მგონი, ყოველ ხეს თავისი საკუთარი ჰყავს პოეტი: ატმის ხეს – გალაკტიონი, ვაშლისას – ტიციანი, ჭერმისას – გოგლა... ......

ვაჟას წიფელი, შოთას ალვა, ტატოს ჩინარი...

აი, თუთის ხეს კი სულ სხვა ეშხი ანნა-ბულბულმა მისცა.

ჩვენში თუთის ორი სახეობა იზრდება – თეთრი და შავი, იგივე ხართუთა, ნაყოფის სიმსხოს გამო ასეთი პოეტური სახელი რომ შეურქმევიათ: „ვითომ ხარის თავის ტოლი თუთაო“ – განგვიმარტავს გრიშაშვილი „ქალაქურ ლექსიკონში“. ივნისის თვეში ხართუთა მეტად ფერწერულია – მის ხასხასა მწვანე ფოთლებს ნაყოფი ალაგ წითლად, ალაგ შავად და ალაგ ჯერ ისევ თეთრად ეფინება და ედება, ძირს დაცვენილი მწიფე-მწიფე ხილი კი ისე სვრის ხის მიდამოს, რომ იქ გავლა მეტად საფრთხილო და სახიფათო, შეიძლება ფეხი აგისხლტეს და დაეცე.

თუთის ხეები ძველთბილისური უბნებისა და ეზოების მშვენება იყო და არის.

ფერმკრთალ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ვილნოს გუბერნიაში გადასახლებულ გიორგი ერისთავსა და გრიგოლ ორბელიანს სხვა მშობლიურ სანახავებთან ერთად ისინიც ხშირად აგონდებოდათ და ენატრებოდათ. „ღმერთმა ჰქმნას, მშვიდობით გვენახოს ერთმანეთი ქალაქს, სეიდაბათს, თუთას ქვეშ“-ო – წერდა გიორგი გრიგოლს ერთ იმდროინდელ წერილში.

„ტფილისში თითქმის ყველა სახლს ვაზის ხეივანი ჰქონდა“-ო. – ეს კი მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს უბის წიგნაკში.

ბებიაჩემის ძველებურ ეზოს, სადაც ბავშვობა გავატარე, ვაზიც ამშვენებდა და თუთის ხეც. იზაბელას ჯიშის ვაზი, ჩვენში „ადესად“ რომ იტყვიან, მას მთელ სიგრძეზე ფანჩატურად გასდევდა და მწიფობის ჟამს თავის მათრობელა სურნელს აფრქვევდა, თეთრი თუთის ხე კი მეზობელ ეზოში ხარობდა, სწორედ იმ დეიდა ნინას ეზოში, სეხნია ბებიაჩემისგან გასარჩევად დილაობით მენაგვე ჰამბუა „სომხურ ნინად“ რომ უხმობდა ხოლმე. ამჟვეება თუთის ხის ვარჯი ეზოთა სასაზღვრო ბეტონის კედელს ებჯინებოდა, მისი ზეატყორცნილი ტოტები კი ბევრად სცილდებოდა მას და ჩვენსა გადმოდიოდა, ვაზის ხეივანს ზედ ევლებოდა და ლამის სახლის შუშაბანდში შემოგვჭროდა.

ზაფხულობით თუთის ხის ნაყოფის დიდი ნილი ჩვენს ვრცელ ეზოში ცვიოდა და ნაჯაფარ, საოჯახო საქმით დატვირთულ და შვილიშვილებზე გადაგებულ ბებიაჩემს დამატებით საზრუნავს უჩენდა – ყოველდღე უნდა დაეგავა ეზო, რომ ჩვენ, ბავშვებსა თუ მიმსვლელ-მომსვლელს მისი კვალი სახლში არ შეგვეტანა და იატაკი არ დაგვესვარა. ხათრიანი, სათნო ბებიაჩემი კარის მეზობლებს ამის გამო საყვედურს ვერ ჰკადრებდა და ვერ ეუბნებოდა, ხეს ჩვენსკენ გადმოშვერილი ტოტები მოაჭერითო, იცოდა, თუთისგან არაყს ხდიდნენ და ძნელად შეელეოდნენ. მორიდებით მარტო იმას სთხოვდა ხოლმე, იქნება დროდადრო მაინც დაბერტყოთ, რომ ერთიანად დაცვივდეს ნაყოფიო. ამ თხოვნას ხანდახან კიდეც უსრულებდნენ.

აი ის დღე კი, როცა მეზობლები ხის ბერტყვას გადაწყვეტდნენ, ჩვენთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. გავშლიდით ბრეზენტის უზარმაზარ ნაჭერს, რომელიც ხან ხელით გვეჭირა და ხანაც მიწაზე ვაფენდით, და შევუშვერდით თუთის ხის მოლურჯო და თეთრ-ვარდისფერი ნაყოფის სეტყვას – ნამდვილ ხოშკაკალას. მის მქუხარე ხმას ჩვენი ჟრიამულიც ზედ ერთვოდა. თქმა არ უნდა, მოსაკითხის მოლოდინიც გვახარებდა.

ჩვენთან დროდადრო გამართული ეს ფერადოვანი ფეიერვერკი ლაღი ბავშვობის სხვა დაუვიწყარ სურათებთან ერთად ხშირად მიცოცხლდება ბოლოხანს, ამ უსახურსა და გაუსაძლის დროში სიხარულით მავსებს და ბედნიერების მაშინდელ განცდას მიბრუნებს.

ბებიაჩემის ეზოში ლეღვის ხეც იდგა, იმაზე მერე მოგიყვებით...

## ფსევდონიმის პოეტიკა

„მე, თბილისის ფოლკლორის ანასხლეტი მიზრაფი“-ო, ვკითხულობთ გრიშაშვილის ლექსში.

მისივე „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით „მიზრაფი თარის დასაკრავი წკირაა – რქის ძვლისგან გაკეთებული პატარა ფირფიტა“.

თანამედროვე ლექსიკონების განმარტებით მიზრაფი არის მედიატორის სახეობა, რომელიც გამოიყენება რიგი სპარსული (მაგ. თარის) და ინდური (მაგ. სიტარის) სიმებიანი მუსიკალური საკრავების დასაკრავად. ის წარმოადგენს თითზე წამოსაცმელ ლითონის რგოლს „ბრჭყალით“ – შვერილით სიმის ამოსაკვრელად.

„მიზრაფი“ პოეტის ერთ-ერთი ფსევდონიმიცაა.

ცნობილია, რომ ხშირად ფსევდონიმის არჩევა გააზრებულად ხდება და ამ დროს პირი გარკვეული მოსაზრებითა და მოტივაციით ხელმძღვანელობს. ფსევდონიმის სახეობას წარმოადგენს ფრენონიმი – ისეთი სახელი, რომლითაც ხდება მითითება ავტორის ხასიათის, ცხოვრებისა თუ შემოქმედების მეტად გამოხატულ ნიშანზე, რასაც ის ან თვითონ უსვამს ხაზს ან მისი გარემოცვა აღნიშნავს.

თუ გავითვალისწინებთ გრიშაშვილის უდიდეს სიახლოვეს, სიყვარულსა და გატაცებას თბილისითა და თბილისური ფოლკლორით, რაც მეტწილად განსაზღვრავს მისი შემოქმედების თვითმყოფადობას, ზემოთ მოხმობილ სტრიქონშიც რომ გამოხატა, ვფიქრობთ, გასაგები ხდება ფსევდონიმად „მიზრაფის“ არჩევის საფუძველი – პოეტი მეტაფორულად უწოდებს თავს თბილისის ფოლკლორის მიზრაფს, რაც მისი ზედმიწევნით ზუსტი და ოსტატურად მიგნებული ხატოვანი თვითდახასიათებაა.

სახალისო რამ ყოფილა ფსევდონიმის პოეტიკის კვლევა, ტექსტებისას არაფრით ჩამოუვარდება...

## ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე

თუ შენი ქვეყანა უბედურია, შენ კი – ბედნიერი, სადღაც არ ყოფილხარ პატიოსანიო – ხომ გვითხრა სამშობლოსათვის ტანჯულმა ლევან გოთუამ.

ჰოდა, ამას წინათ შევიტყვე: ყოფილა ერთი მხცოვანი ქართველი მეცნიერი, რომელსაც თუ ჰკითხავდნენ, როგორ ბრძანდებითო, საქართველოსავითო, მიუგებდა ხოლმე თურმე მოკლედ და უბრალოდ.

## რას ვეძებდი და რა ვპოვე

ამ სათაურით ერთი კომედია აქვს ბარბარე ჯორჯაძეს, სწორედ იმ ბარბარე ჯორჯაძეს, ვისზეც დანანებით წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი, მისი „პორტრეტი მეტად მკრთალად მოსჩანს მეცხრამეტე საუკუნის პოეტთა გალერეაში, და რაც მოსჩანს, ისიც ილია ჭავჭავაძის პოლემიკის წყალობით“-ო, ამ უთანასწორო კამათმა „ჩვენი პოეტი ქალი ისტორიის კუთხეს ამოაფარაო“.

მისი ეს პიესა არ წამიკითხავს, სათაური კი ბევრჯერ გამხსენებია მუშაობისას. მიდიხარ, მიჰყვები კვლევის მაგისტრალს შენი საგზლით, წინ იცქირები და...უცბად ფეხს წამოკრავ რაღაცას, დაიხედავ ძირს და ისეთი რამე დაგხვდება, შენი ძიების საგანს სულ რომ არ ეხება, მაგრამ თავისთავად ფრიად საგულისხმო რამაა.

ახლახან მიხეილ (მიხაკო) წერეთლისადმი მიძღვნილ გრიგოლ რობაქიძის ერთ წერილში, „მოგონებათა ბარდული“ რომ ჰქვია“, ასეთი რამ ამოვიკითხე:

„თავადობა“ ქართველობაში ბოლო ხანში გადაგვარდა. ხოლო მის ანარეკლს ჩვენ დრომდეც მოუღწევია. აქ ერთი ზეიმი უნდა ვახსენო, გაგონილი ამბროსი [illegible] ძისაგან, რომელიც მას მოსწრებია და კიდეც [illegible]. ყოველ იანვრის მეორე დღეს თავად გურიელებისას თურმე ზეიმი იმართებოდა, საცა „ყმებად“ გურიელები გამოდიოდნენ და „თავადებად“ გლეხები“-ო.

არ უნდა იყოს ურიგო ნიმუში ქართული კარნავალური მოტივების მკვლევართათვის.

## რკინის სერგოსი თავ-ბოლო ერთი

თავისუფლების სიოს ჩვენსკენ ჯერ არ დაექროლა. სექტემბერი იდგა. აუდიტორიაში თავშეყრილი პირველკურსელები ჯგუფის კურატორს ველოდით – იყო იმ დროს ასეთი ინსტიტუტი, კლასის დამრიგებლის მსგავსი. მალე ჩვენთან სიმპათიური ქალბატონი შემოვიდა და გაგვესაუბრა – გაგვეცნო, გამოგვკითხა სახელი, გვარი, ვინ საიდან ვიყავით, რომელი სკოლა გვქონდა დამთავრებული...... ერთი სტუდენტი ამაყად წამოიმართა და დიდი რიხით განაცხადა, მეო, ორჯონიკიძიდან ვარო, – ხარაგაულს მაშინ ორჯონიკიძე ერქვა, – ჩვენს რაიონში სერგო ორჯონიკიძე დაიბადაო. ამაზე – ნეტავ ორჯონიკიძე სულ არ დაბადებულიყოო – ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა ჩვენმა კურატორმა. ყურები ვცქვიტე, გავოცდი. მეუცნაურა მისი ნათქვამი. ჩემი მშობლები იმხანად ჩუმ-ჩუმად უცხოურ რადიოსადგურებს კი აყურადებდნენ ხოლმე, და, ცხადია, სერგოსი და მის პარტაიგენოსეთა საქმენიც კარგად მოეხსენებოდათ, მაგრამ შვილებთან ამეებზე კრინტს არ ძრავდნენ.

გამოხდა ხანი. სტუდენტობა გვიმთავრდებოდა. მეხუთეკურსელს სახელობითი სტიპენდია დამინიშნეს. ვის არ გაახარებდა ეს ამბავი და, ცხადია, მეც მიხაროდა, მაგრამ ერთი რამ მიფუჭებდა გუნებას – სტიპენდია სერგო ორჯონიკიძის სახელობისა იყო. ისე მრცხვენოდა ამისა, რომ მერეც, კარგა ხანს ბიოგრაფიებში არ ვამხელდი ხოლმე. განცდებს ისიც მიმძაფრებდა, რომ ჩემი ძმა ხშირად მაჯავრებდა და მამუნათებდა, ეგ ვისი სახელობის სტიპენდიანტი ხარო. ხმას ვერ ვიღებდი. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მას უფრო „პრესტიჟული“ – ლენინური სტიპენდია დაენიშნა, აი, მაშინ კი, მოგეცათ ლხენა; მე იმას ნიშნის მოგება დავუწყე. მთლად ის დრო აღარ იყო, მიხეილ ჯავახიშვილი რომ ინიშნავდა უბის წიგნაკში: „იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვილა იქნებოდა!“ – ასე იწყება დღეს ზღაპარი“-ო, მაგრამ ილიჩის სახელი ჯერ კიდევ ხმიანობდა. ჩემი ძმა იხტიბარს არ იტეხდა და სერგოს კიდევ ლენინი სჯობიაო, მპასუხობდა. რაღას ვეტყოდი.

ეს სტიპენდია რომ დამინიშნეს, მახსოვს, ერთმა ჩვენმა ლექტორმა ჩუმად მომიბოდიშასავით: ბიძიკოო, მაინცდამაინც სამშობლოს ღალატს ნუ ისწავლი შენ სერგო ორჯონიკიძისგანაო, მეტი ჩვენ არ გვაქვს და რა ვქნათ, რაც გვაქვს, ის მოგეცითო. იმხანად, ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე, უკვე ბევრ რამეში გარკვეული და გათვითცნობიერებული ვიყავით და ამაში ლომის წილი ჩვენს არაჩვეულებრივ ლექტორებსაც ედოთ, გულმხურვალე პატრიოტებსა და დისიდენტებს, ბევრი რამ ცხოვლად გულს რომ დაგვაჩნიეს და საგნებთან ერთად ის სიყვარულიც გვასწავლეს, დაფარვა რომ სჭირდება.

# ქრისტე თანამედროვე სამყაროში – ლუკინო ვისკონტი და ჯერომ სელინჯერი

ჟაკლინ სირაძე

როცა სელინჯერის რომან „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში..." (1951) ვკითხულობდი, ჩემდა უნებურად, ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად გამახსენდა ვისკონტის ფილმი „როკო და მისი ძმები" და უკვე მხოლოდ შემდგომ გავიაზრე, რომ ფილმი (თავად ვისკონტის ალიარებით) შთაგონებულია დოსტოევსკის „იდიოტით", რომელშიც საუბარია სამკუთხედზე: როკო – წმინდანია, – ის თავად მიშკინს განასახიერებს, ნადია – ნასტასია ფილიპოვნას, ხოლო სიმონე – როგოჟინს. დოსტოევსკის დიდხანს აწვალებდა იდეა: რა მოხდება, თუ თანამედროვე სამყაროში ქრისტე გამოცხადდება? ფილმის სათაურიც ხომ ამაზე მიანიშნებს: „როკო და მისი ძმები", ანუ ქრისტეს გზაზე მავალი წმინდანი და მისი ძმები.

და მაინც, რა შუაშია აქ სელინჯერი?

მაგრამ მოდით, ჯერ ნუ ვიჩქარებთ.

მოდით, ჯერ შევეცადოთ ფილმის „როკო და მისი ძმები" შინაარსი გავიხსენოთ. ძმებს, სიმონესა და როკოს, ერთი შეხედვით გაგიჟებით უყვართ ერთი და იგივე ქალი ნადია, მაგრამ თითოეულს თავისი ბუნების შესაბამისად. სიმონესთან, თუ ნადია ერთი რიგითი მეძავია; როკოსთან ის ამაღლებული სიყვარულითა და რწმენით ალსავსე ადამიანად გარდაისახება.

სიმონე აკვიატებული, ავადმყოფური ეჭვიანობის გამო როკოსა და თავისი მეგობრების თვალწინ პატივს ახდის სულიერ კათარზისში მყოფ ნადიას, და ამ თავზარდამცემი სცენის შემდეგ, ყოფილი შეყვარებულები, როკო და ნადია სასაუბროდ მილანის საკათედრო ტაძრის ღვთისმშობლის შობის სახელობის გოთიკური შენობის ქონგურებთან ხვდებიან (რომელზედაც გამოსახულია არა მარტო შემაძრწუნებელი ქიმერები, არამედ ყოვლად დაუდგენელი, უცნაური გამოსახულებები) ანუ, ეკლესიის მრწამსის გადმოსახედიდან (ამ უსასრულო სიმაღლიდან, საიდანაც ადამიანები მიწაზე მორიალე უსუსურ, უაზრო და უმიზნო არსებებად მოჩანან), ჩვენ ვესწრებით, გავიმეორებ, ამ ფილმის ორი პერსონაჟის – როკოსა და ნადიას ტრაგიკულ საუბარს.

რა შინაარსი აქვს ამ საუბარს? ან რა აკავშირებს მას სელინჯერის რომანის „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში..." პერსონაჟ ჰოლდენთან? ამ ყმაწვილკაცის ასე მოუხელთებელი სულის ძიებებთან?

ჯერომ სელინჯერის რომანში, „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში..." წამყვანია თანამედროვე ადამიანის ასე უპირატესი გულწრფელობა, რომელიც ჭეშმარიტებას გულწრფელობის ველში აღმოჩენილ საგნებში ეძიებს და პოულობს. გულწრფელობა არის ერთადერთი საბაბი სამყაროს ხელშესახებად. მასში უტყუარი ხედვა გამოსჭვივის, სადაც სამყარო თავის ნამდვილ სახეს გიჩვენებს, და თან ნათლად გიმჟღავნებს ნიღბებით სავსე საზოგადოების ცთომას, ყოველდღიურობის რუტინაზე რომ არიან მიჯაჭვულნი, რაც მათ სულიერ გამოფიტვას იწვევს და საბოლოოდ კი მათ მექანიკურ, არარა არსებებად აქცევს". ჰოლდენს არ სურს, გააგრძელოს სკოლაში სწავლა, რადგან ამით ის ამ ყალბი საზოგადოების ნაწილი გახდება. მისი არაორდინალური ხედვა, ლაზღანდარა და აგდებული ტონი კი მისი მეამბოხე და მოუთვინიერებელი სულის სახეა.

ჰოლდენი ადვილად ვერ პოულობს ყოფიერებაში თავის ადგილს, რადგან მას უფრო რთული ამოცანა აქვს დასახული. მან შეიცნო ის ეგზისტენციალური შრე, რომელშიც მისი გარდაცვლილი უმცროსი ძმა – ელი „ცოცხალია" და ყოველ ჯერზე, როცა ის „ქრება", ანუ, მერაბ მამარდაშვილის მიერ ხშირად მოხმობილი დანტე ალიგიერის ფრთიანი გამოთქმის: – „ახალშობილს სული არა აქვსო" პერიფრაზი რომ გავაკეთოთ: – ყოველ ჯერზე, როცა ის „ახალშობილის" მდგომარეობას უახლოვდება, როცა ყოფიერებაში თავის თავს ველარ აღმოაჩენს, ის ელის სიკვდილის მეხსიერებას მოუხმობს, ესაუბრება, რათა ხელახლა, თავიდან შექმნას თავისი თავი.

როცა ჯ. სელინჯერის რომანი „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში..." დაიწერა, ამბავი ბიჭისა, რომელმაც თავისი ამბის მეოხებით ხელოვნების ნაწარმოების ჩარჩოები გაარღვია და დაგვტოვა იმ სასოწარმკვეთ მდგომარეობაში, სადაც სული ჯერ კიდევ ვერ გამოთქვამს თუ რას განიცდის. ამ დროს ა. კამიუს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა „დაცემა", სადაც ირონიზებას ახდენს პასკალის ცნობილი აზრისა:

– „მაგრამ გულსაც აქვს თავისი მეხსიერება".

და თუმცა ფრანგი მწერლის ამ თითქმის უკანასკნელ „აღსარებაში" — „დაცემაში" ამოკითხულ იქნა პარიზის თავზარდამცემი აღწერა:

– „პარიზი ნამდვილი თვალსატყუარაა, შესანიშნავი დეკორაცია, სადაც ოთხი მილიონი აჩრდილი ცხოვრობს" (ა. კამიუ „დაცემა").

ან, იქვე ფრანგი საზოგადოების ცთომილი სახე:

– „ჩვენ მხოლოდ დაახლოებით წარმოვადგენთ რასმე".

მაგრამ თუ ფრანგ მწერალს გონება მიუძღვება, როცა წერს ამ კოშმარულ ტექსტს, ჰოლდენი (ჯ. სელინჯერს) კი პირთამდე ალსავსეა ქვითინით, ოღონდ ვერც ამას არქმევს სახელს, რადგან მას ხომ ერთი მიზეზით არ შეუძლია მოვლენის ახსნა და ამას „ათასი მიზეზით" ხსნის, ხოლო რაც შეეხება თავის გრძნობას, მხოლოდ და მხოლოდ ირონიზებითა და იუმორით გადმოსცემს. რადგან ჰოლდენის საიდუმლოება, მისი გულის საიდუმლოებაა, მისი გრძნობის სარკეა, რომელშიც ის არც არასოდეს არ იხედება და ესეც იმის გამო, რომ მისი გრძნობა ასე მძაფრია და ასე წრფელი.

ამერიკელი სარდლობა განუკითხავად იჭერდა ფაშისტებს, პერსონაჟმა X-მა თავად დააპატიმრა ვილაც ოცდათვრამეტი წლის გაუთხოვარი ქალი, რომლის წიგნებში აღმოჩნდა გებელსის წიგნი, თავფურცელზე წარწერით: – „ღმერთო დიდებულო, რა ჯოჯოხეთია ეს ცხოვრება!" (ჯ. სელინჯერი „ძლვნად ესმეს").

ასე იწყება სელინჯერის მოთხრობა „ძლვნად ესმეს". ამ ავტორის ხელწერის ალსაქმელად ალბათ უპრიანი იქნებოდა, მოხმობილი ფრაზის სელინჯერისეული ინტერპრეტაცია გულდასმით წაგვეკითხა:

– „ცარიელ ფურცელზე ეულად გამოკვეთილი ეს რამდენიმე სიტყვა <...> **რალაც შეუვალი ბრალდების კლასიკურ ნიმუშად მოჩანდა"** (ხაზგ. -ჟ.ს.) (ჯ. სელინჯერი „ძლვნად ესმეს" გვ. 40).

და შემდგომ, უკვე ინგლისურად აგრძელებს ამ ტექსტის განვრცობას:

– „მამებო და მასწავლებლებო, სულ ეს ფიქრი მიტრიალებს თავში – ჯოჯოხეთი რა არის-მეთქი, და ვამტკიცებ: ეს არის ტანჯვა იმის გამო, რომ სიყვარული მეტად ალარ შეგვიძლია" (ჯ. სელინჯერი „ძლვნად ესმეს" გვ. 40).

და უკვე ამის შემდგომ ის ტექსტი ჩნდება, რომელიც გასაღებია სელინჯერის სამყაროს შესაღებად:

– „ამ სიტყვების ქვეშ დოსტოევსკი უნდა მიეწერა, დაიწყო კიდეც, **მაგრამ ერთბაშად შენიშნა და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა, რომ რაც დაწერა, თითქმის გაუგებარი იყო, ვერ წაიკითხავდი, ვერ გაარჩევდი, დახურა წიგნი"** (ხაზგ. ჟ.ს.). (ჯ. სელინჯერი „ძლვნად ესმეს" გვ. 40).

გამოდის, რომ შეუძლებელია, სელინჯერის სამყაროს ნაზიარებ პიროვნებას გონებით გაეაზროს ის ჯოჯოხეთი, რასაც დოსტოევსკი უსიყვარულო მდგომარეობას უწოდებს.

მაშ, ასე, რა აერთიანებს ვისკონტსა და სელინჯერს?

და თითქოს ამაზე ერთგვარ განმარტებას აკეთებს ვისკონტი ფილმში „როკო და მისი ძმები", რომელშიც ვისმენთ ეკლესიის ქონგურების პირისპირ მდგარი როკოსა და ნადიას ტრაგიკულ საუბარს.

და ჩვენ თითქოსდა ჩაგვესმის ეპოქის დაღლილობა, კათოლიკური ეკლესიის ურყევი დოგმატიზმის მსხვრევა, რომლის მიხედვითაც ადამიანმა მსხვერპლად უნდა გაიღოს თავისი თვითობა, თავისი კონკრეტული ცხოვრება, ინდივიდუალური „მე", ანუ უნდა უარყოს ყველა თავისი ინდივიდუალური მოთხოვნა, თვით ისეთი ამაღლებული და ყოვლისმომცველი გრძნობა, როგორიცაა სიყვარული. ნადიაზე უზომოდ შეყვარებული როკო განაცხადებს, რომ მათი სიყვარული და ახალი ცხოვრების დაწყების მცდელობა შეცდომა იყო, რადგან ისინი თავისდა უნებურად როკოს უფროს ძმას სიმონეს ტკივილს აყენებენ და აუბედურებენ, და მაშინ ნადიას გმინვა და ტირილი აღმოხდება, და თითქოს ფილმის კადრში ძლივსლა ჩაგვესმის მისი სასოწარკვეთილი კითხვა:





– „სად რჩება მას უფლება იცხოვროს, უყვარდეს, იყოს თავისუფალი ადამიანი?" და მაინც როკო სამუდამოდ ტოვებს ქალს, და სიმონე მას დაუნდობლად კლავს. და თუ ერთი წუთით გეჩვენება, რომ ნადიას, რომელსაც მკვლელობამდე სიკეთისა და რწმენის თეთრი სამოსი აქვს მხრებზე მოცმული და იესო ქრისტეს დარად, ხელებგაშლილი, ნებაყოფლობით ჯვარცმის გზას გადის, აღმოჩნდება (როგორც ამას თავად სიმონე აღიარებს), ნადიას სიცოცხლე სწყუროდა.

საყურადღებოა, რომ ორი ძმის, როკოსა და სიმონეს დაპირისპირებაში გამოსჭვივის არა ბრძოლა ორ თაობას შორის, არამედ ადამიანის ინდივიდუალური „მე"-ს მსხვერპლად გაღების კრიტიკა, რომელსაც ეკლესიის დოგმატი მოითხოვს. როკოც ხომ ამ დოგმატის მიხედვით მოიქცა. ულირსი და უზნეო სიმონე შეიბრალა და მიუტევა, სანაცვლოდ კი სასტიკი გაკვეთილი მიიღო. ერთი მხრივ, მისი საყვარელი, ძვირფასი ადამიანის ღირსება გაითელა და მეორე მხრივ, ეს ხდება ყოვლად ულირსი ადამიანის მიერ. საყურადღებოა, რომ მეოთხე ძმა ჩირო განაცხადს აკეთებს, რომ არ შეიძლება იყო ისეთი წმინდანი, როგორიც როკოა, არამედ თავგანწირვით, თავდაუზოგავად უნდა იბრძოლო ბედნიერებისათვის. და ისიც არ არის შემთხვევითი, რომ მეხუთე ნაბოლარა ძმას ლუკა ჰქვია (ისე როგორც ეს რეჟისორ ვისკონტის – ლუკინო), რომელიც ფილმის ბოლო კადრში ჩნდება, ჯერ ბარელიეფებზე გამოკრული, უსასრულოდ გამრავლებულ როკოს სურათს ხელით ეხება, ეალერსება, თითქოს ემშვიდობება და ტოვებს კიდეც და, სავარაუდოდ, იმ გზაზე მიდის, რომელზედაც ჩირო საუბრობდა.

და ისევ კითხვა: რა საერთო აქვს ვისკონტის ფილმში მოსმენილ, ტრაგიკული საუბრის საიდუმლო შინაარსთან სელინჯერის ყმაწვილ ჰოლდენს?

ჰოლდენის თანაგრძნობა ადამიანის მიმართ იმდენად დიდია, რომ ხშირად თავისი „საზრუნავი", საკუთარი „საქმე" მიავიწყდება ხოლმე, და თუ ხშირად მისი საქციელი სასაცილოა ეკლისა, თუ სტრადლეიტერისთანა ტიპებისათვის, იმათთვის კი, ვინც მას ღრმად იცნობს მის ფაქიზ ბუნებას, არ გაუკვირდება მისი ქცევა მეძავთან პაემნის დროს. იმის ნაცვლად, რომ „ბუნებრივი პროცესით" დასაქმდეს, მას მოულოდნელად უმიზეზო, რალაც სევდა შემოაწვება, როცა წარმოიდგინა, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ეს გოგო კაბას ყიდულობს, ყველა ქალის მსგავსად და მასაც სიხარული იპყრობს, და ამ დროს კი... და ის თავად ვერ გარკვეულა, რატომ ჩასწყდა გული, და რატომ არ შეუძლია, შესატყვისად მოიქცეს.

ჰოლდენმა იცის, რომ არ შეიძლება ყველას „უსახსოვრო" შენი საუნჯე – ამ „ცოდნას" მას თავისი ბუნებრივი ნიჭი კარნახობს – „პოეტობა". და სულაც არ არის გასაკვირი, რომ თავისი გარდაცვლილი ძმის ელის – ბეისბოლის ხელთათმანი, თავად მისი აღწერით: „მაგარი რამე იყო ღმერთმანი. მართალს გეუბნებით. ელი ცაცია გახლდათ – თათმანიც ძაან უცნაურად გამოიყურებოდა და ეს კიდევ არაფერი – მთელ ზედაპირზე, შიგნით და გარეთ, ჯიბესა და სათითურებზეც სულ ლექსები (სელინჯერის მინიშნებით ერთ-ერთი პოეტი – ემილ დიკონსონია (შენიშვ. ჟ.ს.) ჰქონდა ნაწერილი, მწვანე მელნით. როცა შეტევაზე არავინ იყო, იდგა და ლექსებს კითხულობდა" (ჯ. სელინჯერი „კლდის პირზე ჭვავის ყანაში" გვ. 42). რომელიც მისთვის საკრალურ საგნად იქცა, მხოლოდ და მხოლოდ (ოჯახის წევრების გარდა) ჯეინ გელეხერს აჩვენა, სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად.

და მაინც რა აერთიანებს ამ ორ ნაწარმოებს? ლუკინო ვისკონტის ფილმს „როკო და მისი ძმები" და ჯერომ სელინჯერის რომანს „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში..."?

ორივე მათგანში საუბარია იმაზე, თუ როგორ ცხადდება თანამედროვე, ცთომილ სამყაროში იესო ქრისტე.

ვისკონტის ფილმში, ეკლესიის მაღალ ქონგურებთან, რომელზედაც გამოსახულია ადამიანისთვის გაუგებარი, აუხსნელი ქიმერები, თუ სხვა უცნაური გამოსახულებები, რითაც რეჟისორი ეკლესიის დოგმატისა და მცნებების გაუცხოებაზე მიანიშნებს, ჩვენ ვისმენთ საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვანსა, და ამავ დროს თავზარდამცემ საუბარს.

**ქრისტე ესაუბრება თავის იმედსა და სასოებას.**

როკო ნადიას (Надежда — (რუს) – იმედი, სასოება) და უარს აცხადებს, მასთან გააგრძელოს ურთიერთობა, რის შედეგად ბოროტი, სულიერებას მოკლებული სიმონე კლავს მას.

და რას ნიშნავს იმედისა და სასოების „მოკვლა"? და თანაც ბოროტი და სულიერებას მოკლებული სიმონესაგან? და ეს ვისკონტის კომენტარია, რომელიც უარს აცხადებს ადამიანმა მსხვერპლად გაიღოს თავისი ინდივიდუალური „მე", წაშალოს, უარყოს თავისი კონკრეტული, პირადი ცხოვრება.

ვისკონტი თითქოს ამით მათეს სახარების კორექტირებას ახდენს:

– „რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარწყმიდოს იგი; რომელმაც წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი" (მათე, თავი 10.39).

და თუმცა ჰოლდენიც აკრიტიკებს თანამედროვე სამყაროში თითქმის სანახაობად ქცეულ ქრისტიანობას, კერძოდ, ის საუბრობს საშობაო რიტუალზე, რომელშიც ვილაც მსახიობებმა ჯვრები „გამოათრიეს", ანგელოზები კი ფეხშიშველა „დაპარტყუნებენ და ის ფიქრობს, რომ „მაცხოვარი ალბათ ჭკუას გადავიდოდა, მთელი ეს ბაზარი რომ ენახა-მეთქი". (ჯ.სელინჯერი „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...").

მაგრამ ის ახერხებს თავად იქცეს მხსნელად – (თავისთავს ის „დამჭერს" უწოდებს და მისი ოცნება არის, ქრისტეს დარად იხსნას სამყარო. დედამიწაზე სამოთხის, იმ ჰარმონიის დაბრუნებას ესწრაფვის, რომელზედაც დოსტოევსკის პერსონაჟმა ივანე კარამაზოვმა ერთხელ უარი განაცხადა.

1835 წელს შელინგის ლექციების მოსმენის შემდეგ ს. კირკეგორი დღიურში ჩაწერს:

– „როცა სინამდვილეზე ლაპარაკობდა, შელინგს მხედველობაში ჰქონდა არა თავად ის, რომ სინამდვილე მხოლოდ განცდათა მთლიანობაა. ტკივილის შესახებ აზრში იკარგება ტკივილის განცდა, ადამიანის ცნებაში – კონკრეტული ადამიანი".

და ყოველთვის, როცა ამ ჩანაწერს ვკითხულობ, თითქოს ვეთანხმები კირკეგორს, რომ ცნებისა და დოგმის ქვეშ დამარხული კონკრეტული ადამიანის ცხოვრება უნდა აღსდგეს და გაცოცხლდეს. მაგრამ საკითხავია, საით მივყავართ ამ გზას?

რადგან ეს ეწინააღმდეგება იმ ტრადიციულ ქრისტიანობას, რომელშიც ცოდვით დაცემა და ეშმაკისაკენ გადადგმული ადამიანის ნაბიჯმა ვერ დააშორა ღმერთი და ადამიანი, და ისევ ღმერთი წარმართავს და მფარველობას უწევს ადამიანს.

მაშინ, როდესაც კირკეგორი და თანამედროვე ფილოსოფოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ცოდვით დაცემამ ადამიანსა და ღმერთს შორის გადაულახავი უფსკრული გააჩინა.

და ეს ღმერთი უძლურია, როგორც ვისკონტის ფილმში „როკო და მისი ძმები", ადამიანს დაეხმაროს, უფრო პირიქით ხდება, მისი სიკეთე და სათნოება, მხოლოდ ბოროტებასა და მკვლელობის საბაბი ხდება. ჰოლდენის შემთხვევაში, კი ის თავად, კონკრეტული პიროვნება ხდება მხსნელი.

დოსტოევსკი, ტრადიციული ქრისტიანობის მცველი, მუდამ იტანჯებოდა, ჭოჭმანობდა.

და მაინც ისევ აქტუალურია მისი სიტყვები:

„ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული: დასახულია თუ არა დედამიწაზე ქრისტე საბოლოო იდეალად, ანუ ქრისტიანულ რწმენაზე. რაკი ქრისტესი გწამს, მაშ გწამს, რომ საუკუნოდ იცოცხლებ".

▶▶ დასასრული. დასაწყისი „ლს“ №5

## ორი დონ-კიხოტი

***

საუბრის დასასრულს ქართველ დონ-კიხოტზე ვკითხე აზრი. მიპასუხა, კახის დონ-კიხოტი ბევრი რამ ხასიათის ნიშნით ძალიან ჰგავს ჩემს დონ-კიხოტსო. კიკალეიშვილიც ჩემს წარმოდგენილ სანჩოობას აკმაყოფილებსო. სხვათა შორის, რეზო ჩხეიძის ფილმი საზღვარგარეთ უფრორე მეტად გახმაურდა, ვიდრე ჩვენშიო. არადა, „ქართული დონ-კიხოტი“, უპრიანია, რომ მეტად ჩანდეს ეკრანზეო. მით უმეტეს, რომ ფილმი მთლიანად მწერლის თანაავტორობით არის შექმნილი, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს, სერვანტესის ღრმა ჩანაფიქრს ეზიაროს და წიგნის კიდევ ერთხელ გადაკითხვის სურვილიც გაუჩნდესო.

...და სტუმარმა მასპინძლის სადღეგრძელო შესვა და განაგრძო: ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, კახის დონ-კიხოტის განსახიერებისთვის თავისებური მსხვერპლი გაუღია, 9 სერიის გადაღების განმავლობაში დაახლოებით 35 კილოგრამი დაუკლია. კახი თურმე ხშირად ხუმრობდა – ცარცით დახატულს ვგავდიო. რეზო სავსებით სწორად აფასებდა ამ ამბავს, კახის მთელი თავისი არსებით ესმოდა, რომ **ის უნდა ყოფილიყო სული პერსონაჟისა და არა ხორციო, ანუ ზუსტად ისეთი, როგორიც სერვანტესის გმირიაო.**

სრულიად სამართლიანად დაჯილდოვდა კახი ამ როლისთვის „ოქროს ვერძით“, როგორც წლის საუკეთესო მსახიობიო... დანარჩენს, ალბათ, თვითონ იტყვისო...

– ერთი ხანობა იმაზე იყო ლაპარაკი, – თქვა კახიმ. მე მეთამაშა სერვანტესის როლი. მერე ითქვა, თითქოს ორი დონ- კიხოტი უნდა ყოფილიყო – მე და ოთარ მელვი-

## „ვინა ხარ, მგზავრო, საით მიდიხარ?“





ნეთუხუცესი, ბოლოს ისე დაამტკიცეს, როგორც კინოშია. აქვე უნდა ვთქვა, რომ ოთარის ვაჟკაცობამ გამაოგნა. ადვილი არ იყო იმ ყველაფრის გადახარშვა, რაც მაშინ ხდებოდა. ოთარი მსახიობია და ამ სინჯების მერმე დავრწმუნდი, რომ დიდი კაციც ყოფილა.

რასაკვირველია, ვისარგებლე რეზო ჩხეიძის იქ ყოფნით და იმასაც ვთხოვე აზრი.

– რა თქმა უნდა, „დონ-კიხოტზე“ ნაფიქრი მქონდა. ის ხომ სათავგადასავლო წიგნიც არის და ფილოსოფიურიც, თანაც ესპანური ხასიათი ქართულს ძალიან ჰგავს. ამას უცხოელებიც ამჩნევენ.

სცენარს სულიკო ჟღენტთან ერთად ვწერდი, ვიქტორ შკლოვსკისთანაც ვთანამშრომლობდით. მაგრამ მერე ავად გახდა და გაგრძელება ველარ შეძლო.

სცენარზე მუშაობდა კიდევ ერთი ესპანელი – მარსიალ სუარესი. თბილისში რომ ჩამოვიდა, დავხვდით და მოგვყავს ქალაქში. ხელოვნების მუზეუმთან რომ გამოვიარეთ, სადაც ადრე სასულიერო სემინარია იყო, მანქანა გაგვაჩერებინა, გადავიდა, გაიარა და ქვები აკრიფა. გაგკვიკვირდა, რად უნდოდა ის ქვები. თურმე გადარეული სტალინისტია და იმ ადგილის სამახსოვროდ, სადაც სტალინი სწავლობდა, ქვები აილო და თან წაილო. ესპანეთში რომ ჩავედით, ის ქვები საწერ მაგიდაზე ეწყო.

ერთხელ შკლოვსკიმ საუბარში ასეთი რამ თქვა: დონ-კიხოტში გამოხატულია იმ თაობის სევდა, შექსპირი და სერვანტესი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ, ერთი ტკივილი ჰქონდათ და ერთი და იგივე იდეები აწუხებდათ. ორივე ჭეშმარიტების მაძიებელიაო... შკლოვსკის ამ აზრმა მიკარნახა, – განაგრძო რეზო ჩხეიძემ. – რომ ჰამლეტი და დონ- კიხოტი ერთმანეთს შეხვედროდნენ. ჰამლეტის როლს ზურა ყიფშიძე ასრულებს. მე დიდ პატივს ვცემ, არაჩვეულებრივი მსახიობია.

ფილმი ასე იწყება:

„– ვინა ხარ, მგზავრო? საით მიდიხარ? – ეკითხება დონ-კიხოტი.

– დანიის პრინცი გახლავარ, ჰამლეტი.

– მე დონ-კიხოტი ვარ – მოხეტიალე რაინდი.

– მერედა, რას დაეძებ ამ ლამეში, რაინდო?

– ახლა ძილის დრო არ არის, ბოროტება უნდა დავთრგუნო და ჭეშმარიტება აღვადგინო“.

ფილმს დავარქვი „ცხოვრება დონ-კიხოტისა და სანჩოსი“. ყველა წმინდანის ცხოვრებაც ხომ ასეა აღწერილი.

ეს ფილმი არის ერთგვარი არაკი იმ ქვეყანაზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და სადაც მაძიებლობა სიგიჟედ მიაჩნდათ. ეს ჩანაფიქრი იმით გამოვხატე, დონ-კიხოტი და სანჩო თანამედროვე მადრიდში დადიან, მთავარ ქუჩაზე. ბოლოს დონ-კიხოტი ცაში ამაღლდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ სიმართლისთვის მებრძოლი დღესაც დონ-კიხოტად მიიჩნევა, არაფერი არ შეცვლილა.

არასოდეს არ მომაფიქრდებოდა „დონ-კიხოტს“ შევბმოდი უესპანეთოდ. ჩვენი პარტნიორი გახდა ფირმა „**მიგელ სანჩეს ინფანტე**“, თუ არა ესპანეთის ნატურა, ფილმის გადაღება შეუძლებელი იყო. თუმცა ბევრი ეპიზოდი სამხრეთ საქართველოში გადავიღეთ. ხშირად მიწას ვღებავდით, რადგან ესპანეთში მიწა მოწითალოა. ესპანელებს უნდოდათ, რომ ძალიან რეალისტური, ყოფითი ფილმი გადაგვეღო, ნაწარმოებთან რაც შეიძლება მიახლოებული.

დონ-კიხოტის როლზე თავიდან ოთარ მეღვინეთუხუცესს ვფიქრობდი, არაერთი სინჯიც გადავუღე, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, ვყოყმანობდი. ერთხელ სტუდიაში მოსულმა ვერიკო ანჯაფარიძემ ჩემთანაც შემოიარა. დავიწყეთ ლაპარაკი, სხვათა შორის, მკითხა, დონ კიხოტზე რას შვრებიო? მე ვუთხარი, ალბათ, ფიასკო იქნება-მეთქი. **„რეზო, დაფიქრდი, არც შენ გაქვს ტკბილი ხასიათი, არც ოთარს, ამხელა ფილმი გაქვთ გადასაღები და ერთმანეთს გაუძლებთო?“** ეს ჩამრჩა მეხსიერებაში, განვაგრძე სინჯების გადაღება და კახი კავსაძე გამოიკვეთა... კახის აქვს ისეთი დამაჯერებლობა, რომ მისი გიჟური საქციელიც გჯერა. დულსინეაც ხომ იდეალია, მოვძებნეთ უმახინჯესი ქალი და ის გადავიღეთ დულსინეად.

ერთხელ ჟურნალისტებმა მკითხეს, რითი დაგამახსოვრდათ ეს გადაღებაო? მე ვუთხარი, ფილმის გადაღებისას უფრო ჭკვიანი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ-მეთქი. რატომო? ყოველდღე იმისთანა სიბრძნეს რომ ვეხებოდი, მეც ვივსებოდი-მეთქი.

ფილმის 9 სერია ეკრანზე 1989 წელს გამოვიდა. კომპოზიტორია გია ყანჩელი.

...

როგორც ვიცი, რეზო ჩხეიძის ეს „სერვანტესისეული მოგონება“ თავის დროზე ჩაუწერია ჟურნალისტ თამარ ოთიაშვილსაც.

კიდევ კარგა ხანს ვსაუბრობდი ამ სამ ბრძენ კაცთან. როგორც ძველად იტყოდნენ, მეც, რაც შემეძლო, ვუწევდი თასლიბს. გვიანობამდე ასე ლაპარაკ-ლაპარაკით შევიქციეთ თავი. როგორც რეზოს ჟურნალისტებისთვის უთქვამს, ისეთ სიბრძნეს ვიღებდი ხანგრძლივად, მეც სიბრძნით ვივსებოდიო, სწორედ ასე დამემართა იმ საღამოს მეც...

მოამზადა

**გურამ გოგიაშვილმა**

# სამი რეპლიკა

## „ფიქრებიდან“ გადამალული პასაჟი

1902 წლის 4 და 6 იანვარს გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველას ვრცელი ფელეტონი, სათაურით „ფიქრები“ (იხ.: №3, გვ. 2-3; №5, გვ. 2-3), რომელიც უცვლელი სახით, სრულად არის შეტანილი 1956 წელს გამოცემული დიდი მგოსნის თხზულებანის მეშვიდე ტომში (იხ.: გვ. 247-256). ხსენებული ფელეტონი ასევე შეტანილია სულმნათი პოეტის თხზულებათა სრული კრებულის (ხუთტომეულის) მეხუთე ტომსა (იხ.: თბ., 1961, გვ. 177-183) და ვაჟას თსკ (ათ ტომად) IX ტომშიც (იხ.: თბ., 1964, გვ. 207-215), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ორ უკანასკნელ გამოცემაში, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მოძმე კარის მეზობლის „გალიზიანების“ თავიდან აცილების მიზნით, საბჭოთა ცენზურამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ზემოაღნიშნული ფელეტონიდან ამოეღო და „გადაემალა“ შემდეგი პასაჟი:

**— „სიდიადე ერისა, ხომ კარგად მოგეხსენებათ, იმ გარემოებით განიზომება და განისაზღვრება, თუ თავის ისტორიული ცხოვრების განმავლობაში რამდენი და რა შესანიშნავი კაცები ჰყოლია. რა ფიცი გვინდა, სომხებმა სულ რომ გადააქოთონ თავიანთი ისტორიის არხივები, შიგა და შიგ ამოფხიკონ და ჩაწერონ ის, რაც არა ყოფილა, მაინც ისეთს დიდებულ კაცებს ვერ დაგვისახელებენ, როგორიც ქართველებს ჰყოლიათ, პოლიტიკურ ისე სამწერლო ასპარეზზე. ამ მეცხრამეტე საუკუნეს რომ სრულიად თავი დავანებოთ და მხოლოდ წარსულზე ვიფიქროთ: დაგვისახელონ ვინმე თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის და ვახტანგ გორგასლანის მსგავსი, ან შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილისა?! გაუგონიათ-კი ყურით ან თვალი მოუკრავთ სადმე? – არასოდეს. მაშ, ვის რა საბუთი აქვს, ნიჭით სომეხი ქართველზე მაღლა დააყენოს?“**

ვფიქრობ, რომ ჩვენი ყოფილი „ტვინმაისტერების“ (ასე უწოდებდა აკაკი წერეთელი ცენზორებს) მიერ ზემოთ მოტანილი ტექსტის „დაწუნების“ მოტივი რაიმე განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას ნამდვილად არ საჭიროებს და ამიტომ მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ათ ტომად გამოსაცემ ლუკა რაზიკაშვილის თხზულებათა ახალ სრულ კრებულში, რომლის პირველი რვა ტომიც ქართველმა მკითხველმა უკვე მიიღო, „მთის არწივის“ წერილი „ფიქრები“ სრული სახით იქნება შეტანილი და ამით, წინამდებარე ჩემი პატარა შენიშვნა მოკრძალებით შეასრულებს თავის მისიას.

## ნაცნობი „უცნობი“

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (ოც ტომად) III ტომში, რომელიც გამოიცა 2012 წელს, შეტანილია დიდი მგოსნის ლექსი „ვაშა! დეპუტატს!“, რომლის შესახებაც ხსენებული ტომის ბოლოს დართულ „ვარიანტებში, შენიშვნებსა და კომენტარებში“, მითითებულია, რომ: „ლექსი თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება“ და იქვე აღნიშნულია, რომ: „ამ ლექსთან დაკავშირებულ პერიპეტიებზე იხ. აგრეთვე ირ. ერემეიშვილის წერილი „აკაკის ერთი უცნობი სატირული ლექსის გამო“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, საჩხერე, 1980, 13 დეკემბერი, გვ. 3)“ (გვ. 601).

პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ზემოთ მოტანილი ორივე ინფორმაცია დაზუსტებას მოითხოვს.

კერძოდ, ლექსი „ვაშა დეპუტატს!“, რომელიც ავტორმა, სავარაუდოდ, დაწერა 1909 წელს და მიუძღვნა ქართული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერს, 1907-1912 წლებში III სახელმწიფო სათათბიროს წევრს ქუთაისის გუბერნიიდან ევგენი გეგეჭკორს (1881-1954), პირველად შეტანილ იქნა აკაკი წერეთლის თხზულებანის (სრული კრებული შვიდ ტომად) I ტომში (იხ.: გვ. 813-814), რომელიც ქართველმა მკითხველმა 1940 წელს მიიღო.

რაც შეეხება იროდიონ ერემეიშვილის წერილის „აკაკის ერთი უცნობი სატირული ლექსის გამო“ დასკვნას, რომ: „ლექსი „ვაშა დეპუტატს“ დღემდე უცნობია მკითხველისათვის, არაა დადგენილი, რომ იგი აკაკის კალამს ეკუთვნის და გასაგებიცაა, თუ რატომ არაა შეტანილი პოეტის თხზულებათა თხუთმეტტომეულში. ვფიქრობთ, მგოსნის შემდგომი შევსებული გამოცემის დროს ეს ლექსი თავის ადგილს დაიჭერს აკაკის შემოქმედებაში“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“ (საჩხერე), №149, 1980 წლის 13 დეკემბერი, გვ. 3), ჩემი ღრმა რწმენით, ეს დასკვნა აშკარად მცდარია, ვინაიდან ლექსი, რომელიც პრესაში იყო გამოქვეყნებული, ხოლო შემდგომ მან კუთვნილი ადგილი დაიკავა პოეტის თხზულებათა შვიდტომეულში, არ შეიძლება „მკითხველისათვის უცნობად“ ჩაითვალოს და არც ლექსის აკაკისეული ავტორობა იქნას ეჭვქვეშ დაყენებული.

## ჟანდარმული შეცდომა

1983 წელს გამოცემულ სამეცნიერო-საარქივო ჟურნალ „საისტორიო მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულია პროფესორ ფარნაოზ ლომაშვილის პუბლიკაცია, სათაურით „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები“ (იხ.: ტ. 47-48, გვ. 237-275), რომელშიც სულ 33 საარქივო საბუთია შეტანილი. ამ საბუთებიდან ჩემი საგანგებო ყურადღება მიიპყრო რიგით მე-13 დოკუმენტმა, რომელიც წარმოადგენს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ პეკარსკის მიერ 1884 წელს დაწერილ და ზემო ინსტანციაში გასაგზავნ ცნობას ილია ჭავჭავაძის შესახებ. ხსენებულ მცირე მოცულობის ცნობაში არის ინფორმაცია, რომ: «Князь Чавчавадзе ни братьев, ни сестер, ни детей не имеет»-ო (გვ. 267), რაც აშკარად დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, ის, რომ დიდ ილიას შვილები ნამდვილად არ ჰყავდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამ მხრივ გასარკვევი არაფერია, მაგრამ ილიას უძმოუდმამიშვილოდ მოხსენიება, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

თავს უფლებას მივცემ და მკითხველს მოკრძალებით შევახსენებ, რომ ილიას ჰყავდა სამი ძმა — კონსტანტინე (1833-1854), სვიმონი (გარდაიცვალა მცირეწლოვანი), თეიმურაზი (1844-1860) და ორი და — ნინო (1834-1883) და ელისაბედი (1840-1925). 1884 წელს, როდესაც შეიქმნა ზემოაღნიშნული ცნობა, წმიდა ილია მართალს და-ძმებიდან ცოცხალი ჰყავდა მხოლოდ ელისაბედი და ამდენად, დიდი მამულიშვილის იმხანად უდედმამიშვილოდ მიჩნევა, ცხადია, შეცდომაა.

**გიორგი გაბუნია**

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG0000000161665862

ISSN 1987-9806

გამოდის პარასკეობით

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com